ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

27 ნოემბერი **სამშაბათი** 2012 **№281 (13 887)** ფასი 80 თეთრი

## 10 დეკემბრისთვის გადაიდო

არც ხახალეიშვილი, არც ხაბარელი. ჯერ მხოლოდ ქევხიშვილი



10

# მანუ 18:10 ვიქტორი

## ორმაგიური თამაში

### მანუმ დუბლი შეასრულა, ვიქტორს ცოტა დააკლდა

### როცა ერთ მატჩში ორი ქართველი ერთმანეთს საუკეთესოობას ეცილება



იტალიის ჩემპიონატში **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუმ“ **ვიქტორ სანიკიძის** „მონტეპასკის“ უმასპინძლა. ორივე ქართველი სასტარტო ხუთეულში იყო და თანაგუნდელთა შორის გამოირჩეოდნენ კიდეც. მაგალითად, ვიქტორმა პირველი მეოთხედის ბოლოსა და მეორის დასაწყისში ჯერ ეფექტურად ჩატენა, შემდეგ სამქულიანი ჩააგდო, ზედ ორი საჯარიმო მიაყოლა და 7:0 გაქცევის შედეგად სიენელები 21:14 დააწინაურა.. მათ უპირატესობა მეოთხე პერიოდამდე შეინარჩუნეს, თუმცა ბოლო რაუნდის დასაწყისში დადგა მარკოიშვილის ჯერი, რომელმაც 9:0 სპურტი სამქულიანით დააგვირგვინა და „კანტუ“ წინ გაიჭრა - 46:45.

ეს იყო და ეს, მასპინძლები 46-ზე დიდხანს გაიყინნენ და მეტოქეს 13 ქულით დაწინაურების უფლება მისცეს. საბოლოოდ 67:54 „მონტეპასკის“ სასარგებლოდ.

მანუჩარს, რომელსაც წაგება ყველაზე ნაკლებად სურდა (ასე ჩანდა გარედან), ბრძოლის ჟინი სტატისტიკამ დაუფასა - იტალიაში გადასვლის შემდეგ პირველად მიითვალა ორმაგი დუბლი: 37 წუთი, 18 ქულა (5-დან 3 ორქულიანი, 6-დან 2 სამიანი, 6-დან 6 საჯარიმო), 11 მოხსნა, 1 პასი.

ვიქტორი იმდენად ენერგიულად მოქმედებდა, რომ აუცილებლად მიითვლიდა ორმაგ დუბლს, მაგრამ მწვრთნელმა, რატომღაც, მეოთხე პერიოდში მოედანზე აღარ გამოიყვანა. სანიკიძის (23 წუთი) ანგარიშზეა 10 ქულა (2-დან 1 ორქულიანი, 3-დან 2 სამიანი, 2-დან 2 საჯარიმო) და 8 მოხსნა. მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით იგი **დევიდ მოსთან** ერთად „მონტეპასკიში“ საუკეთესო იყო - 15. მატჩის ყველაზე სასარგებლო მოთამაშე კი მარკოიშვილი გახლდათ, რომლის მქკ-მ 24-ს უწია.

**ვაჟა სიმონიშვილი**



## ინგლისური კვირა ბუნდესლიგაში



6

### ბაიერნამდე კლოპმა დღეს ფორტუნას უნდა მოუგოს



12

## რევანში გვინდა!

დღეს 18 საათზე სპორტის სასახლეში

### არმია-ჰაპოელი

საფეხბურთო კანონმდებლობა

# ფიფას და ქართული სტანდარტები

## ანუ რატომ არ იცვლება საარჩევნო კანონები?

**ჩატარდება თუ არა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა? ბოლო დროს, ეს თემა ფედერაციასთან დაპირისპირებულმა ძალებმა წამოსწიეს. საფეხბურთო სამყაროში კი აზრი გაიყო – საჭიროა თუ არა მოქმედი პრეზიდენტის, ზვიად სიჭინავას გადარჩევა, რომელსაც აბრალებენ, რომ ფედერაციის პირველი კაცი ძველი ხელისუფლების მხარდაჭერით გახდა?**

### გადადექი!

"ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის" დამფუძნებლები **ზვიად სიჭინავას** გადადგომას ითხოვენ. იმავე მოთხოვნით ღია კამპანია დაიწყეს „ჩვენი ფეხბურთის" დამფუძნებლებმა და სფფ-ს თავკაცებს ღია წერილით მიმართეს. როგორც ისინი აცხადებენ, ფეხბურთი ძალზე სერიოზული საქმეა იმისთვის, რომ მისი განვითარების მენეჯმენტს დილეტანტები ახორციელებდნენ. ამავე დროს, ფედერაციას მოუწოდებენ, არსებული ვითარება რეალურად შეაფასონ.

*"ყველა დონეზე შექმნილია ფეხბურთის განვითარების გამოგონილი, ვირტუალური რეალობა და ამ „რეალობისა" მხოლოდ თვით ფედერაციის მაღალანაზღაურებად ჩინოვნიკებს სჯერათ (საბედნიეროდ, ყველას არა). ისინი, როგორც „ნარცისები", მხოლოდ იმას აქებადიდებენ, რასაც თვითონ საქმიანობენ, მაგრამ ეს „ნალვაწი" ძალიან სერიოზულ ანალიზსა და გადაფასებას საჭიროებს. არადა, ქართული ფეხბურთისთვის სასარგებლო საქმეთა უმეტესობას აკეთებდნენ და აკეთებენ ადამიანები, რომლებიც „რჩეულთა რიგებში" არ შედიან და სათანადოდ არ ფასდებიან"* – წერია მიმართვაში.

უახლოეს დროში "ჩვენი ფეხბურთის" დამფუძნებლები ორგანიზაციის გეგმებს გაგვაცნობენ. ფეხბურთის აწმყოსა და მომავალზე ლაპარაკი სასურველია, რადგან პრობლემურ საკითხებზე დაგვაფიქრებს და საფეხბურთო ცხოვრებას გამოაფხიზლებს. აუცილებელია თუნდაც არაფორმალური შეხვედრა, სადაც სატკივარს ღიად განიხილავენ.

### საარჩევნო გარემოს უცნაურობები

ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებზე არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხებიც არსებობს. მაგალითად, ყრილობაზე დელეგატთა, ალმასკომში კი წევრების შერჩევის წესი. სხვათა შორის, სამი წლის წინათ "ჩვენი ფეხბურთის" ერთ-ერთი დამფუძნებელი **ლევან ყიფიანი** ამბობდა, რომ დელეგატთა რიცხვი 170-180-მდე უნდა გაიზარდოს პირველი და რეგიონული ლიგის გუნდების, აგრეთვე საფეხბურთო სკოლების ხარჯზე.

მართლაც, ფიფას წესდებით, არჩევნებში მონაწილეობის უფლება ფედერაციის ყველა სუბიექტს უნდა ჰქონდეს. მაგრამ წლებია, ეს ელემენტარული მოთხოვნა საქართველოში შეუსმენელია და არჩევნებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ სუბიექტთა ნაწილს აქვს. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ზვიად სიჭინავამ პირველი ლიგის კლუბებს დელეგატების წარდგენის უფლება დაუბრუნა. თუმცა ეს არასაკმარისია – ფედერაციის სუბიექტები რეგიონული ლიგის კლუბები და საფეხბურთო სკოლებიც არიან.

### სახელმწიფოსა და ფედერაციის ბერკეტები

სახელმწიფო და ფეხბურთის ფედერაცია სუბიექტებზე მანიპულირების ბერკეტებს ხელიდან ვერ უშვებენ. ამის თქმის უფლებას გვაძლევს იმ სიის გაანალიზება, სადაც ჩანს, თუ ვის წარმოადგენენ დელეგატები და ალმასკომის წევრები. მაგალითად, 2011 წლის 22 იანვარს, ფეხბურთის ფედერაციის ბოლო, XIX საარჩევნო ყრილობაზე პრეზიდენტი 33-მა სუბიექტმა აირჩია. პარადოქსია – მათგან მხოლოდ და მხოლოდ 5-ს (?!) არ აფინანსებდა ფეხბურთის ფედერაცია ან სახელმწიფო. ყველაფერი ხელის გულზე დევს - ასეთ "მრავალფეროვან" გარემოში ალტერნატიული კანდიდატურის წარდგენასა და დემოკრატიულ არჩევნებზეა ლაპარაკი ზედმეტია.

ცხადია, სახელმწიფო და ფედერაცია თავის ბერკეტებს იყენებდნენ –დოტაციაზე მყოფი კლუბების, რეგიონული ფედერაციებისა და სხვა საარჩევნო სუბიექტების დაფინანსება მათი ხმის გაკონტროლებასაც ნიშნავს.

ამიტომ არის აუცილებელი საარჩევნო კანონების ფიფას დებულებასთან შესაბამისობაში მოყვანა, დელეგატების დამოკიდებულება რომ გამოირიცხოს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მივიღებთ მეტ-ნაკლებად (და არა სრულად) ობიექტურ სურათს, თუ ვის უჭერს საფეხბურთო სამყარო მხარს.



ზვიად სიჭინავა

მართლაც, რა აზრი აქვს რიგგარეშე ყრილობას, თუკი გავლენიანი სამთავრობო წრეები და ფედერაციის თავკაცები დელეგატებზე გავლენას ძველებურად მოახდენენ და ფედერაციაში სასურველ ხალხს მიიყვანენ?

### ალმასკომის პარადოქსები

ყრილობიდან ყრილობამდე გადაწყვეტილებებს ფედერაციის ალმასკომის წევრები იღებენ, რომლის სიის გადახედვაც ყველაფერს გასაგებს ხდის: 19 წევრიდან აბსოლუტური უმრავლესობა (13) რეგიონალურ ფედერაციას წარმოადგენს, ისინი კი ფეხბურთის ფედერაციიდან ფინანსდებიან და სახელმწიფო სტრუქტურებზეც დამოკიდებულები არიან. მათ მიმართ ჩვენი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ეს ალმასკომი უფრო ქმედითუნარიანი მაშინ გახდება, როდესაც წევრების დაკომპლექტების პრინციპი შეიცვლება.

ცხადია, საკითხის კენჭისყრაზე, უპირველესად, დამფინანსებლის მოსაზრებას გაითვალისწინებენ – ეს ორჯერ ორივით მარტივია. ფინანსური დამოკიდებულება კი ჩვენნაირ ქვეყანაში ძალიან მნიშვნელოვანია და ალმასკომის წევრებს დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას უსპობს.

ყველაზე პარადოქსული ისაა, რომ ალმასკომში წარმომადგენელი მხოლოდ ერთადერთ კერძო კლუბს, თბილისის "დინამოს" ჰყავს - მასაც დელეგირებული ჰყავდა სახელმწიფო მოხელე, სპორტისა და ახალგაზრდობის ყოფილი მინისტრი, რომელიც ამავე დროს სახელმწიფო კლუბის, "ზუგდიდის" ინტერესების დამცველია.

### სუბიექტები და არა გაერთიანებები

არჩევნებზე დელეგატებისა და ალმასკომის წევრთა წარდგენის წესის კარდინალურად შეცვლა უმნიშვნელოვანესი საკითხია. ხმის უფლება ყველა კლუბსა და საფეხბურთო სკოლას უნდა დაუბრუნდეს, რათა საკითხები უფრო ჯანსაღად გადაწყდეს. რეგიონულ ფედერაციებსა და სხვა გაერთიანებებს დელეგატი მხოლოდ ასეთ შემთხვევაში უნდა შეუნარჩუნდეთ, რადგან მათ უშუალო ფინანსური კავშირი აქვთ ფედერაციასთან და რეგიონის პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ხელმძღვანელობასთან და მათზე ზემოქმედება გაცილებით ადვილია, ვიდრე დამოუკიდებელი კლუბების წარმომადგენლებზე.

ყრილობაზე და ალმასკომში ხმების უმრავლესობა რეგიონულ ფედერაციებსა და სახელმწიფოს კმაყოფაზე მყოფ კლუბებს გააჩნიათ. ეს დაახლოებით იგივეა, ფიფას კონგრესზე გადამწყვეტი სიტყვა რომ ეკუთვნოდეთ ევროპის, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის, აფრიკის, ავსტრალია-ოკეანეთისა და აზიის კონტინენტალური გაერთიანებების ხელმძღვანელებს, საქართველოს და სხვა ქვეყნებს უეფა ან სხვა კონტინენტური გაერთიანება რომ წარადგენდეს.

ეს ცვლილებები კი იმიტომ არის აუცილებელი, რომ ფეხბურთის ფედერაცია მართლაც დამოუკიდებელი გახდეს. ასეთ შემთხვევაში დელეგატებზე ზემოქმედებას დღევანდელი დონით ვერ მოახდენენ და ნაკლებად მნიშვნელოვანი გახდება, თუ ვინ იქნება პრეზიდენტი. მთავარია, რომ სისტემა იმუშავებს და ფეხბურთს არამკითხეთა ზეწოლისგან დაიცავს. ვილაცებიც საარჩევნო პროცესიდან საფეხბურთო პრობლემატიკის მოგვარებაზე აღარ გადაერთვებიან და ამ ქვეყანაში ყველაფერი ერთი ჯგუფის გადასაწყვეტი აღარ იქნება.

მხოლოდ ასეთ გარემოში დაფიქრდებიან პრეზიდენტობის კანდიდატები, რომ კარგად გააზრებული საარჩევნო პროგრამებით მანიპულირება არის აუცილებელი და სახელისუფლებო თუ ფედერაციულ ბერკეტებს ველარ გამოიყენებენ - საერთოდაც, ფეხბურთსა და პოლიტიკას შორის სასურველი დისტანცია დამყარდება.

**მერაბ მამულაშვილი**

---

კოლხეთი

## სოსო ფილია:

# ათვლა მეტალურგით უნდა დავიწყოთ

### მაქსიმუმ 12, მინიმუმ 10

ბოლო სამი ტურია, რაც ფოთის "კოლხეთს" სოსო ფილია წვრთნის, მან ამ პოსტზე დავით მახარაძე შეცვალა. მიუხედავად საკადრო ცვლილებებისა სამწვრთნელო შტაბში, "კოლხეთს" უკეთესი შედეგი ჯერ არ აქვს, თუმცა ფილია იმედიანადაა და მიიჩნევს, რომ მისი გუნდი მაინც უკეთესობისკენ მიდის.

58 წლის ფილია ფოთში შინაური კაცია, იქაურია და არაერთხელ გაუწვრთნია "კოლხეთი". ამჯერად ის დროებით არის დანიშნული გუნდის თავკაცად და ვნახოთ, რა გაგრძელება მოჰყვება ფილიას მორიგ დაბრუნებას "კოლხეთში". მანამდე კი ეს სპეციალისტი "ლელოს" კითხვებს პასუხობს.

**- "კოლხეთში" რომ დაბრუნდით, რა პრობლემები აღმოაჩინეთ? ყველაზე უფრო რა მიმართულებით იყო ჩასატარებელი სამუშაოები?**

- გუნდი ფსიქოლოგიურად იყო გატეხილი წარუმატებლობების შემდეგ და პირველ რიგში ამ საკითხზე იყო სამუშაო, მთავარი გახლდათ ფეხბურთელების დარწმუნება იმაში, რომ მათ უფრო ხარისხიანად შეუძლიათ თამაში. ბოლო სამ შეხვედრაში ქულა ვერ მოვიპოვეთ, მაგრამ ყოველი მომდევნო თამაში ხარისხით უწინდელზე უკეთესი გამოდგა, გუნდს პროგრესი დაეტყო და ცოტა იღბალიც რომ ყოფილიყო ჩვენს მხარეს, ქულებსაც მოვიპოვებდით, მაგრამ საბოლოოდ გამოცდილებამ და კლასმა თავისი გაიტანა. საერთო ჯამში მაინც კმაყოფილი ვარ, რადგან მიმაჩნია, რომ "კოლხეთს" გარკვეული წინსვლა აქვს. არ მიყვარს წარსულზე საუბარი, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ გუნდს ფიზიკური მომზადების მხრივაც ჰქონდა პრობლემა, ახლა კი ეს საკითხი ნაწილობრივ მოგვარებულია.

**- "კოლხეთი" ჩემპიონატში ბოლო ადგილზეა და სიტუაციის გამოსწორებას ალბათ ახალი ფეხბურთელების დამატება დასჭირდება...**

- რა თქმა უნდა, ეს აუცილებელი იქნება. მანამდე კი ჯერ ქულები უნდა დავაგროვოთ, ახალ წლამდე 12 ქულის აღებას ვგეგმავთ, მინიმუმ 10 მაინც უნდა ავიღოთ. სეზონის მეორე ეტაპისთვის კი 4-5 მოთამაშის დამატება საკმარისი იქნება. გამოცდილი მოთამაშეები დაგვჭირდება და უკვე მიდის მოლაპარაკება 2-3 ფეხბურთელთან.

**- გამოცდილი ფეხბურთელების დამატება, რომლებიც მნიშვნელოვნად გააძლიერებენ გუნდს, შესაბამის თანხებთან არის დაკავშირებული. ფინანსურად რამდენად არის მზად ამისთვის "კოლხეთი"?**

- ჯერჯერობით დროებით ვარ "კოლხეთში", ხელშეკრულების ვადა დეკემბრის ბოლოს იწურება. ვნახოთ, მერე რა როგორ იქნება. ამ დროისთვის კი ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, რასაც ქალაქის ხელმძღვანელობა აკეთებს "კოლხეთისთვის". ფოთის მერი დათო ხომერიკი ადრე ფეხბურთელი იყო, "კოლხეთის" ახალგაზრდულ გუნდში თამაშობდა, მაგრამ მერე სწავლის გაგრძელება გადაწყვიტა. მას კარგად ესმის ყველაფერი, რაც მთავარია, უპატიოსნესი პიროვნებაა, შეგვპირდა, როგორც შემეძლება, გვერდში დაგიდგებითო.



სოსო ფილია

**- "კოლხეთს" მომდევნო მატჩი 28 ნოემბერს რუსთავის "მეტალურგთან" აქვს...**

- ამ თამაშით იწყება ათვლა...

**- რას გულისხმობთ?**

- ქულების აღებას. "კოლხეთის" პროგრესი ჩანს, ამ გუნდით ზედა ექვსეულშიც შეიძლებოდა მოხვედრა. "მეტალურგთან" სამი ქულის მოპოვებას ვგეგმავთ. ახალ წლამდე ექვსი ტურია დარჩენილი, სამი მატჩი შინ გვაქვს და ამიტომაც გითხარით, მაქსიმუმ 12 ქულის მოპოვებას ვგეგმავთ-მეთქი. "მეტალურგი" ძალიან მომეწონა ერთ-ერთ ბოლო შეხვედრაში, მაგრამ ჩვენ უკან დასახევი გზა აღარ გვაქვს...

**დავით თავართქილაძე**

---

ლეგიონერები

# ირი ქართული ფრე

რუსეთის პრემიერლიგაში ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგა" ყაზანის "რუბინს" ეწვია და 0:0 დაუზავდა. სტუმართა შემადგენლობაში **გია გრიგალავამ** შეუცვლელად ითამაშა. "ვოლგას" 13 ქულა აქვს და სამი ქულით უსწრებს გასავარდნ ზონაში მყოფ "ალანიას".

დანიის სუპერლიგაში "ორჰუსმა" "მიდტიულანდს" უმასპინძლა და ფრედ, 1:1 ეთამაშა. **მათე ვანაძე** მასპინძელთა სასტარტო შემადგენლობაში იყო და 66-ე წუთზე შეცვალეს, 65-ეზე კი გაფრთხილება მიიღო. ორივე გოლი ვანაძის მოედნიდან გასვლის შემდეგ გავიდა. **დავით დევდარიანსა** და **დავით სხირტლაძეს** ამ მატჩში მონაწილეობა არ მიუღიათ.

უკრაინულ პრემიერლიგაში "დნიპრომ" ზაპოროჟიეს "მეტალურგს" უმასპინძლა და 3:0 გაანადგურა, თუმცა **ჯაბა კანკავა** დნეპროპეტროვსკელთა განაცხადშიც არ ყოფილა.

**ლევან ჯანეზაშვილი**




მათე ვანაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. XVI ტურის მიმოხილვა

# დიდი ნაბიჯი ზამთრის ჩემპიონობისკენ

**სეზონის პირველი ნახევრის ცენტრალური მატჩი მოვილიეთ და "ზამთრის ჩემპიონიც", ფაქტობრივად, გამოვლენილია. შაბათს ნაჩვენები თამაშით თბილისის "დინამომ" ეს სამართლიანად დაიმსახურა, დანარჩენს კი შემდგომში განვითარებული მოვლენები გვიჩვენებს. მთავარი ბრძოლები, რა თქმა უნდა, წინ არის, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ დედაქალაქელებმა საჩემპიონო განაცხადი გააკეთეს. როგორც ხედავთ, გასული ტური უმეტესად, მასპინძელთა კარნახით წარიმართა და ექვსი შეხვედრიდან ხუთი სწორედ მათ მოიგეს. ერთადერთი გამონაკლისი კი "ჩიხურაა". გასულ ტურში საინტერესო მოვლენები თბილისის გარდა, სხვა ქალაქებშიც მოხდა, თუმცა ტურის მიმოხილვა აუცილებლად ლიდერთა დაპირისპირებით უნდა დავიწყოთ.**

"დინამოსა" და "დილას" შეხვედრის მიმოხილვას "ლელოს" გუშინდელ ნომერში გაეცანით და მის პერიპეტიებზე ვრცლად აღარ შევჩერდებით, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ **დუშან უჰრინის** გუნდი ყველა კომპონენტში ძალიან ხარისხიანი და დამაჯერებელი იყო. "დინამომ" ჩინებული კოლექტიური ფეხბურთი შემოგვთავაზა და ამასთანავე, დედაქალაქელთა რიგებში ცალკეული ინდივიდუალისტებიც გამოირჩნენ. გამარჯვებაში მოედანზე მყოფმა ყველა დინამოელმა წონადი წვლილი შეიტანა, მაგრამ მაინც **გიორგი მერებაშვილი** გამოვარჩიეთ, რომელიც გოლისა და საგოლე გადაცემის ავტორად მოგვევლინა და ამას გარდა, კიდევ არაერთი ხელსაყრელი შანსი ვერ გამოიყენა.

ამ ტურამდე "დინამო" "დილას" მხოლოდ ორი ქულით უსწრებდა, ახლა კი პირველ და მეორეადგილოსანს შორის ქულათა სხვაობა უკვე ხუთამდე გაიზარდა, რაც სოლიდური უპირატესობაა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, "დინამომ" დიდი ნაბიჯი გადადგა "ზამთრის ჩემპიონობისკენ", მაგრამ დინამოელებმა ყველაზე უკეთ იციან, რომ არც ეს აბსტრაქტული ტიტული აქვთ გარანტირებული და საამისოდ კვლავ დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ.

"დილასთვის" კი, ცხადია, ეს ანგარიში საკმაო შოკია, მაგრამ შიდაქართლელებს ტრაგედიის შექმნა მაინც არ ულირთ. ნაკლებად წარმოსადგენია, "დილა" ამ მწარე მარცხმა კალაპოტიდან ამოაგდოს, თუმცა ისიც ნათლად გამოჩნდა, რომ დარასელიას გუნდს ზამთარში შემადგენლობის გაძლიერება არ აწყენდა.

საწყენია, რომ პუბლიკამ ჩემპიონატის გამორჩეული შეხვედრაც არ დააფასა და ფეხბურთელებს თამაშმა კვლავ ცარიელი ტრიბუნების თანხლებით მოუწიათ. მონდომება არ უნდა დავუკარგოთ ორივე კლუბის ფანკლუბს, მაგრამ სანამ ხალხი მასობრივად არ ივლის სტადიონზე, ენთუზიაზმით აღსავსე ახალგაზრდა გულშემატკივართა შემართება მასშტაბურ საფეხბურთო ზეიმს ვერ შექმნის. არადა, "დინამომ" ნამდვილად ითამაშა ისეთი ფეხბურთი, რომლის ცოცხლად ნახვაც ღირდა.

პირველად საქართველოს ჩემპიონატის ისტორიაში, მატჩს ექვსკაციანი მსაჯთა ბრიგადა გაუძღვა. ამიერიდან ყოველ ტურში თითო ასეთ შეხვედრას ვიხილავთ და ამ ნოვაციამ, წესით, სამსაჯო შეცდომების რაოდენობა მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს. "დინამო"-"დილაზე" ამ მხრივ ყველაფერი რიგზე იყო.

რაც შეეხება მატჩის მიწურულს მომხდარ ინციდენტს, როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო განყოფილების ხელმძღვანელ **ლევან ფანიაშვილთან** დავაზუსტეთ, დინამოელი **ოთარ ხიზანეიშვილი** "დილას" ბრაზილიელ **ლეონარდოსთვის** ჩარტყმისთვის, ლეონარდო კი მისთვის შეფურთხებისთვის გააძევეს.



დინამო-დილა 3:0. დილას მცველებს გიორგი მერებაშვილის შეჩერება გაუჭირდათ

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

### საჩემპიონო თამაში

ყველა სერიას აქვს დასასრული და "დილას" შთამბეჭდავი სვლაც დასრულდა. შეგახსენებთ, გორელებს საქართველოს ჩემპიონატში ზედიზედ 11 მატჩი ჰქონდათ მოგებული და ეს სერია "დილას" თავკაცად **გიორგი დარასელიას** დანიშვნისთანავე დაიწყო. გორელ გულშემატკივრებს არცთუ უსაფუძვლო იმედი ჰქონდათ იმისა, რომ სერია 11-იან ნიშნულზე არ გაიყინებოდა, მაგრამ "დინამომ" მეტოქეს მთელი თავით აჯობა და წარმატების იოტისოდენა შანსიც არ დაუტოვა.

### მერანი კვლავ გვაოცებს

სხვა მატჩების შედეგებს რომ გადავხედოთ, "დინამო"-"დილას" შემდეგ ყველაზე დიდი რეზონანსი მარტვილურმა შეხვედრამ გამოიწვია, სადაც ადგილობრივმა "მერანმა" ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტ "ტორპედოს" შანსი არ დაუტოვა და ქუთაისელები სამბურთიანი სხვაობით გაანადგურა.

ამ მარცხით "ტორპედო" საუკეთესო სამეულს მიღმა აღმოჩნდა და "ზუგდიდსა" და "ზესტაფონს" გაუმეზობლდა, ლიდერ "დინამოს" კი უკვე მთელი ათი ქულით ჩამორჩება – ყოველივე ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ **გია გეგუჩაძის** გუნდი ძველებური სტაბილურობით ველარ ასპარეზობს. უახლოესი მატჩები უფრო ნათლად დაგვანახებს, დაუდგა თუ არა "ტორპედოს" კრიზისული პერიოდი და სჯობს, ამ თემაზე მსჯელობა უახლოესი პერიოდისთვის გადავდოთ.




"მერანზე" კი მხოლოდ და მხოლოდ აღმატებით ხარისხში უნდა ვისაუბროთ – მარტვილელებს სხვადასხვა სახის პრობლემა არასდროს აკლდათ, წამყვანი ფეხბურთელების გასხვისებაც პერმანენტულად უწევთ, მაგრამ **მალხაზ ჟვანიას** გუნდი ყოველთვის ახერხებს მძიმე მდგომარეობიდან ღირსეულად გამოსვლას და დღევანდელი გადასახედიდან, პროგრამა-მინიმუმის განხორციელება, ანუ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება უნდა შეძლონ.

"მერანის" ერთ-ერთი თვალსაჩინო პრობლემა ცუდი ხარისხის მოედანია და იმედია, ამასაც მოევლება. მარტვილელთა მეტოქეები ამაზე სისტემატურად ჩივიან და ვეჭვობთ, თავად მერანელებსაც სიამოვნებდეთ ასეთ გაზონზე თამაში. რასაკვირველია, ამით "მერანის" წარმატებას ჩრდილი ოდნავადაც არ ადგება და თვით მარტვილელთათვისაც სასიამოვნო იქნება, მეტოქეებს ლაზათიან საფარზე თუ უმასპინძლებენ.

### ჩიხურა სამეულში გამაგრდა

ცალკე ქვეთავს იმსახურებს "ჩიხურაც". თუკი ვინმეს ეგონა, რომ საჩხერელთა წარმატებული სტარტი შემთხვევითობა იყო და ფიქრობდა, რომ ნელ-ნელა **სოსო ფრუიძის** გუნდი სატურნირო ცხრილში "კუთვნილ" პოზიციაზე აღმოჩნდებოდა, ეს ვარაუდი უკვე გაბათილებულად შეგვიძლია მივიჩნიოთ. "ჩიხურა" ახლა ზუსტად იმ საფეხურზეა, რასაც თავისი თამაშის ხარისხით იმსახურებს. ძნელია იმის თქმა, შეძლებენ თუ არა ზემოიმერლები ასეთი სტაბილური და შედეგიანი სვლის შენარჩუნებას, მაგრამ დღესვე შეგვიძლია იმის თქმა, რომ "ჩიხურამ" საქართველოს ჩემპიონატს დამატებითი ხიბლი შესძინა და ცხრილის ზედა ნაწილში კონკურენცია არნახულად გაამძაფრა. გასაკვირი არ არის, "ჩიხურამ" ბოლნისში რომ გაიმარჯვა, მაგრამ სტუმრად მიღწეული 3:0 ყოველთვის შთამბეჭდავია.

### ექვსეულისთვის ბრძოლა გრძელდება

"ზუგდიდის" წარმატებაც კანონზომიერია. **ელგუჯა ქომეთიანის** გუნდმა დაგეგმილი სამი ქულა დამაჯერებლად მოიპოვა და მორიგი ნაბიჯი გადადგა საუკეთესო ექვსეულში დამკვიდრებისკენ. არანაკლებ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა "ზესტაფონმა", რომელსაც აუტსაიდერი "კოლხეთის" დასაძლევად დიდი ბრძოლის გადატანა დასჭირდა. "მეტალურგმა" კი ზეექვსეულში მოხვედრის მცირე შანსი ბათუმის "დინამოს" დამარცხებით შეინარჩუნა. რუსთაველებმა სამი ქულა მატჩის მიწურულს გატანილი გოლით მოიპოვეს. რომ არა შეცვლაზე შესული **დავით ჯანელიძის** მიერ გატანილი ბურთი, ზეექვსეულის ბინადართა დასახელება უკვე თამამად შეგვეძლებოდა, ახლა კი გარკვეული ინტრიგა კვლავ არსებობს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

დინამო

# განელი მცველი დაიწუნეს

ერთი კვირის წინ თბილისის „დინამოში" გასინჯვაზე 25 წლის განელი მცველი **დანიელ ადო** მიიწვიეს.

187 სმ სიმაღლის მცველმა კარიერა განის კლუბ „მედეამაში" დაიწყო. დანიელ ადოს ევროპული დებიუტი 2008 წელს ჰქონდა: განელმა მცველმა თურქეთის სუპერლიგის "გენჩლერბირლიგიში" 19 შეხვედრა ითამაშა და 1 გოლი გაიტანა. მისი უკანასკნელი კლუბი კი ისრაელის ჩემპიონატის „ჰაპოელ ფეთაჰ ტიკვა" იყო.

თუმცა, როგორც ჩანს, ფეხბურთელმა თბილისური კლუბის მთავარ მწვრთნელს, **დუშან უჰრინს** საუკეთესო თვისებები ვერ აჩვენა – ჩვენი ინფორმაციით, მან დანიელ ადო უკან გააბრუნა.

**მერაბ მამულაშვილი**



დანიელ ადო

ფუტსალი.

# აი, როგორ უბერავს

ფუტსალში XX საუბილეო ჩემპიონატის I წრის III ტურის შეხვედრები კვლავ სპორტკომპლექს "არენაში" გაიმართა.

სენსაცია არ მომხდარა, ჩემპიონმა "იბერიამ" თელავის "ბურჯს" დამაჯერებლად მოუგო – 12:0. მეორე ლიდერმა, "თელასმაც" გაიმარჯვა, თუმცა "სოკარის" დამარცხება ძალიან გაუჭირდა — 2:1. სამაგიეროდ, GIEC წინააღმეგობის დაძლევა არ დასჭირვებია თსუ-ს — 8:1.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იბერია | 3 | 3 | 0 | 0 | 24-5 | 9 |
| 2. თელასი | 3 | 3 | 0 | 0 | 12-3 | 9 |
| 3. თსუ | 3 | 2 | 0 | 1 | 18-10 | 6 |
| 4. სოკარი | 3 | 1 | 0 | 2 | 16-11 | 3 |
| 5. GIEC | 3 | 0 | 0 | 3 | 2-17 | 0 |
| 6. თელავი | 3 | 0 | 0 | 3 | 5-31 | 0 |

სამი ტურის შემდეგ ჩემპიონატის ბომბარდირები არიან "იბერიას" მოთამაშეები: **ფუსტე** — 6 გოლი , **ალექსანდრე ძაბირაძე** - 5.

**მერაბ მამულაშვილი**

## ქართული ფეხბურთი

ინტერვიუ

# ჩივაძის ატმოსფერო და მეტი გოლი

**სწრაფი ფეხბურთელი განსაკუთრებულად ფასობს, სისწრაფის ხარჯზე ბევრი რამის გაკეთება შეიძლება, ტენდენციაც იქითკენ არის წასული, რომ ფეხბურთელებმა ყველაფერი რაც შეიძლება სწრაფად აკეთონ. გამორჩეულად სწრაფი მოთამაშეები კი ბევრნი არ არიან. საქართველოს ჩემპიონატში ერთ-ერთი მათგანი დავით კირკიტაძეა, რომელიც საჩხერის “ჩიხურაში” თამაშობს. წინა ტურში “ჩიხურამ” სტუმრად ბოლნისის “სიონი” 3:0 დაამარცხა და კირკიტაძემ ორი გოლი გაიტანა. 20 წლის კირკიტაძე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრიც გახლავთ, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ის მართლაც საინტერესო ფეხბურთელია, სისწრაფის გარდა კირკიტაძე ბრძოლის განსაკუთრებული ჟინითაც გამოირჩევა. მასთან ინტერვიუ “სიონთან” მატჩზე საუბრით დავიწყეთ.**

**- 3:0 ალბათ იმას ნიშნავს, რომ მოწინააღმდეგის დამარცხება მაინცდამაინც არ გაგიჭირდათ...**

- ზოგადად, ბოლნისში თამაში არავისთვის არ არის ადვილი, წარმატება იმან გაგვიადვილა, რომ მწვრთნელის დავალებები კარგად შევასრულეთ.

**- და რა იყო სოსო ფრუიძის მთავარი დავალება?**

- მეტოქე მისივე ნახევარზე უნდა შეგვებოჭა, მერე კი ბურთზე კონტროლი მოგვეპოვებინა. პირველ ტაიმში “სიონის” მცველი სერგო ორბელაძე რომ გააძევეს, რა თქმა უდა, ამანც შეგვიწყო ხელი, მეორე ტაიმში ჩვენი გუნდი გაიხსნა და მეტოქეს არანაირი შანსი არ დავუტოვეთ. მნიშვნელოვანი იყო ფსიქოლოგიური ფაქტორიც – ყველანაირად უნდა გვეცადა ამ მატჩის მოგება, ასეთი განწყობით გავედით მოედანზე. სამეულში მოხვედრისთვის ვიბრძვით და მიზანი არ შეიცვლება.

**- მიმდინარე სეზონში ყველაზე უფრო რომელ გუნდთან გაგიჭირდათ თამაში?**



დავით კირკიტაძე

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

- იოლი არც ერთი თამაში არ ყოფილა, ჩვენთვის ყველაზე რთული კი “ტორპედოსთან” ქუთაისში ჩატარებული შეხვედრა გამოდგა, 1:3 წავაგეთ, თუმცა მოგებაც შეგვეძლო. რა თქმა უნდა, სხვა მოწინავე გუნდებთანაც არ იყო ადვილი ბრძოლა, “დინამოსთან” 0:0 ვითამაშეთ, “დილასთან” 0:2 წავაგეთ...

**- მესამე ადგილზე ხართ ამ დროისთვის. როგორ ატყობ, თუ ამ პოზიციას შეინარჩუნებთ, “ჩიხურა” მზად იქნება იმისთვის, რომ ევროსარბიელზე რიგიანად გამოვიდეს?**

- სეზონის წინ ჩვენი მიზანი ზედა ექვსეულში მოხვედრა იყო, მაგრამ მერე გამოჩნდა, რომ მეტიც შეგვიძლია. ასე რომ, მზად ყველაფრისთვის ვართ, მომდევნო მატჩები კი ყველაფერს უფრო კარგად გამოაჩენს. მეორე წრეში შინ გვიწევს თამაში ისეთ მოწინავე გუნდებთან, როგორებიც “ტორპედო”, “ზესტაფონი” და “ზუგდიდი” არიან...

**- “ზუგდიდთან” განმუხურში გამართულ შეხვედრაზეც გკითხავ – 2:0-ს იგებდით და 2:4 წააგეთ – რა იყო ამის მიზეზი?**

- ნაადრევად ჩავთვალეთ, რომ თამაში უკვე ჩვენი იყო, ზუგდიდელებმა კი ბოლომდე იბრძოლეს, რაც დაუფასდათ კიდეც. საბოლოოდ, ვისაც ძალიან უნდოდა მოგება, სამი ქულაც იმას დარჩა. თამაში ხომ 90 წუთი გრძელდება...

**- “ჩიხურამდე” სხვადასხვა გუნდში გითამაშია, თუმცა მანამდე დიდად წარმატებული პერიოდი არ გქონია, საჩხერული კლუბიდან კი ახალგაზრდულ ნაკრებში მოხვდი...**

- “სამტრედიაში” ხშირად არ მიწევდა თამაში, შემდეგ “ტორპედოში”გადავედი, “ჩიხურაში” კი უკვე ისე წარმოვაჩინე თავი, რომ მწვრთნელი მენდობა, რაც ფეხბურთელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე კარგად სწორედ “ჩიხურაში” გავიხსენი.

**- ახალგაზრდულ ნაკრებში როგორ შეაფასებდი საკუთარ თამაშს? საერთაშორისო დონე ხომ სულ სხვა არის...**

- ესტონეთთან 2:1 და დანიასთან 0:2 – ჯერ მხოლოდ ორჯერ მომიწია ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშმა. საკუთარი თავით კი კმაყოფილი არასდროს არ ვარ, ასე იყო სანაკრებო მატჩების მერეც, მიმაჩნია, რომ უფრო მეტი შემიძლია. იმედი მაქვს, კიდევ მომეცემა ნაკრებში თავის გამოჩენის შანსი. ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე კარგი ადამიანია და ნაკრებშიც კარგი ატმოსფერო აქვს შექმნილი, მისი მადლობელი ვარ, ნდობა რომ გამომიცხადა. “ჩიხურადან” ოთხი ფეხბურთელი რომ გამოგვიძახა ნაკრებში, თავის ოთახში დაგვიბარა და ცალკე გვესაუბრა, გვითხრა, იშრომეთ და გარჯა არ დაგეკარგებათო.

**- საკუთარ ნაკლად რას მიიჩნევ?**

- ნაკლი ალბათ ყველა ფეხბურთელს აქვს, მთავარია, რომ ამ ეტაპზე წინსვლა მაქვს, ხარვეზებს კი გამოვასწორებ. მარჯვენა ფლანგზე ვთამაშობ და ჩემთვის ზედგამოჭრილი ამპლუა გარემარბის პოზიციაა. რადგან საკუთარ თავს თავდამსხმელად მიიჩნევ, გოლის გატანაც უნდა შეგეძლოს. ამ სეზონში ბოლნისში მატჩამდე გოლი არ მქონდა შეგდებული და ნავსი გავტეხე. ჯერ მხოლოდ ორი ბურთი მაქვს გატანილი, გოლებს უნდა მოვუხშირო...

**- “ჩიხურაში” მარჯვენა მცველად გამოცდილი დავით ოდიკაძე თამაშობს. ოდიკაძე-კირკიტაძის ტანდემზე რას გვეტყოდი?**

- ოდიკაძე მთელი გუნდისთვის დიდი ძალაა. “სიონთან” ნიკა კვასხვაძე გვაკლდა, რომელიც ათი ნომრის პოზიციაზე თამაშობს და მისი ადგილი ბოლნისში ოდიკაძემ დაიკავა, მან აქაც კარგად ითამაშა და გოლიც გაიტანა. ოდიკაძე მარჯვენა ფლანგზე რომ არის, სულ მამხნევებს და სასარგებლო რჩევებს მაძლევს, ერთამანეთის ზონებს ვავსებთ და მწვრთნელიც კმაყოფილია ჩვენით.

**- კირკიტაძის სისწრაფე – ეს უფრო თანდაყოლილია თუ ვარჯიშის შედეგია?**

- სისწრაფე თანდაყოლილია, თუმცა რაც გაქვს, ის სულ უნდა გააუმჯობესო ვარჯიშით. წარმატება მხოლოდ თავდადებით და სწორი ვარჯიშით მოდის.

**დავით თავართქილაძე**

უეფას საკლუბო რეიტინგი

# საქართველო პოსტსაბჭოეთში მეოთხეა

ევროპისა და ჩემპიონთა ლიგებში გამართული ბოლო შეხვედრების შემდეგ, უეფამ ახალი საკლუბო რეიტინგი გამოაქვეყნა. საუკეთესო 430 კლუბს შორის 7 ქართული გუნდი მოხვდა.

| | | |
|---|---|---|
| 220. | ზესტაფონი | 5.833 |
| 232. | დინამო | 5.333 |
| 243. | მეტალურგი | 4.833 |
| 298-299. | დილა | 3.333 |
| | ვიტ ჯორჯია | 3.333 |
| 343. | გაგრა | 2.333 |
| 354. | ტორპედო | 2.083 |

**პირველი ათეული ასე გამოიყურება**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ბარსელონა” | 149.547 |
| 2. | ბაიერნი” | 128.722 |
| 3. | მანჩესტერი” | 128.364 |
| 4. | რეალი” | 124.547 |
| 5. | ჩელსი” | 118.364 |
| 6. | არსენალი” | 110.364 |
| 7. | პორტუ” | 102.066 |
| 8. | ვალენსია” | 98.547 |
| 9. | ინტერი” | 97.762 |
| 10. | ატლეტიკო” | 96.547 |



წლევანდელ ევროტურნირებზე ყველაზე მეტი სარეიტინგო ქულა გორის დილამ მოაგროვა

ქვეყნების რეიტინგში საქართველო 31-ე ადგილზეა და 9.166 ქულა დააგროვა. ყველაზე მეტი ქულა, 3.0 გორის “დილამ” მოგვიტანა, მერე “მეტალურგმა” (2.0), “ზესტაფონმა” (0.5) და ქუთაისის “ტორპედომ” (0.5).

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ბოლო ოთხი წლის განავლობაში, საქართველომ წლევანდელ ევროსეზონში ყველაზე მცირე, 1500 ქულა დააგროვა: რეკორდული წინა სეზონი იყო - 2875 ქულა. წლევანდელზე მეტი კი 2009-10 (1.750) და 2010-11 (1.875) წლების სეზონებში მოვიპოვეთ.

საუკეთესო ათეულში კვლავ ესპანეთი ლიდერობს. ათეულში არ არის, მაგრამ საგრძნობ პროგრესს მიაღწია კვიპროსმა, რომელიც 26.333 ქულით მე-13 ადგილზე წამოსკუპდა. პოზიციები დათმეს საბერძნეთმა (მე-11 ადგილი, 33.600 ქულა) და თურქეთმა (მე-12 ადგილი, 29.300 ქულა).

| | | |
|---|---|---|
| 1. | ესპანეთი | 82.739 |
| 2. | ინგლისი | 76.820 |
| 3. | გერმანია | 73.614 |
| 4. | იტალია | 58.814 |
| 5. | საფრანგეთი | 56.166 |
| 6. | პორტუგალია | 55.334 |
| 7. | უკრაინა | 48.591 |
| 8. | ჰოლანდია | 44.157 |
| 9. | რუსეთი | 43.165 |
| 10. | ბელგია | 33.800 |

უეფას წევრ პოსტსაბჭოურ ქვეყნებში საქართველო მე-4 ადგილზეა. მნიშვნელოვნად დაწინაურდა უკრაინა, რომელმაც რუსეთთან უპირატესობა გაზარდა. აღსანიშნავია, რომ ორი წლის წინ საქართველო 38-ე ადგილზე იმყოფებოდა, მაგრამ ბოლო ორი წელია, ჩვენი კლუბები ევროპის ლიგის პლეი ოფამდე გადიან და მდგომარეობა ამის ხარჯზე გავიუმჯობესეთ.

არადა, რამხელა პლუსი შეიძლება დაგვეწეროს, რომელიმე ჩვენი გუნდი თუნდაც ევროპის ლიგაში რომ შევიდეს. ასე მაგალითად, აზერბაიჯანის პოზიცია ევროლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასულმა ბაქოს “ნეფთჩიმ” მნიშვნელოვნად გაამყარა და დღეს არსებულ მდგომარეობას თუ არ გამოვასწორებთ, მალე აზერბაიჯანი ჩვენც უკან ჩამოგვიტოვებს.

| | | |
|---|---|---|
| 7. | უკრაინა | 48.591 |
| 9. | რუსეთი | 43.165 |
| 21. | ბელარუსი | 20.625 |
| 31. | საქართველო | 9.166 |
| 33. | აზერბაიჯანი | 8.291 |
| 35. | მოლდოვა | 7.666 |
| 37. | ლიტვა | 6.500 |
| 38. | ყაზახეთი | 5.958 |
| 39. | ლატვია | 5.791 |
| 49. | ესტონეთი | 2.208 |
| 50. | სომხეთი | 1.750 |

საქართველო მე-4 პოზიციაზეა მსოფლიოს ჩემიონატის შესარჩევ ჯგუფშიც.

| | | |
|---|---|---|
| 1. | ესპანეთი | 82.739 |
| 5. | საფრანგეთი | 56.166 |
| 21. | ბელარუსი | 20.625 |
| 31. | საქართველო | 9.166 |
| 32. | ფინეთი | 8.508 |

**მერაბ მამულაშვილი**

იტალია. სერია A XIV ტური

# ბებერი ქალბატონის ლოგიკური მარცხი

## უჩვეულო იუვე უამრავი ხარვეზით

**"მილანი"-"იუვენტუსის" დაპირისპირება მართლაც განსაკუთრებულია, რაც კვირას გამართულმა მატჩმა კიდევ ერთხელ დაადასტურა. ეს იყო დიდი ფეხბურთი, ტრადიციული ემოციებით, დაძაბულობით და დრამატიზმით...**


ეპიზოდი, რომელსაც "იუვენტუსის" კარში თერთმეტმეტრიანის დანიშვნა მოჰყვა

### უჩვეულო იუვე

მიმდინარე სეზონში, "იუვენტუსი" შესანიშნავად ასპარეზობს და სრულიად დამსახურებულად უდგას სატურნირო ცხრილს სათავეში. ტურინული გრანდი თითქოს ორი თავით აღემატება სხვა იტალიურ გუნდებს, რასაც პრაქტიკულად ყველა შეხვედრაში ამტკიცებს. მართალია, "იუვემ" "ინტერთან" საკუთარ კედლებში წააგო, მაგრამ იმ შეხვედრაშიც დაგვანახვა, რომ სხვებზე წინ დგას და სკუდეტოს მოპოვების უმთავრესი პრეტენდენტია... და რა მოხდა "მილანთან" პაექრობაში? - ვიხილეთ სრულიად მოშლილი "ბიანკონერი", უამრავი ტექნიკური წუნი, სწორხაზოვანი შეტევები და პერმანენტული ქაოსი დაცვაში. ამბობენ, რომ დიდწილად ეს "იუვეს" მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლის, **ანჯელო ალესიოს** "დამსახურებაა", რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნამდვილად ვერ გაუძლვა გუნდს ხეირიანად. თუმცა, მხოლოდ ალესიოზეც ვერ გადატყდება ჯოხი - ცხადია, რომ გადაწყვეტილებების დიდი ნაწილი **ანტონიო კონტესთან** წინასწარ თანხმდება... ქვემოთ ის მიზეზები ჩამოვთვალოთ, რომელთა გამოც "იუვენტუსი" "მილანთან" ვერაფერს გახდა - გნებავთ, ის შეცდომები, რომლებიც "იუვეს" მწვრთნელებმა დაუშვეს და რამაც განაპირობა კიდეც ლიდერის მარცხი...

### მირკო ვუჩინიჩი და მაურისიო ისლა ძირითადში

სასტარტო შემადგენლობას ნამდვილად ანტონიო კონტე დააყენებდა და არა ანჯელო ალესიო, თუმცა ვისაც არ უნდა დაეყენებინა, ფაქტია, რომ ბევრისთვის გაუგებარი გადაწყვეტილებები მიიღო. მაგალითად, **მირკო ვუჩინიჩი** დიდი ხანია ვერაფერ ფეხბურთს აჩვენებს და თავისუფლად შეიძლებოდა მის ნაცვლად ძირითადში **სებასტიან ჯოვინკოს** ეთამაშა. ფაქტია, ჩერნოგორიელს კრიზისი აქვს და მასზე აქცენტის გაკეთება სრულიად ალოგიკური გახლდათ. მით უმეტეს, მეორე ტაიმში "იუვეს" მწვრთნელებმა თამაშიდან შედარებით აქტიური **ფაბიო კვალიარელა** მოხსნეს და არა ინერტული ვუჩინიჩი, რაც ამ გაუგებრობიოს კულმინაცია გახლდათ.

მარჯვენა ფრთაზე მაურისიო ისლა მოქმედებდა და არა **შტეფან ლიხტშტაინერი**. არადა, შვეიცარიელი შესანიშნავ ფორმაშია და ეს "ჩელსისთან" პაექრობაშიც დაადასტურა. ეს მაშინ, როდესაც ისლას აშკარად ჩავარდნა აქვს და საერთოდ ვერ ჩაეწერა ტურინულ გრანდში. ამასთან, მაურისიო "უდინეზეში" საყრდენი ნახევარმცველი გახლდათ და მისი მარჯვენა ფლანგზე გამოყენება ასევე გაუგებარია. შესაძლოა, მწვრთნელმა ექსპერიმენტებს მიმართოს, მაგრამ ასეთ პრინციპულ პაექრობაში?...

### სიმონე პადოინი "მხსნელად"

პირველ ტაიმში, "მილანმა" აშკარად დაჯაბნა მეტოქე და მიუხედავად იმისა, რომ საეჭვო გოლი გაიტანა, მასპინძელთა უპირატესობა ერთი წუთით არ დამდგარა ეჭვქვეშ. ისიც კარგად გამოჩნდა, რომ მაურისიო ისლა მარჯვენა ფრთაზე ვერაფერს გახდებოდა და მისი შეცვლა იყო საჭირო. ისლა მართლაც შეცვალეს, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად, სამხრეთამერიკელი **სიმონე პადოინმა** ჩაანაცვლა, ფეხბურთელმა, რომელსაც მიმდინარე სეზონში პრაქტიკულად არ უწევს თამაში.

რთული სათქმელია, რა ჩაიფიქრა ანჯელო ალესიომ, მაგრამ ფაქტია, რომ მისი გეგმა არ განხორციელდა. სიმონემ ხეირიანად ვერც კი მიიღო ბურთი და ბუნებრივია, რომ მარგი ქმედების კოეფიციენტი ნულის ტოლფასი ჰქონდა. რატომ პადოინი და არა ლიხტშტაინერი, ან თუნდაც **სიმონე პეპე**, რომელსაც შეტევის გაძლიერება შეეძლო, აუხსნელია...

### ლუსიო თამაშგარეში

მატჩის წინ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ **ლუსიოს** ტრავმა ჰქონდა და ამიტომ, ვერ მიიღებდა "მილანთან" პაექრობაში მონაწილეობას. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაცხადდა, ბრაზილიელ მცველს უბრალოდ მწვრთნელები აღარ ენდობიან და იმიტომ აღარ ჩანს "იუვეს" ძირითად შემადგენლობაში. ლუსიო თადარიგში გახლდათ, სასტარტოში კი **ანდრეა ბარცალისთან** და **ლეონარდო ბონუჩისთან** ერთად. **მარტინ კასერესი** ვიხილეთ. არადა, ურუგვაელი უკიდურეს შემთხვევაში განაპირა მცველია, ხშირად კი სულაც გარემარბად ირჯება - მისი ცენტრში დაყენება აშკარა შეცდომა იყო, რადგან ტურინელთა საჯარიმოში სწორედ კასერესის გამო, ხშირად პანიკური ვითარება იქმნებოდა. ფაქტია, კასერესი არ არის ცენტრალური მცველი და რთული სათქმელია, რატომ იყო ძირითად შემადგენლობაში, როდესაც ლუსიო სრულიად ჯანმრთელია.

### სებასტიან ჯოვინკო და ჩაწოდებები

"იუვენტუსმა" გოლი პირველივე ტაიმში გაუშვა და მეორეში მატჩის გადასარჩენად გავიდა მინდორზე. ასეთ დროს, ბევრი რამე მწვრთნელზეა დამოკიდებული, რომელმაც ხარვეზებზე დროული რეაგირება უნდა მოახდინოს და საჭირო ცვლილებები განახორციელოს როგორც შემადგენლობაში, ისე ტაქტიკა-სტრატეგიაში, ეს ყველაფერი კი ერთმანეთთან ჰარმონიაში უნდა იყოს მოყვანილი...

ანჯელო ალესიომ თამაშიდან ფაბიო კვალიარელა მოხსნა და ბრძოლაში **სებასტიან ჯოვინკო** ჩართო, რასაც მოჰყვა კიდეც "იუვეს" თამაშში სტრატეგიული ცვლილება. ტურინელებმა ჩაწოდებებზე გააკეთეს აქცენტი და მუდმივად მეტოქის საჯარიმოში კიდებდნენ ბურთს, სადაც სრულიად უმწეოდ გამოიყურებოდნენ სებასტიან ჯოვინკო და მირკო ვუჩინიჩი. ეს უკანასკნელი არასდროს გამოირჩეოდა მეორე სართულზე თამაშში, სებას სიმაღლე კი 1.64 სმ-ია და ამით ყველაფერია ნათქვამი. მოკლედ, კომბინაციურმა თამაშმა არ გაჭრა და მეორე ტაიმის შუაწელიდან ტურინელებმა ჩაწოდებებს უმატეს, ამ დროს კი მეტოქის საჯარიმოში სებასტიან ჯოვინკო ტრიალებდა და არა **ნიკლას ბენდტნერი**, ან თუნდაც **ალესანდრო მატრი**...

### უსამართლო, სამართლიანი გოლი

ზემოთ, ის მიზეზები ჩამოვთვალეთ, რამაც ტურინელთა მარცხი გამოიწვია და სანამ რამდენიმე კომენტარს გაგაცნობდეთ, ერთადერთ გოლზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. როგორც ტურინელთა კარს უკან მდგარმა რეფერიმ გადაწყვიტა, **მაურისიო ისლამ** "მილანის" ერთ-ერთი იერიშისას ბურთი ხელით შეაჩერა და ამისთვის თერთმეტმეტრიანი დაინიშნა. გამეორებაზე გამოჩნდა, რომ ბურთი უფრო ფერდში მოხვდა ისლას, ვიდრე ხელზე, თუმცა ამას უკვე აღარ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა - **რობინიომ** უმაღლესი საფეხბურთო სასჯელი გოლად აქცია, რამაც "მილანს" ჰაერივით საჭირო გამარჯვება მოუტანა. იტალიური საფეხბურთო სამყარო თანხმდება, რომ პენალტი არ იყო, თუმცა "როსონერი" იმსახურებდა იმ ერთ, გამარჯვების გოლს. აქვე, ტურინელები უნდა შევაქოთ, რომლებმაც მსაჯის შეცდომა ღირსეულად მიიღეს და აღნიშნეს, რომ გამარჯვებას სწორედ მილანური გრანდი იმსახურებდა.

**ჯუზეპე მაროტა (იუვენტუსის სპორტული დირექტორი):** *"სუსტ თამაშს არავითარი გამართლება არ აქვს და მარცხის მიზეზების ძიებისას მსაჯის შეცდომაზე ლაპარაკი არასერიოზულია. მიმდინარე სეზონში, ეს ჩვენი ყველაზე სუსტი შეხვედრა იყო და დამსახურებულად დავმარცხდით. გადაღლილობა? - თუ ყველა ფრონტზე წარმატების მიღწევა გვსურს, ასეთ რიტმს ფეხი უნდა ავუწყოთ".*

**ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი):** *"თერთმეტმეტრიანი არ იყო, მაგრამ მსაჯმა დანიშნა და უკვე ველარაფერს შევცვლით. მთავარია, რომ საშინლად ვითამაშეთ და მარცხს ვიმსახურებდით. დიდი დრო გვქონდა იმისთვის, რომ თამაში შემოგვებრუნებინა, მაგრამ საამისოდ პრაქტიკულად არაფერი გაგვიკეთებია. ეს მარცხი ჭკუის სასწავლებლად უნდა გამოვიყენოთ".*

**მასიმილიანო ალეგრი (მილანის მთავარი მწვრთნელი):** *"სათადარიგო სკამიდან მომეჩვენა, რომ ისლას ბურთი ხელზე მოხვდა, თუმცა გამეორებაზე გამოჩნდა, რომ მსაჯები შეცდნენ. რას ვიზამთ, ყოფილა შემთხვევები, როდესაც არბიტრებს ჩვენ დავუჩაგრივართ. ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, რომ ტურინელებმა მხოლოდ ერთხელ დაარტყეს ჩვენი კარის მიმართულებით, მაშინ, როდესაც ჯანლუიჯი ბუფონმა 4-5-ჯერ მაინც გადაარჩინა "იუვე" გაშვებული გოლისგან. ვიმსახურებდით მოგებას და მოვიგეთ კიდეც".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**


ანჯელო ალესიოს ნაბიჯებმა ბევრი კითხვის ნიშანი დატოვა

### გუშინ

**კალიარი-ნაპოლი 0:1**

**გოლი:** 0:1 ჰამშიკი (73).

**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი – პიზანო, როსეტინი, არიაუდო, აველარი – ეკდალი (80. იბარბო), კონტი, ნაინგოლანი – რიბეირო (83. ჩეპელინი) – საუ, ნენე (88. დესენა).

**ნაპოლი (3-5-1-1):** დე სანკტისი – გამბერინი, კანავარო, ბრიტოსი – მაჯო (65. მესტო), ბერამი, ინლერი, ჯემაილი (68. ვარგასი), ცუნიგა – ჰამშიკი – ინსინიე (83. დოსენა).

**გაფრთხილება:** როსეტინი, საუ - ჯემაილი.

**კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 15-16; **თამაშგარე:** 5-0; **კარში დარტყმა:** 9-12(3-4); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 10 000

**პარმა-ინტერი 1:0**

**გოლი:** 1:0 სანსონე (75).

**პარმა (4-4-2):** მირანტე – როზი (74. ბენალოუანე), ძაკარდო, პალეტა, გობი – მარკიონი, ვალდესი, ასკუა, სანსონე (77. ბელფოდილი) – ბიაბიანი, ამაური.

**ინტერი (4-4-2):** ჰანდანოვიჩი – ძანეტი, რანოკია, სამუელი, ჟუან ჟესუსი (86. დანკანი) – გუარინი, ალვარესი (74. კოუტინიო), კამბიასო (90. ლივაია), ნაგატომო – პალასიო, მილიტო.

**გაფრთხილება:** გობი, ვალდესი – პალასიო, დანკანი.

**კუთხური:** 8-7; **ჯარიმა:** 17-9; **თამაშგარე:** 4-5; **კარში დარტყმა:** 13-9(5-5); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 35 000

ლაციო-უდინეზე დღეს (23.45)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 14 | 10 | 2 | 2 | 29-10 | 32 |
| 2. ნაპოლი | 14 | 9 | 3 | 2 | 23-11 | 30 |
| 3. ფიორენტინა | 14 | 8 | 4 | 2 | 25-12 | 28 |
| 4. ინტერი | 14 | 9 | 1 | 4 | 26-16 | 28 |
| 5. ლაციო | 13 | 7 | 2 | 4 | 19-17 | 23 |
| 6. რომა | 14 | 7 | 2 | 5 | 31-23 | 23 |
| 7. პარმა | 14 | 5 | 5 | 4 | 17-18 | 20 |
| 8. კატანია | 14 | 5 | 4 | 5 | 18-20 | 19 |
| 9. მილანი | 14 | 5 | 3 | 6 | 21-18 | 18 |
| 10. ატალანტა | 14 | 6 | 2 | 6 | 14-20 | 18 |
| 11. უდინეზე | 13 | 3 | 7 | 3 | 18-20 | 16 |
| 12. სამპდორია | 14 | 5 | 2 | 7 | 17-19 | 16 |
| 13. კალიარი | 14 | 4 | 4 | 6 | 13-20 | 16 |
| 14. ტორინო | 14 | 3 | 7 | 4 | 15-14 | 15 |
| 15. პალერმო | 14 | 3 | 5 | 6 | 14-21 | 14 |
| 16. ჯენოა | 14 | 3 | 3 | 8 | 14-21 | 12 |
| 17. კიევო | 14 | 3 | 3 | 8 | 13-25 | 12 |
| 18. სიენა | 14 | 4 | 5 | 5 | 13-14 | 11 |
| 19. ბოლონია | 14 | 3 | 2 | 9 | 15-19 | 11 |
| 20. პესკარა | 14 | 3 | 2 | 9 | 9-25 | 11 |

*შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

### ბომბარდირები:

10 – ელ შაარავი (მილანი); 8 - კავანი (ნაპოლი), ლამელა (რომა), დი ნატალე (უდინეზე); 7 - მილიტო (ინტერი), კლოზე (ლაციო), ოსვალდო (რომა).

უცხოური ფეხბურთი

● გერმანია. ბუნდესლიგა. XIII ტურის შეჯამება/XIV ტურის წინ

# სიმშვიდე შტორმის წინ

## შაბათს ბაიერნი-დორტმუნდია, მანამდე - ინგლისური კვირა



იუპ ჰაინკესისა და იურგენ კლოპის გუნდები ერთმანეთს შაბათს შეხვდებიან, მანამდე კი ორივეს მოსაგები აქვს

### დღეს

**ბორუსია (დ)-ფორტუნა 23:00**

**ტრავმა:** ოვომოიელა - ბრუნო სუარესი, ლანგენეკე, ლეველსი, მალეზასი, დუ-რი ჩა

ბოლო 6 მატჩი

+4=4-1 | +1=1-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 36 თამაში: +15=7-14, (68:54)

**ჰანოვერი-ფიურტი 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** სარარერი (ფიურტი)
**ტრავმა:** ფელიპე, ანდრეასენი - ნდოიე, ტირალა, ფალი

ბოლო 6 მატჩი

+2=0-4 | +0=4-2

ბუნდესლიგაში არ უთამაშიათ

**ჰამბურგი-შალკე 23:00**

**ტრავმა:** რაიკოვიჩი, ირაჩეკი, ნიორგაარდი, სალა, ვან დერ ვაარტი, სონი - აფელაი, ჰიოგერი, მორიტცი

ბოლო 6 მატჩი

+2=1-3 | +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 88 თამაში: +34=21-33, (138:122)

**აინტრახტი-მაინცი 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** მატმური (აინტრახტი)
**ტრავმა:** ამედიკი, ანდერსონი, ფრენდი - ბუნგერტი, კირხჰოფი, ედე, ჩუპო-მოტინგი

ბოლო 6 მატჩი

+2=2-2 | +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 8 თამაში: +2=5-1, (10:10)

### ხვალ

**ბორუსია (მ)-ვოლფსბურგი 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** ჟოსუე (ვოლფსბურგი)
**ტრავმა:** დემსი, ლ. დე იონგი - პილარი, ჰელმესი

ბოლო 6 მატჩი

+2=2-2 | +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 4 თამაში: +7=3-14, (28:42)

**შტუტგარტი-აუგსბურგი 23:00**

**ტრავმა:** აუდელი, ბა, დიდავი, კაკაუ - იენჩი, რაინჰარდტი, ვერჰეგი

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 | +0=2-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 2 თამაში: +2=0-0, (5:2)

**ვერდერი-ლევერკუზენი 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** შმიტცი (ვერდერი)
**ტრავმა:** ბარგფრედე - კადლეცი, შვააბი, ბელარაბი, სემი

ბოლო 6 მატჩი

+3=2-1 | +4=1-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 54 თამაში: +22=27-15, (100:98)

**ფრაიბურგი-ბაიერნი 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** მუიჯა (ფრაიბურგი)
**ტრავმა:** გინტერი, ჰიონი, კალვენტე - რედერი, ჩანი, ლუის გუსტავო, რობენი

ბოლო 6 მატჩი

+3=2-1 | +4=1-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 26 თამაში: +3=5-18, (23:56)

**ნიურნბერგი-ჰოფენჰაიმი 23:45**

**დისკვალიფიკაცია:** ფოილნერი (ნიურნბერგი)
**ტრავმა:** შტეფანი, ჰლუშეკი, მენდლერი - ვიზე, კრისი, თესკერი, ვესტერგაარდი, მალბაშიჩი, ვუკჩევიჩი

ბოლო 6 მატჩი

+1=3-2 | +1=2-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 6 თამაში: +1=2-3, (5:10)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 13 | 11 | 1 | 1 | 38-5 | 34 |
| 2. ბორუსია (დ) | 13 | 7 | 4 | 2 | 28-14 | 25 |
| 3. შალკე | 13 | 7 | 3 | 3 | 23-15 | 24 |
| 4. აინტრახტი | 13 | 7 | 3 | 3 | 26-19 | 24 |
| 5. ლევერკუზენი | 13 | 7 | 3 | 3 | 23-18 | 24 |
| 6. ფრაიბურგი | 13 | 5 | 4 | 4 | 19-14 | 19 |
| 7. ვერდერი | 13 | 5 | 3 | 5 | 21-19 | 18 |
| 8. ჰანოვერი | 13 | 5 | 2 | 6 | 25-25 | 17 |
| 9. მაინცი | 13 | 5 | 2 | 6 | 16-16 | 17 |
| 10. ჰამბურგი | 13 | 5 | 2 | 6 | 12-16 | 17 |
| 11. ბორუსია (მ) | 13 | 4 | 5 | 4 | 19-24 | 17 |
| 12. შტუტგარტი | 13 | 4 | 4 | 5 | 14-23 | 16 |
| 13. ვოლფსბურგი | 13 | 4 | 3 | 6 | 13-20 | 15 |
| 14. ფორტუნა | 13 | 3 | 5 | 5 | 13-18 | 14 |
| 15. ნიურნბერგი | 13 | 3 | 4 | 6 | 10-18 | 13 |
| 16. ჰოფენჰაიმი | 13 | 3 | 3 | 7 | 19-28 | 12 |
| 17. ფიურტი | 13 | 1 | 5 | 7 | 10-23 | 8 |
| 18. აუგსბურგი | 13 | 1 | 4 | 8 | 9-23 | 7 |

**ბომბარდირები:** 9 – მანჯუკიჩი (ბაიერნი), ა. მაიერი (აინტრახტი); 8 – კისლინგი (ლევერკუზენი), სალაი (მაინცი); 7 – ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/), თ. მიულერი (ბაიერნი).

**ბუნდესლიგა ამოსუნთქვის საშუალებას არ გვაძლევს: გერმანიაში „ინგლისური კვირაა“. მართალია, მთელი საფეხბურთო გერმანიის კონცენტრაცია „ბაიერნისა“ და „დორტმუნდის“ დუელისკენაა მიმართული, რომელიც შაბათს გაიმართება, მაგრამ მანამდე ლიდერსა და მეორეადგილოსანს მოსაგები კალენდარული მატჩები აქვთ - „ბორუსია“ დღეს დიუსელდორფის „ფორტუნას“ მასპინძლობს, ხოლო „ბაიერნი“ ხვალ „ფრაიბურგს“ სტუმრობს. გარდა ამისა, ფრანკფურტსა და შტუტგარტში დერბებია, ჰამბურგში კი - ბუნდესლიგის ერთ-ერთი კლასიკა: HSV „შალკეს“ მასპინძლობს.**

მე-13 ტურმა ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილის სათავეში სიტუაცია ისე დაალაგა, როგორც ამას მთელი საფეხბურთო გერმანია ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე ელოდა: მოქმედი ჩემპიონი და თასის მფლობელი დორტმუნდის „ბორუსია“ მაინცში მიღწეული წარმატების (2:1) შემდეგ მეორე ადგილზე აწევდა და უკვე რეკორდმაისტერის ნომერ პირველი მდევარია. მომხდარი თავის მხრივ „შალკესა“ და „აინტრახტის“ დამსახურებაცაა, რომლებმაც შაბათს ერთმანეთში ფრე ითამაშეს და დაამტკიცეს, რომ „ბაიერნის“ სერიოზულ მდევრებად არ ვარგიან. ასეა თუ ისე, მომდევნო შაბათი მთავარ კითხვას სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც უპასუხებს, რადგან შაბათს, ჩვენი დროით 21:30-ზე „ბაიერნი“ სწორედ „დორტმუნდის“ წინააღმდეგ წარსდგება, რაც არა მარტო ამ ტურის, ან პირველი წრის, არამედ მთელი სეზონის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩია (მეორე საპასუხო შეხვედრა იქნება). თუმცა გერმანიის საფეხბურთო ლიგამ ამ მატჩის წინ „ინგლისური კვირა“ ჩააკვეხა - მე-14 ტურის მატჩები დღეს და ხვალ გაიმართება.

### დორტმუნდი: ბაიერნამდე ფორტუნა

„დორტმუნდს“ დღეს „ფორტუნა“ ელოდება, რაც **იურგენ კლოპის** გუნდისთვის მორიგ სამ ქულას უნდა ნიშნავდეს. დორტმუნდელები ბოლო დროს ფორმაში შევიდნენ და ისევ ზომიერად, აგრესიული, თვალსასეირო ფეხბურთის ჩვენება დაიწყეს. „ბორუსიამ“ „ფიურტს“ 3:1 მოუგო, მაინცში 2:1 გაიმარჯვა და მეორე ადგილზე აძვრა. თანაც, კლოპის ბიჭებმა ეს „აიაქსთან“ მნიშვნელოვანი საჩემპიონთალიგო მატჩის ფონზე გააკეთეს. „მაინცთან“ გამარჯვების შემდეგ კლოპმა თავის შეგირდებს „მენტალური მონსტრები“ უწოდა. ამავდროულად, ფორმაში შევიდა დორტმუნდელთა მთავარი გოლეადორი **რობერტ ლევანდოვსკიც**, რომელმაც „მაინცს“ ერთმანეთზე უკეთესი გოლები გაუტანა და ზედიზედ მეოთხე დუბლი შეასრულა.

ერთი სიტყვით, „ფორტუნას“ დღეს ურთულესი გამოცდის ჩაბარება მოუწევს, თუმცა დიუსელდორფელები კარგ ხასიათზე არიან, რადგან პარასკევს „ჰამბურგი“ 2:0 დაამარცხეს, რაც „ფორტუნასთვის“ 1997 წლის 5 აპრილის შემდეგ ბუნდესლიგაში პირველი საშინაო გამარჯვება გახლდათ (მაშინ „ზანკტ პაული“ 2:0 დაამარცხეს). მთავარ მწვრთნელ **ნორბერტ მაიერს** დღევანდელი შეხვედრისთვის საკადრო პრობლემები აქვს - განსაკუთრებით დაცვაში უჭირს: **ლანგენეკე** და **ლეველსი** პარასკევის შემდეგ ტრავმირებულები არიან.

### ჰანოვერი: ბაიერნის შემდეგ ფიურტი

ამბიციური და საკმაოდ სიმპათიური „ჰანოვერი“ შაბათს მიუნხენში 0:5 განადგურდა, თუმცა „წითლებს“ „ალიანს არენაზე“ ახლო წარსულში უფრო დიდი სხვაობით მარცხიც ახსოვთ - ორი წლის წინ „ბაიერნმა“ „ჰანოვერი“ სულაც 7:0 გაანადგურა. ამ სეზონში რეკორდმაისტერთან წაგება კატასტროფა არავისთვისაა, მაგრამ ჰანოვერში ეს მარცხი მაინც მინიკრიზისად „მონათლეს“. დღეს **მირკო სლომკას** გუნდს დებიუტანტ „ფიურტთან“ ექნება საქმე, რაც „ჰანოვერისთვის“ წნეხსაც ნიშნავს - გუნდი ვალდებულია, ერთ-ერთ აუტსაიდერთან სამი ქულა აიღოს. თავის მხრივ, „ფიურტმა“ „ნიურნბერგთან“ ემოციური დერბი (0:0) გადაიტანა. საინტერესოა ისიც, რომ ფიურტელებს ამ სეზონში სულ 8 ქულა აქვთ აღებული და აქედან 6 გასვლით მატჩებში მოიპოვეს, რაც იმას ნიშნავს, რომ **მაიკ ბიუსკენსის** გუნდი სტუმრად უფრო კარგად თამაშობს ხოლმე, ვიდრე შინ.

### ჰამბურგი ვან დერ ვაარტის გარეშე, ანუ, უშანსოდ?

„ჰამბურგმა“ დიუსელდორფში არა მარტო სამი ქულა, არამედ **რაფაელ ვან დერ ვაარტიც** დაკარგა - ჰოლანდიელი დაშავდა და დიდი შანსია, პირველი წრის ბოლომდე ველარ ითამაშოს. ამასთან, „ფორტუნასთან“ 0:2-ზე წაგებულ მატჩში ტრავმა მიიღო **სონმაც** - ფეხბურთელმა, რომელსაც ბოლო დროს მნიშვნელოვანი გოლები გაჰქონდა და დღეს „შალკესთან“ ვერც ეს უკანასკნელი ითამაშებს. თუმცა ჩრდილოელთა თავკაცც **ტორსტენ ფინკს** სონისაზე მეტად ვან დერ ვაარტის ტრავმა აღარდებს, რადგან „ჰამბურგმა“ ამ სეზონში ჰოლანდიელი დივას გარეშე სამი მატჩი ჩაატარა, ბალანსი კი ასე გამოიყურება: სამი წაგება, ბურთების შეფარდება - 0:5. გასულ უქმეებზე მოგებას გეგმავდნენ შალკელებიც, მაგრამ „აინტრახტს“ ვერაფერი დააკლეს (1:1), თავად კი მეორე ადგილი დაკარგეს.

### ფეეს რევანში სურს

თავის მხრივ, „შალკესთან“ მიღწეული 1:1-ით ფრანკფურტელები კმაყოფილები დარჩნენ - მიუხედავად იმისა, რომ გელზენკირხენიდან სამი ქულის წაღებაც შეეძლოთ. „მაინცთან“ დერბის წინ „აინტრახტის“ თავკაცს **არმინ ფეეს** საკადრო პრობლემები მიეძალა: **მატმური** „შალკესთან“ გააძევეს და დისკვალიფიცირებულია, **ანდერსონი** კი დაშავდა. ფრანკფურტელებს „მაინცთან“ უკანასკნელი დუელი ძალიან ცუდად ახსოვთ: ეს მატჩი 2011 წლის აპრილში გაიმართა და „აინტრახტი“ საკუთარ მოედანზე 0:3 დამარცხდა, ორი კვირის შემდეგ კი ფრანკფურტული კლუბი ოფიციალურად გავარდა პირველი ბუნდესლიგიდან.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### საუკეთესო ფეხბურთელები

XIII ტურის შემდეგ, „კიკერის“ შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | შეფასება | ს/შ |
|---|---|---|---|
| 1. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 8 | 1.75 |
| 2. კევინ ტრაპი | აინტრახტი | 13 | 2.15 |
| 3. რენე ადლერი | ჰამბურგი | 13 | 2.23 |
| 4. აარონ ჰანტი | ვერდერი | 13 | 2.35 |
| 5. თომას მიულერი | ბაიერნი | 12 | 2.36 |
| 6. სებასტიან როდე | აინტრახტი | 13 | 2.50 |
| 7. მარიო გიოტცე | ბორუსია (დ) | 12 | 2.55 |
| 8. დიეგო ბენალიო | ვოლფსბურგი | 13 | 2.62 |
| 9. ბასტიან შვაინშტაიგერი | ბაიერნი | 13 | 2.63 |
| 10. ტონი კროოსი | ბაიერნი | 13 | 2.67 |

გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. თომას მიულერი | ბაიერნი | 12 | 7 | 8 | 15 |
| 2. რობერტ ლევანდოვსკი | ბორუსია (დ) | 12 | 9 | 3 | 12 |
| 3. ჟაბოლჩ ჰუშტი | ჰანოვერი | 12 | 3 | 7 | 10 |
| 4. შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | 13 | 8 | 2 | 10 |
| 5. ტონი კროოსი | ბაიერნი | 13 | 5 | 5 | 10 |
| 6. მარიო მანჯუკიჩი | ბაიერნი | 12 | 9 | 1 | 10 |
| 7. ალექსანდერ მაიერი | აინტრახტი | 13 | 9 | 1 | 10 |
| 8. მარკო როისი | ბორუსია (დ) | 13 | 5 | 5 | 10 |
| 9. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 8 | 4 | 6 | 10 |
| 10. შტეფან აიგნერი | აინტრახტი | 13 | 5 | 4 | 9 |

XIII ტურის გმირი

### ტონი კროოსი (ბაიერნი)



**ტონი კროოსს** მატჩის დასაწყისშივე ეტყობა ხოლმე, ნაუვა თუ არა თამაში. შაბათს, „ჰანოვერთან“ 5:0-ზე მოგებულ შეხვედრაში 22 წლის შემტევ ნახევარმცველს თამაში პირველივე წუთებიდან წაუვიდა - მისი პირველივე კუთხური გოლით დაგვირგვინდა, რის შემდეგაც კროოსმა აკეთა ყველაფერი, რაც ყველაზე კარგად შეუძლია. მონაწილეობდა კომბინაციებში, არიგებდა „გემრიელ“ პასებს, ურტყამდა კარისკენ და კარში. მეორე გოლი თავად გაიტანა და ამ გოლის ნახვა ერთ რამედ ღირს, საერთო ჯამში კი, ხუთიდან ოთხ გოლში უშუალოდ მონაწილეობდა. ტონის მიმდინარე სეზონში ბუნდესლიგაში უკვე 5 გოლი აქვს გატანილი - 13 ტურის შემდეგ ასეთი მაჩვენებელი მას აქამდე არასდროს ჰქონია.

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XIII ტურის შეჯამება

# დიდი დაბრუნება და იმედები




ჩელსის ფანების გულის მოგება ძალიან რთული იქნება

სამწვრთნელო ასპარეზზე **რაფა ბენიტესის** დაბრუნება, რასაკვირველია, კიდევ დიდხანს იქნება ინგლისური პრესის ფავორიტი თემა. ამ წუთას ის მასმედიის წარმომადგენლებისგან ზეწოლას ნაკლებად გრძნობს, რადგან ჯერ ერთი კვირაც არ გასულა, რაც ესპანელმა ეს ნაბიჯი გადადგა, მაგრამ თუკი რაფამ "ლურჯების" თამაშის ხარისხი უახლოეს ხანებში არ გამოასწორა, ცხადია, მას არც ჟურნალისტები და არც ფანები არ დაინდობენ. სიმართლე ითქვას, უკანასკნელები მას გაშლილი ხელებით არც სადებიუტო მატჩისას შეხვედრიან. "სტემფორდ ბრიჯზე" მრავლად ნახავდით მისი წინამორბედის სამადლობელ პლაკატებს და ეს კიდევ არაფერი, ჩვენ გვიყვარს **რობერტო დი მატეო**, ბენიტესს კი ვერასოდეს მივიღებთო, ღაღადებდა მავანი გულშემატკივრის ბანერი. ბენიტესს ინგლისურ ფეხბურთში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს და უნდა ესმოდეს, რომ "ჩელსის" თავგადაკლული ფანების გულის მოგება ძალიან გაუჭირდება. ამ ყოველივეზე 52 წლის სპეციალისტი "სიტისთან" მატჩის დასრულების შემდეგ ალაპარაკდა:

- ძალიან ბევრი ვიმუშავეთ და შესაძლო შეცდომების შესაძლებლობა მინიმუმამდე დავიყვანეთ. მათ შორის ისეთების, რომლის უფლებასაც გუნდი წინა მატჩებში ხშირად აძლევდა საკუთარ თავს. თავდაპირველად "სიტის" კონტრიერიშებმა სერიოზული პრობლემები შეგვიქმნა, თუმცა მეორე ტაიმში ბევრად ეფექტურად ავთამაშდით. დაცვამ მართლა მაღალ დონეზე ითამაშა. შუა ხაზი კი სათანადოდ შეთამაშებული არ მომეჩვენა. ამ მხრივ მუშაობა კიდევ მოგვიწევს.

ფერნანდო ტორესი, გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, ძალიან ბევრს მოძრაობს. მას მთელი გუნდი უნდა დაეხმაროს, რათა იმის მოლოდინში არ ვიყოთ, როდის შეუქმნის "ელ ნინიო" თავის თავს საგოლე სიტუაციას. თავდამსხმელებს მეტი ხელის შეშველება სჭირდებათ. სულაც არ ვცდილობ, გუნდის აშენებას ფერნანდოს გარშემო. ჩემი მიზანია, გუნდის აგება თავდამსხმელისა და ვინგერების ირგვლივ. რაკი ამ წუთას შეტევების დაგვირგვინება ტორესს ევალება, გამოდის, რომ ჩვენ მასზე უნდა ვითამაშოთ. იმავეს გავაკეთებთ, როცა მის პოზიციაზე ვიქტორ მოზესი ან დენიელ სტარიჯი აღმოჩნდებიან.

მთელი ჩემი ყურადღება მატჩის მიმდინარეობაზე იყო გადატანილი და ფანებს ნაკლებად ვუსმენდი. მესმის იმ ადამიანების, რომლებიც წარსულის გამო ჩემში ჯერ კიდევ მეტოქეს ხედავენ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ უმრავლესობას ესმის, მე პროფესიონალი ვარ და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ამჟამინდელ კლუბთან ერთად დადებით შედეგებს მივაღწიო. გულშემატკივრები თავიანთ გუნდს ყოველთვის გვერდში უდგანან ხოლმე. იმედს ვიტოვებ, ადრე თუ გვიან მათ ნდობას მაინც მოვიპოვებ. როგორ ვაპირებ ჩემდამი დამოკიდებულების შეცვლას? თავდადებული შრომითა და გამარჯვებებით.

### ბომბარდირები

10 - **ლუის სუარესი** (ლივერპული)
8 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **დემბა ბა** (ნიუკასლი)
7 – **მიგელ მიჩუ** (სუონსი), **ჯერმეინ დეფო** (ტოტენჰემი)
6 - **ედინ ჯეკო** (მანჩესტერ სიტი), **მარუან ფელაინი** (ევერტონი), **სტივენ ფლეტჩერი** (სანდერლენდი), **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი)

### ასისტენტები

6 - **ხუან მატა** (ჩელსი), **უეინ რუნი** (მანჩესტერ იუნაიტედი)
5 - **ედენ აზარი** (ჩელსი), **ბრაიან რუისი** (ფულჰემი)
4 – **თეო უოლკოტი** (არსენალი), **ადამ ლალანა** (საუთჰემპტონი), **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი), **უეინ რუტლეჯი** (სუონსი), **ჯობი მაკანუფი** (რედინგი), **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **შეინ ლონგი** (ვესტ ბრომვიჩი)
5 - **ჯეიმს მაკარტური** (უიგანი), **ერიკ ლიშაი** (ასტონ ვილა), **პოლ სქოულზი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **კარიმ ელ-აჰმადი** (ასტონ ვილა), **მარკ ნოუბლი** (ვესტ ჰემი)
4 - **ჯეიმს კოლინზი** (ვესტ ჰემი), **ჯეიმს პერჩი** (ნიუკასლი), **ლუის სუარესი** (ლივერპული), **უინსტონ რიდი** (ვესტ ჰემი), **ფილ ნევილი** (ევერტონი), **ხონას გუტიერესი** (ნიუკასლი), **სამბა დიაკიტე** (ქუინზ პარკი), **ესტებან გრანერო** (ქუინზ პარკი), **კრის ბერდი** (ფულჰემი), **მორგან შნაიდერლინი** (საუთჰემპტონი), **ჯეიმს მაკარტი** (უიგანი)

### გოლი+პასი

12 - **ლუის სუარესი** (ლივერპული) - 10+2, **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი) - 8+4
10 - **ხუან მატა** (ჩელსი) – 4+6, **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი) – 6+4
9 – **მარუან ფელაინი** (ევერტონი) – 6+3, **ჯერმეინ დეფო** (ტოტენჰემი) 7+2, **შეინ ლონგი** (ვესტ ბრომვიჩი) – 5+4
8 – **დემბა ბა** (ნიუკასლი) – 8+0, **მიგელ მიჩუ** (სუონსი) - 7+1, **ედენ აზარი** (ჩელსი) – 3+5, **უეინ რუნი** (მანჩესტერ იუნაიტედი) 2+6

### გაფრთხილებები

6 – **დინ უაიტჰედი** (სტოკ სიტი), **ანხელ რანხელი** (სუონსი), **კრეიგ გარდნერი** (სანდერლენდი)

### სეზონის 5 საუკეთესო ფეხბურთელი EA SPORTS-ის მიხედვით

1. **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი)
2. **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნ.)
3. **ლეიტონ ბეინსი** (ევერტონი)
4. **ხუან მატა** (ჩელსი)
5. **ედენ აზარი** (ჩელსი)

### ზოგადი სტატისტიკა ლიგისთვის

129 მატჩი
86 მოგება
43 ფრე
62 მშრალად შენახული კარები
11 უგოლო მატჩი
360 გოლი
20 პენალტი
2.83 საშუალო შედეგიანობა
17 ავტოგოლი
448 ფეხბურთელი
289 ლეგიონერი
71 ეროვნების მოთამაშე
26.2 საშუალო ასაკი
3 ჰეთთრიკი
368 ყვითელი ბარათი
21 წითელი ბარათი

### ტურის გმირი

"უიგანში" **ხორდი გომესი** ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად არც კი განიხილებოდა. ყოველ შემთხვევაში ასე იყო აქამდე. 27 წლის უკანდახეული თავდამსხმელი **ფრანკო დი სანტოს** შემცვლელის როლით კმაყოფილდებოდა. მან პრემიერლიგის 10 შეხვედრაში ითამაშა და აქედან 7-ჯერ შეცვლაზე. ამ ყოველივეს ფონზე გომესის აფეთქება და ტურის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელება შეიძლება ვილაცისთვის მოულოდნელი იყოს, მაგრამ "რედინგის" კარში შესრულებული ჰეთთრიკით მან ეს ალალად დაიმსახურა.

### ტურის მწვრთნელი

"უიგანმა" XIII ტურში უშუალო კონკურენტი "რედინგი" მატჩის ბოლო წამებზე გატანილი ბურთის წყალობით დაამარცხა. **რობერტო მარტინესმა** ცუდ ფორმაში მყოფი ძირითადი თავდამსხმელის ნაცვლად მისი დუბლიორი დააყენა და როგორც იტყვიან, ათიანში გაარტყა.

### მომდევნო ტური

| დღეს | |
|---|---|
| სანდერლენდი-ქუინზ პარკი | 23:45 |
| ასტონ ვილა-რედინგი | 00:00 |
| **ხვალ:** | |
| საუთჰემპტონი-ნორვიჩი | 23:45 |
| სტოკ სიტი-ნიუკასლი | 23:45 |
| სუონსი-ვესტ ბრომვიჩი | 23:45 |
| ტოტენჰემი-ლივერპული | 23:45 |
| ჩელსი-ფულჰემი | 23:45 |
| ევერტონი-არსენალი | 23:45 |
| უიგანი-სიტი | 23:45 |
| იუნაიტედი-ვესტ ჰემი | 00:00 |

## ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




### ამბები



## ვალენსიას ბედი ჯერ არ გარკვეულა

"მანჩესტერ იუნაიტედის" 27 წლის ნახევარმცველის, 27 წლის **ანტონიო ვალენსიას** თაობაზე ვებგვერდები ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციებს ავრცელებენ. ESPN-ის მტკიცებით, ფეხბურთელს ბარძაყი ჯერ კიდევ აწუხებს და "ვესტ ჰემთან" პრემიერლიგის XIV ტურის შეხვედრისთვის მზად არ იქნება. სხვა წყაროებს კი **ალექს ფერგიუსონის** ციტატა მოჰყავთ, სადაც 70 წლის შოტლანდიელი იმედს იტოვებს, რომ ვალენსია "ჩაქუჩებთან" მინდორზე იქნება. *"მას ფეხი აწუხებდა, მაგრამ ამის გამო თამაშზე უარი არ უთქვამს. ერთხელაც კი არ დაუჩივლია. ანტონიო უცნაური კაცია. დარწმუნებული ვარ, რომ ის დიდი ხნით არ გამოგვაკლდება. მომდევნო შეხვედრებისთვის წესით უკვე მზად უნდა იყოს,"* – აცხადებს "ეშმაკების" მთავარი მწვრთნელი.

## 40 მილიონი ტრანსფერებისთვის

"არსენალის" 62 წლის მთავარი მწვრთნელი **არსენ ვენგერი** იანვარში კლუბისგან 40 მილიონ ევროს მიიღებს ფეხბურთელების შესაძენად. მიზანი დღესავით ნათელია – გუნდი იმდენად უნდა გაძლიერდეს, რომ კიდევ ერთხელ მოახერხოს ჩემპიონობისთვის ბრძოლა თუ არა, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება მაინც. "ტელეგრაფის" ინფორმაციით, თანხის გამოყოფა მას მერე გახდა შესაძლებელი, რაც "არსენალმა" "ემირატსთან" გაახანგრძლივა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც კლუბი 5 წლის განმავლობაში 150 მილიონ ფუნტს მიიღებს. *"ახალი კონტრაქტი იმას ნიშნავს, რომ ინვესტორებს სჯერათ ჩვენი. სჯერათ, რომ სწორი მიმართულებით ვვითარდებით. შეიძლება ითქვას, ეს გარკვეულწილად ავანსია ჩვენი მომავალი პროგრესისთვის. შევეცდებით, ფული მაქსიმალურად ჭკვიანურად დავხარჯოთ. ვილაცებს თავიდანვე არ სჯეროდათ ჩემი, მაგრამ "არსენალს" პრემიერლიგაში 1600-მდე შეხვედრაში ვუხელმძღვანელე, ჩემპიონთა ლიგაში კი 200-ჯერ, ანუ ცოტა გამიმართალა კიდეც,"* – დასძინა ჩვეული ირონიით ვენგერმა.



## დენი სიმპსონი სკანდალში გაეხვა

"ნიუკასლის" 25 წლის მცველმა **დენი სიმპსონმა** სერიოზულ სკანდალში გაყო თავი. ეს ამბავი "სანმა" გამოჩხრიკა და ფეხბურთელი გაზეთის ფურცლებზე გამოაჭენა. დენისა და ტელევარსკვლავ **ტულისა კონტოსტავლოსს** შორის (ბრიტანული X Factor-ის მონაწილე) ურთიერთობა სულ რამდენიმე კვირის დაწყებული იყო, როცა ჯორდების მცველმა sms-ებით მსუბუქი ყოფაქცევის ქალბატონის **ჯენი ტომპსონის** მოხიბვლა სცადა. ეს უკანასკნელი მთელ ბრიტანეთში გახდა ცნობილი მას მერე, რაც **უეინ რუნისა** და **მარიო ბალოტელისთან** მოასწრო ხანმოკლე "რომანების"



გაბმა. ყველაზე მიულებელი კი ის არის, რომ ეს ყველაფერი 3-4 ნოემბრის ღამეს, "ლივერპულთან" მატჩის წინ ხდებოდა. სიმპსონი ფეხბურთზე კონცენტრაციის ნაცვლად 7 საათის განმავლობაში ტელეფონზე იყო ჩამოკიდებული. "სანი" ჯენი ტომპსონსაც დაუკავშირდა, ვინც მხოლოდ მოკლე კომენტარი გააკეთა: *"ის პლეიბოია. შემიძლია ტულისას ვურჩიო, რომ ძალიან ფრთხილად იყოს. მასში ერთგულების აშკარა დეფიციტია"*.

ინფორმაციამ ტულისა კონტოსტავლოსი წყობილებიდან გამოიყვანა და როგორც ამბობენ, ამ ეტაპზე ფეხბურთელთან ურთიერთობას თავს არიდებს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ბარსელონა

# ბარსას წარმატების საიდუმლო: ლა მასია

## სამი გოლი მიულერამდე, მოგება რეკორდამდე

**კვირას ჩემპიონატის ლიდერმა „ბარსელონამ“ „ლევანტე“ 4:0 გაანადგურა და ერთი მოგებალა აშორებს ლა ლიგის ისტორიაში ყველა დროის საუკეთესო სტარტთან, ლიონელ მესიმ დუბლი შეასრულა, არგენტინელს 2012 წელს 82 გოლი გაუხდა, სამი გოლიც და ის ლეგენდარული გერმანელის, გერდ მიულერის რეკორდს დაეწევა, წინა დღით „რეალმა“ წააგო, ასე რომ, „ბარსას“ ახლა უმთავრეს კონკურენტთან 11-ქულიანი უპირატესობა აქვს... მაგრამ აქ ჩამოთვლილი ამბები ახლოსაც ვერ მოვა იმასთან, რაც „სიუტატ დე ვალენსიაზე“ 14-დან 75-ე წუთის ჩათვლით მოხდა.**

### ლა მასია - შესანიშნავი თერთმეტეული!

მე-13 წუთზე ტრავმა მიიღო „ბარსას“ მარჯვენა მცველმა **დანი ალვეშმა** და მან თამაში ველარ გააგრძელა. მის ნაცვლად კი ახალგაზრდა **მარტინ მონტოია** ვიხილეთ და... მოედანზე ერთდროულად, „ბარსელონას“ აკადემია „ლა მასიას“ 11 ალზრდილი ვიხილეთ. ეს გაგრძელდა 75-ე წუთამდე, როცა მოედანზე კიდევ ერთი ბრაზილიელი, **ადრიანო** შევიდა. მაშ ასე, ევროპულმა გრანდმა საათზე მეტი მთლიანად საკუთარი სპორტსკოლის ალზრდილებით ითამაშა! კარში **ვიქტორ ვალდესი**, დაცვაში მონტოია, **ჟერარდ პიკე, კარლეს პუიოლი, ხორდი ალბა**. ნახევარდაცვაში: **ჩავი, სერხიო ბუსკეტსი, ანდრეს ინიესტა**, თავდასხმაში: **პედრო, ლეო მესი** და **სესკ ფაბრეგასი**. ასეთი რამ ევროპის ტოპ-5-ეულის ლიგებში უბრალოდ გამორიცხულია („ბილბაოს“ თუ არ ჩავთვლით, თუმცა ბასკური კლუბი საერთოდ სხვა ფენომენია) და არც უფრო დაბალი დონის ლიგებშია ხშირი. სხვათა შორის, ამ ხნის განმავლობაში „ბარსამ“ ოთხი უპასუხო გოლი გაიტანა „ლევანტეს“ კარში, გუნდი კი აწყობილი ორგანიზმივით - უნაკლოდ მოქმედებდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ „ბარსელონას“ უახლეს ისტორიაში ეს ფაქტი პირველად დაფიქსირდა.

პირველი გუნდის 24 წევრიდან 16 „ლა მასიას“ ალზრდილია, „მშობლიურია“ აგრეთვე მთელი სამწვრთნელო შტაბი. გუნდის ოთხივე კაპიტანი (პუიოლი, ჩავი, ინიესტა, ვალდესი) ადგილობრივი კადრია. ამათში მხოლოდ ლეო მესია უცხოელი, მაგრამ, შეგახსენებთ, რომ „ლა პულგა“ 13 წლის ასაკიდან „ბარსელონაშია“ და თავისუფლად შეიძლება ამ კლუბის ალზრდილად ჩაითვალოს.

### ვილანოვა ანტიჩს გაუთანაბრდა, ისტორიისთვის ბილბაოს დამარცხებაა საჭირო

რეკორდი ზემოთაც ვახსენეთ - ვალენსიაში მოგებით **ტიტო ვილანოვას** გუნდმა „რეალის“ 21-წლისწინანდელი რეკორდი გაიმეორა - 13 საწყის ტურში 12 მოგება და 1 ფრე. შაბათს „კამპ ნოუს“ ბილბაოს „ატლეტიკი“ ეწვევა და თუკი კატალონიელები კრიზისში მყოფ ბასკებსაც დაამარცხებენ, ლა ლიგის ყველა დროის რეკორდი დაემხობა. ამაზე უკეთეს სტარტს 44 წლის დებიუტანტი მწვრთნელი ვერც კი ინატრებდა.

მოდი, წარსულიც გავიხსენოთ - 1991/92 წლების სეზონში „რეალს“ **რადომირ ანტიჩი** წვრთნიდა, სერბი სპეციალისტი, რომელიც 2010 წლის მერე უმუშევარია. ანტიჩი უნიკალური ადამიანია, ის ერთადერთი მწვრთნელია, რომელსაც „რეალი“, „ბარსელონა“ და „ატლეტიკო“ გაუწვრთნია. სერბის თავკაცობით, „რეალმა“ 1991 წელს 13 მატჩიდან 12 მოიგო და 1 ფრედ დაასრულა. აქამდე ეს ითვლებოდა ლა ლიგის საუკეთესო სტარტად ისტორიაში. გაინტერესებთ, როგორ დასრულდა ანტიჩის წარმატების ისტორია? მან კიდევ 6 ტური განვრთნა „სამეფო კლუბი“ და... მოხსნეს. როცა ანტიჩი გაუშვეს, „რეალი“ 7-ქულიანი ჰანდიკაპით იგებდა ლა ლიგას და გასული იყო უეფას თასის მეოთხედფინალში! ანტიჩის სარეკორდო სვლა მე-14 ტურში „სარაგოსასთან“ საგარეო ფრით დასრულდა, ის სეზონი კი „ბარსელონამ“ მოიგო.

### ალვეში, თითქმის წლის ბოლომდე

და მაინც, ყველაფერი იდეალურად არც „ბარსელონაშია“. ვილანოვამ, თითქოს, ამოისუნთქა - დაცვაში საკადრო პრობლემები მოიხსნა, როცა დანი ალვეშმა ახალი ტრავმა მიიღო. ბრაზილიელმა ბარძაყის კუნთი დაიშავა და თამაშის დასაწყისშივე გამოეთიშა ბატალიას. არადა, ბრაზილიელმა სულ ახლახან მოირჩინა ტრავმა მარცხენა ფეხზე და მოედანს დაუბრუნდა, ახლა ალვეშმა მარჯვენა დაიზიანა. 29 წლის მცველი ბოლო დროს ხშირად შავდება. გუშინ ექიმებმა ხელმეორედ შეამოწმეს ბრაზილიელი და მას 20 დღით დასვენება გამოუწერეს. ასე რომ, მას წლეულს ალბათ ველარ ვიხილავთ.

### 16-წუთიანი გაელვება და უკან მოტოვებული ამორი

ლეო მესი ყურადღების ცენტრშია, თუმცა „ლევანტესთან“ შეხვედრაში იყო ერთი ფეხბურთელი, რომელმაც თვით არგენტინელი სუპერვარსკვლავი დაჩრდილა - ანდრეს ინიესტა. ეს 28 წლის ნახევარმცველის დამსახურებაა, რომ „ლევანტეს“ კარში 4 გოლი გავიდა. ანდრესმა სამი საგოლე პასი დაარიგა და ერთი გოლიც თავად გაიტანა, თანაც ბრწყინვალე სტილში. სხვათა შორის, ეს პირველი გოლი იყო ინიესტასთვის ამ სეზონში. ეს ყველაფერი ანდრესმა 16-წუთიან მონაკვეთში მოახერხა!

ამ შეხვედრაში ინიესტამ 422-ედ მოირგო კატალონიური გრანდის მაისურა და **გილერმო ამორს** გადაასწრო. ახლა ინიესტაზე მეტი მატჩი კლუბში მხოლოდ ხუთს უთამაშია: ჩავის (648), პუიოლს (565), **მიგელს** (549), ვალდესს (477) და **რეშაკს** (447).



კვირას ლევანტესთან, ბარსელონამ მთლიანად კლუბის ალზრდილებით დაკომპლექტებულმა ითამაშა

ისევ მესის დავუბრუნდეთ - მან დუბლი შეასრულა და ბომბარდირთა დავას 19 გოლით უდგას სათავეში. 2012 წელს მის ანგარიშზე 82 გოლია და სულ რალაც ხელის გაწვდენაზეა „დერ ბომბერ“ **გერდ მიულერის** 1972 წლის რეკორდი - 85 გოლი ოფიციალურ მატჩებში. სხვათა შორის, მესი ამას წინათ გამოტყდა, რომ გერდ მიულერის თამაში არასოდეს უნახავს და მის შესახებ მხოლოდ გაუგია, რომ უნიკალური საგოლე ალლო ჰქონდა.

### ლიგა ჯერ არ არის მოგებული

მიუხედავად ამისა, ტიტო ვილანოვა ეიფორიაში არაა. მისი მთავარი „მესიჯი“ პრესკონფერენციაზე იყო: *„ლა ლიგა ჯერ არ არის მოგებული“.*

*„ჯერ ძალიან ადრეა ასე ლაპარაკი, „ატლეტიკო“ სულ რალაც სამი ქულით ჩამოგვრჩება. ჯერ კიდევ დარჩა 75 ქულა გასათამაშებელი. არც „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გვითამაშია ჯერ. წინ ძალიან გრძელი გზაა და საბრძოლველიც იმაზე მეტია, ვიდრე გამოვიარეთ“,* - თქვა „ბარსას“ თავკაცმა.




„ლა მასიას“ 11 ალზრდილის ერთდროულ თამაშზე: *„ეს ისეთი რამაა, რითაც ამაყობა შეიძლება. თანაც ამ 11-დან 7 თუ 8 კატალონიელია. ძალიან სასიხარულოა“.*

„ატლეტიკოს“ შესახებ: *„წლეულს სოლიდური და ძლიერი გუნდია. თუმცა მირჩევნია, ჩემს გუნდსა და მის უახლოეს მეტოქეზე მოვახდინო კონცენტრაცია. მომავალ ტურში მადრიდული დერბია, თუმცა, გამოგიტყდებით და გეტყვით, ჩვენთვის სულ ერთია, როგორ ითამაშებენ ისინი ერთმანეთში“.*

„ბარსას“ ბასკური კვირეული ეწყება - ოთხშაბათს ესპანეთის თასზე „ალავესთან“ მატჩია „კამპ ნოუზე“, შაბათს კი - „ბილბაოსთან“. შეგახსენებთ, რომ პირველ მატჩში ქალაქ ვიტორიაში (ბასკები ამ ქალაქს გასტეიზს უწოდებენ) „ბარსელონამ“ 3:0 მოიგო და საპასუხო შეხვედრა უბრალო ფორმალობაა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რეალი

# როდის წავა მოუ რეალიდან?

## პორტუგალიელის ახალი ფრთიანი ფრაზები

„ბეტისთან“ მარცხი დიდი დარტყმა იყო „რეალის“ საჩემპიონო ამბიციებისთვის. ამაზე ხატოვნად თქვა გუნდის კაპიტანმა **იკერ კასილიასმა** - გუნდმა ორი ნაბიჯით დაიხია უკან საჩემპიონო რბოლაშიო. წაგებამ გააგულისა კლუბის პრეზიდენტი **ფლორენტინო პერესი**, რომელიც საქმის გასარჩევად „რეალის“ გასახდელშიც კი ჩავიდა. გუნდი უკვე 11 ქულით ჩამორჩება „ბარსელონას“. მოკლედ, **ჟოზე მოურინიოს** და კომპანიას ცუდი დროება უდგას.

და როგორი რეაქცია ჰქონდა ყოველივე ამაზე პორტუგალიელ სპეციალისტს? პრესკონფერენციაზე და ორშაბათს, „ალკოიანოსთან“ შეხვედრის წინა გამოსვლაზე ჟოზემ ბევრი საინტერესო თქვა. მოდი, მას ცალკეული ფრაზების სახით გაგაცნობთ.

* *„ვულოცავ „ბეტისის“ ფეხბურთელებს გამარჯვებას ეს მათ ი დანაშაული სულაც არ არის, რომ მსაჯმა ორი უხეში შეცდომა დაუშვა“.*
* *„საჩემპიონო საკითხი ისევ ღიაა - შარშან 10 ქულით ვუსწრებდით „ბარსას“, მაგრამ მეტოქე კინალამ წამოგვეწია. ახლა არ შეიძლება ვიყოთ მეტისმეტად პესიმისტები, არც - მეტისმეტად ოპტიმისტები“.*
* *„მე ერთადერთი ვარ, ვინც უსიამოვნო საკითხებზე ხმამაღლა ლაპარაკს არ ერიდება და რა გამოდის ბოლოს, ყოველთვის ყველაზე ცუდი კაცი მე ვარ“.*
* *„უნდა გამოვიდეთ და მოედანზე დავამტკიცოთ, რა შეგვიძლია, ჩვენ უნდა გავამართლოთ თითოეული ევრო, რომელიც მაყურებელმა გადაიხადა, გავიდეთ და დავამარცხოთ „ალკოიანო“.*
* *„თამაშ-თამაშ ჩემი მუშაობის შეფასება არ გამოვა. სეზონის შემდეგ დავსხდებით და ყველა საკითხს განვიხილავთ, ყველაფერია შესაძლებელი“.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ჟოზე მოურინიო სერხიო რამოსს აკავებს, რომელიც ბეტისის ერთ-ერთ ფეხბურთელზე იწევდა

ფიფა

# ესპანელთა დომინაცია

გუშინ ფიფამ გამოაქვეყნა ფიფას წლის სიმბოლური ნაკრების კანდიდატი ნახევარმცველების სია. სულ 15 კანდიდატია: **ჩაბი ალონსო** (რეალი), **სერხიო ბუსკეტსი** (ბარსელონა), **სესკ ფაბრეგასი** (ბარსელონა), **სტივენ ჯერარდი** (ლივერპული), **ედენ აზარი** (ჩელსი), **ანდრეს ინიესტა** (ბარსელონა), **ფრენკ ლემპარდი** (ჩელსი), **ლუკა მოდრიჩი** (რეალი), **მესუთ იოზილი** (რეალი), **ანდრეა პირლო** (იუვენტუსი), **ფრანკ რიბერი** (ბაიერნი), **დავიდ სილვა** (სიტი), **ბასტიან შვაინშტაიგერი** (ბაიერნი), **იაია ტურე** (სიტი), **ჩავი** (ბარსელონა). აღსანიშნავია, რომ 15-დან 6 კანდიდატი ესპანეთის ნაკრების წევრია!

ფიფამ უკვე დაასახელა წლის სიმბოლურ ნაკრების ნომინანტები მეკარეებსა და მცველებს შორის. 29 ნოემბერს კი თავდამსხმელთა სიას გამოაქვეყნებს. სიმბოლური ნაკრები 7 იანვარს ციურიხში გამოცხადდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ესპანიოლი



მაურისიო პოჩეტინოს ისედაც ბევრი უთმინეს

# პოჩეტინო გაუშვეს, აგირე მოდის?

და აი, ისიც - სეზონში პირველი მწვრთნელი გააგდეს: „ესპანიოლმა“ დაითხოვა არგენტინელი სპეციალისტი მაურისო პოჩეტინო. კლუბის ხელმძღვანელობის მოთმინების ფიალა „ესპანიოლის“ საშინაო მარცხმა „ხეტაფესთან“ (0:2) შეავსო. კატალონიურმა კლუბმა 13 მატჩში სულ 9 ქულა მოაგროვა. გუშინვე კლუბთან მოლაპარაკება დაიწყო ხავიერ აგირემ, 53 წლის მექსიკელმა მწვრთნელმა, რომელსაც ესპანეთში „ოსასუნა“, „ატლეტიკო“ და „სარაგოსა“ გაუწვრთნია.

40 წლის პოჩეტინო 2009 წლიდან წვრთნიდა „ესპანიოლს“. „ხეტაფესთან“ მარცხის მერე პოჩეტინო ირწმუნებოდა, რომ თავადვე შეეძლო გუნდის მძიმე სიტუაციიდან გამოყვანა, როგორც ჩანს, არ დაუჯერეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ბრაზილია. სერია A. XXXVII ტური.

# ვინ გავარდება ბოლოს?

## ფრედი თითქმის ბომბარდირია

| ვასკო-ფლამენგო | 1:1 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ნილტონი (34), 1:1 მ. გონსალესი (87).

| კორინთიანსი-სანტოსი | 1:1 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 ფელიპე ანდერსონი (36), 1:1 უოლასი (80).

| ბოტაფოგო-ატლ. მინეირო | 2:3 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 ბერნარდი (15), 1:1 ანტონიო კარლოსი (28), 2:1 ელკესონი (30), 2:2 რიჩარლისონი (83), 2:3 რევერი (89).

| პალმეირასი-ატლ. გოიანიენ. | 1:2 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 რაილანი (17), 1:1 პატრიკ ვიეირა (26), 1:2 ერნანდესი (57).

| ინტერნასიონ-პორტუგეზა | 0:2 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 ლუის რიკარდო (36), 0:2 მარსელო კორდეირო (55-პენ).

| კრუზეირო-კორიტიბა | 2:1 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ტინგა (8), 2:0 ლეანდრო გერეირო (61), 2:1 ევერტონ რიბეირო (90).

| ფიგეირენსე-გრემიო | 2:4 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 ელანო (24), 0:2 ზე რობერტო (43), 0:3 სოუზა (45), 1:3 ალოიზიო (65-პენ), 2:3 ალოიზიო (69), 2:4 ლეანდრო (71).

| სპორტ რესიფე-ფლუმინენსე | 1:1 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 ფრედი (28), 1:1 ფელიპე აზევედო (45).

| ბაია-ნაუტიკო | 1:1 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 გაბრიელი (52-პენ), 1:1 დიმბა (79).

| პონტე პრეტა-სან პაულო | 0:0 |
|---|---|

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფლუმინენსე | 37 | 22 | 11 | 4 | 60-31 | 77 |
| 2. გრემიო | 37 | 20 | 10 | 7 | 56-33 | 70 |
| 3. ატლ. მინეირო | 37 | 19 | 12 | 6 | 61-35 | 69 |
| 4. სან პაულო | 37 | 19 | 6 | 12 | 56-36 | 63 |
| 5. კორინთიანსი | 37 | 15 | 12 | 10 | 50-36 | 57 |
| 6. ვასკო და გამა | 37 | 15 | 10 | 12 | 43-43 | 55 |
| 7. ბოტაფოგო | 37 | 15 | 9 | 13 | 58-48 | 54 |
| 8. კრუზეირო | 37 | 15 | 7 | 15 | 45-48 | 52 |
| 9. ინტერნასიონ. | 37 | 13 | 12 | 12 | 44-40 | 51 |
| 10. სანტოსი | 37 | 12 | 14 | 11 | 47-43 | 50 |
| 11. ფლამენგო | 37 | 12 | 13 | 12 | 37-44 | 49 |
| 12. პონტე პრეტა | 37 | 12 | 11 | 14 | 37-44 | 47 |
| 13. ნაუტიკო | 37 | 13 | 7 | 17 | 43-51 | 46 |
| 14. კორიტიბა | 37 | 13 | 6 | 18 | 50-60 | 45 |
| 15. პორტუგეზა | 37 | 10 | 14 | 13 | 39-41 | 44 |
| 16. ბაია | 37 | 10 | 14 | 13 | 36-41 | 44 |
| 17. სპორტ რესიფე | 37 | 10 | 11 | 16 | 39-55 | 41 |
| 18. პალმეირასი | 37 | 9 | 7 | 21 | 38-51 | 34 |
| 19. ატლ. გოიანიენ. | 37 | 7 | 9 | 21 | 37-66 | 30 |
| 20. ფიგეირენსე | 37 | 7 | 9 | 21 | 39-69 | 30 |



ფრედმა მე-20 გოლი გაიტანა

**ბომბარდირები:** 20 – ფრედი (ფლუმინენსე); 17 – ლუიშ ფაბიანო (სან პაულო); 14 – ბარკოსი (პალმეირასი), ალიოზიო (ფიგეირენსე), ბრუნო მინეირო (პორტუგეზა); 13 – კიეზა (ნაუტიკო); 12 – ნეიმარი (სანტოსი), ვაგნერი ლავი (ფლამენგო).

**ბრაზილიის ჩემპიონატში, ბოლოსწინა ტურის წინ ერთადერთი ინტრიგა იყო შემორჩენილი – ვინ გახდებოდა მეოთხე უიღბლო, რომელიც სერია A-ს დატოვებდა. ამ კითხვას პასუხი ვერ გაეცა, რაც ძალიან კარგია, რადგან ბოლო ტურს რაღაც ინტერესი მაინც შერჩა, სხვა მხრივ კი აქამდეც ყველაფერი გარკვეული იყო. ყველაფერი გადაწყდა ბომბარდირთა დავაშიც – ფრედმა მორიგი გოლი გაიტანა, ლუიშ ფაბიანოს კი საერთოდ არ უთამაშია და ახლა "სევილიას" ყოფილ ფორვარდს სასწაული თუ უშველის...**

მოგეხსენებათ, "სან პაულო" კოპა სუდამერიკანას 1/2-ფინალში არის გასული, სადაც პირველ შეხვედრაში "უნივერსიდად კათოლიკასთან" სტუმრად 1:1 ითამაშა. ამის გამო, **ნეი ფრანკომ** "პონტე პრეტასთან" სათამაშოდ სარეზერვო შემადგენლობა გამოიყვანა, რითაც **ლუიშ ფაბიანოს** საუკეთესო სნაიპერობის შანსი მოუსპო. თავად სან პაულოს დერბი ძალიან მოსაწყენი გამოვიდა და მთელ ტურში ერთადერთი მატჩი გამოდგა, სადაც გოლი არ გავიდა. ამ შეხვედრის მთავარი მოვლენა, უდავოდ **განსოს** სასტარტოში პირველი გამოჩენა იყო (სულ მეორე მატჩი "სან პაულოში"), თუმცა "სანტოსის" ყოფილმა ფეხბურთელმა, თანაგუნდელების მსგავსად, თავი ვერაფრით გამოიჩინა.

37-ე ტური შაბათს, ორი დიდი დერბით გაიხსნა, მაგრამ ვინაიდან ამ შეხვედრებს სატურნირო ინტრიგა მოკლებული ჰქონდა, 90-მა წუთმა შედარებით მშვიდობიან გარემოში ჩაიარა. საბოლოოდ, "ვასკო"-"ფლამენგოც" და "კორინთიანსი"-"სანტოსიც" ფრედ, 1:1 დასრულდა. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ **ფელიპე ანდერსონის** მორიგი გოლი, რომელიც 19 წლის ნახევარმცველისთვის უკვე მე-6 გამოდგა.

### ქვემოთ სერიოზული ბრძოლაა

ამ ტურში სატურნირო დატვირთვა მხოლოდ იმ შეხვედრებს ჰქონდა, სადაც ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლი გუნდები თამაშობდნენ. ასეთი შეხვედრა კი სულ სამი იყო: "ბაია"-"ნაუტიკო", "სპორტ რესიფე"-"ფლუმინენსე" და "ინტერნასიონალი"-"პორტუგეზა".

ჩემპიონი რესიფეში ძირითადი შემადგენლობით ჩავიდა და მიზანსაც მიაღწია – **ფრედს** გოლი გაატანინა. ბრაზილიის ნაკრების ფორვარდს უკვე 20 ბურთი აქვს გატანილი და სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირიც აუცილებლად გახდება. მასპინძლებმა, რომლებსაც გაცილებით მნიშვნელოვანი მიზანი ჰქონდათ, ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს, მაგრამ მეტი ვერაფერი შეძლეს. საბოლოოდ, შეხვედრა ფრედ დასრულდა და "სპორტ რესიფე" გასავარდნ ზონაში დარჩა.

"სპორტს" დახმარების ხელი თანაქალაქელმა, "ნაუტიკომ" გაუწოდა, რომელმაც თავისთვის არაფრის მომტან შეხვედრაში, "ბაიას" ბოლომდე ეომა და სალვადორიდან ქულა წამოიღო. მასპინძლები **გაბრიელის** გოლით იგებდნენ, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე 11 წუთით ადრე, ცვლილებაზე შემოსულ 20 წლის **დიმბას** (კარიერაში პირველი) გოლი გაატანინეს და უმნიშვნელოვანესი ქულები დაკარგეს. ახლა, 60-იან წლებში თბილისში ნამყოფ გუნდს, ბოლო ტურში ნერვიულობა მოუწევს, რადგან თუ თავად "ატლეტიკო გოიანიენსესთან" წააგო, ხოლო "სპორტ რესიფემ" დერბიში თანაქალაქელი "ნაუტიკო" დაამარცხა, ლიგიდან სწორედ სალვადორის გუნდი გავარდება.

კიდევ ერთი გუნდი, რომელსაც დაქვეითება ემუქრება, "პორტუგეზა" გახლავთ, რომელმაც ამ ტურში "ინტერნასიონალთან" უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა. სან პაულოს კიდევ ერთმა ბინადარმა (სულ სერია A-ში ამ ქალაქს 6 გუნდი წარმოადგენს) **ლუის რიკარდოს** და **მარსელო კორდეიროს** გოლების წყალობით მოიგო და 44 ქულა მოაგროვა. ბოლო ტურში, "პორტუგეზა" უმოტივაციო "პონტე პრეტას" მასპინძლობს (ესეც სან პაულოს დერბია) და ლიგაში დასარჩენად ფრეც ჰყოფნის, თუმცა თუ "სპორტ რესიფემ" ვერ მოიგო, ან "ბაიამ" წააგო, მაშინ მასპინძელი სერია A-ში წაგების შემთხვევაშიც დარჩება.

სერია B-ს რაც შეეხება, იქ ტურნირი დასრულდა და ის 4 გუნდი გაირკვა, რომელიც დივიზიონით ზემოთ აინაცვლებს. "გოიასს" და "კრისიუმას", რომელთაც სერია A-ს საგზური უკვე განაღდებული ჰქონდათ, ბოლო ტურის შემდეგ "ატლეტიკო პარანაენსე" და სალვადორის "ვიტორია" შეუერთდნენ.

**ტატო ბაციკაძე**

ესპანეთი. ლა ლიგა

XIII ტური

| სარაგოსა-სელტა | 0:1 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 ასპასი (83)

**სარაგოსა (4-2-3-1):** რობერტო - სეპუნარუ, ლოოვენსი, ალვარო, აბრაამი - აპონიო, მოვილია - ე. ორიოლი (61. არანდა), ვ. როდრიგესი, მონტანიესი (89. ალამო) - პოშტიგა.

**სელტა (4-2-3-1):** ვარასი - მალიო, კაბრალი, ტუნიესი, ლაგო - ოუბინია, ა. ლოპესი (83. პარკი) - ა. ფერნანდესი, ბერმეხო, კრონ-დელი - ასპასი (92. ასპასი).

**გაფრთხილება:** სეპუნარუ, აპონიო, ალვარო - კაბრალი

**კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 13-17; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 14-8 (3-4); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 21 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 13 | 12 | 1 | 0 | 43-15 | 37 |
| 2. ატლეტიკო | 13 | 11 | 1 | 1 | 29-11 | 34 |
| 3. რეალი | 13 | 8 | 2 | 3 | 32-10 | 26 |
| 4. მალაგა | 13 | 6 | 4 | 3 | 19-9 | 22 |
| 5. ბეტისი | 13 | 7 | 1 | 5 | 20-22 | 22 |
| 6. ლევანტე | 13 | 6 | 2 | 5 | 15-20 | 20 |
| 7. ხეტაფე | 13 | 6 | 1 | 6 | 16-19 | 19 |
| 8. ვალეკანო | 13 | 6 | 1 | 6 | 18-29 | 19 |
| 9. ვალიადოლიდი | 13 | 5 | 3 | 5 | 18-14 | 18 |
| 10. სევილია | 13 | 5 | 3 | 5 | 18-18 | 18 |
| 11. ვალენსია | 13 | 5 | 3 | 5 | 16-18 | 18 |
| 12. სოსიედადი | 13 | 5 | 2 | 6 | 16-16 | 17 |
| 13. სარაგოსა | 13 | 5 | 0 | 8 | 15-22 | 15 |
| 14. ბილბაო | 13 | 4 | 3 | 6 | 18-27 | 15 |
| 15. სელტა | 13 | 4 | 2 | 7 | 15-18 | 14 |
| 16. მალიორკა | 13 | 3 | 3 | 7 | 13-22 | 12 |
| 17. დეპორტივო | 13 | 2 | 5 | 6 | 19-28 | 11 |
| 18. გრანადა | 13 | 3 | 2 | 8 | 11-20 | 11 |
| 19. ოსასუნა | 13 | 2 | 4 | 7 | 11-15 | 10 |
| 20. ესპანიოლი | 13 | 2 | 3 | 8 | 13-22 | 9 |

ვარსკვლავი

# სანი: ბექჰემმა გადაწყვიტა: ლონდონში ბრუნდება

"სანის" ინფორმაციით, ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტნის, 37 წლის **დევიდ ბექჰემის** მეუღლე **ვიქტორია** ამ დღეებში ლონდონში იმყოფებოდა, სადაც სახლს ეძებდა. "პოშ სპაისი" ლონდონის პრესტიჟულ უბნებს ქალაქის სამხრეთ და დასავლეთ ნაწილებში სტუმრობდა. მან სადაც ოთხი აპარტამენტი შეათვალიერა. მათ შორის არის ტემზის სანაპიროზე საცხოვრებელი კომპლექსი, რომლის ფასი 18 მილიონი ფუნტია; 9 მილიონად არის შეფასებული XVIII საუკუნეში აშენებული 4-სართულიანი სასახლე. ყველაზე მეტად ის სვეტებიანმა სასახლემ მოხიბლა, რომელსაც მესაკუთრე 10 მილიონად ყიდის. ბუნებრივია, გამოცემა აკეთებს ლოგიკურ დასკვნას, რომ 9-წლიანი პაუზის შემდეგ ფეხბურთელი ოჯახთან ერთად მშობლიურ ქალაქში დაბრუნებას გეგმავს. ცნობილია, რომ ვეტერანს სამსახურს ლონდონური კლუბები "ვესტ ჰემი" და "ქუინზ პარკი" სთავაზობენ.

**ლევან ბიბილაშვილი**



ძიუდო. ფედერაციის ყრილობა


თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# გადადებული ისევ გადაიდო

## ძიუდოისტებმა ოჯახის მართვა მოისურვეს

საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ახალ პრეზიდენტს 10 დეკემბერს აირჩევენ (თუ კიდევ არ მოხდა რამე გაუთვალისწინებელი) - ამის შესახებ გადაწყვეტილება გუშინ მიიღო ფედერაციის ყრილობამ, კულუარებში კი ხმები მოვლენათა ამგვარი განვითარების შესახებ წინასწარვე გავრცელდა. ახალ საარჩევნო ყრილობაზე საპრეზიდენტო კანდიდატების წარდგენის ვადა 7 დეკემბერს იწურება. განაცხადი ჯერ ოფიციალურად არავის შეუტანია, თუმცა ახლავე შეიძლება ითქვას, რომ 10-ში ერთადერთი კანდიდატი იქნება - ევროპის ვიცე-ჩემპიონი **დავით ქევხიშვილი**. ყოველ შემთხვევაში, ორად გაყოფილი ძიუდოს სამყარო ამ კანდიდატურაზე შეჩერდა, რომელიც მისაღებია ორივე ბანაკისთვის, ხოლო სხვა მაინც თუ წამოაყენებს კანდიდატურას, ამას დრო გვიჩვენებს. ისე კი გუშინ არაერთხელ ითქვა, პოლიტიკური ზეწოლა რომ არ დაგვბრალებოდა, იმიტომ გადავდეთ არჩევნები და საერთო კანდიდატზეც ამიტომ შევჩერდითო. იმედია, 10-ში მართლაც ეღირსება გამართვა ამ ყრილობას, თორემ გუშინ მეორედ გადაიდო - თავდაპირველი თარიღი 3 ოქტომბერი იყო.

გუშინდელ ყრილობას უფლებამოსილებისთვის ალმასკომის 49 წევრიდან 25-ის დასწრება სჭირდებოდა. ამ რაოდენობის მოგროვება საპრობლემო გახდა და სხდომაც მთელი 50 წუთის დაგვიანებით დაიწყო - გავრცელდა ხმები, თითქოს რეგიონების წარმომადგენლებს შეხვედრის გადადების შესახებ, ურეკავდნენ და მათაც თბილისში ჩამოსვლა გადაიფიქრეს. საბოლოოდ ქვორუმი მაინც შეიკრიბა თუმცა დღის წესრიგის საფუძვლიანად შეცვლა გახდა საჭირო - მხოლოდ ახალი საარჩევნო თარილის დანიშვნითა და ამ აუცილებლობით გამოწვეული საწესდებო ცვლილებებით შემოიფარგლა. კერძოდ, წესდების მიხედვით ახალი არჩევნები ერთ თვეში უნდა დანიშნულიყო, მაგრამ ძიუდოისტებს ამ თარილის ორ კვირამდე შემცირება სურდათ, რასაც ყრილობაც დაეთანხმა.

შეხვედრა პრეზიდენტობის ძველი კანდიდატების - **დავით ხახალეიშვილისა** და **მამუკა ხაბარელის** განცხადებებით დაიწყო, რომლებმაც გუშინვე ალმასკომს თავიანთი კანდიდატურების მოხსნის შესახებ აუწყეს. თუმცა ყრილობის მთავარ თემად არა ეს საკითხი, არამედ ალმასკომის შემადგენლობა იქცა, ვის უნდა ჰქონდეს მისი წევრობის უფლება. ემოციების მაქსიმალური ზღვარიც ამ საკითხის განხილვისას დაფიქსირდა და ჟურნალისტებსაც დარბაზი ამ ეპიზოდის შემდეგ დაგვატოვებინეს - ყრილობა დახურეს.

ეს თემა პირველად ნაკრების ექსთავკაცმა **ბერდია გუგავამ** წამოსწია, რომელიც დაინტერესდა, ვინ და როდის შეადგინა ალმასკომის ეს 51-კაციანი სია, რომლიდანაც ორმა ადრევე განაცხადა უარი წევრობაზე. ისე ხომ არ გამოდის, რასაც ძველ ხელისუფლებას ვედავებოდით, ახლაც იგივე ხდება ანუ პოლიტიკური ზეწოლა გრძელდებაო, იკითხა მან. ამის პასუხად ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ვლადიმერ ნუცუბიძემ** პირდაპირ განაცხადა, რომ ალმასკომის წევრობის კანდიდატთა სია სპორტის სამინისტროს ძველი ხელმძღვანელობიდან წამოვიდა. ნაკრების მეორე ექსთავკაცმა და ამჟამინდელმა პარლამენტარმა **შოთა ხაბარელმა** ალმასკომიდან იმ ხალხის გამოყვანა მოითხოვა, რომლებიც არ არიან ძიუდოისტები და მისი თქმით, პოლიტიკური ნიშნით იყვნენ ალმასკომში შეყვანილები. ძიუდოს ფედერაცია ძიუდოს ოჯახის წარმომადგენლებმა უნდა მართონო, განაცხადა მან და იქვე ხაზი სხვა გარემოებასაც გაუსვა - ძველ ხელისუფლებას ერთი და იგივე ხალხი (ამ სიაში კი რწმუნებულები და გამგებლებიც იყვნენო) შეჰყავდა სხვადასხვა ფედერაციაში, რითაც მართვის ბერკეტებს ინარჩუნებდაო... საკამათო ძირითადად ოთხი კანდიდატურა გახდა - ოლიმპიური ჩემპიონები: **გიორგი ასანიძე** და **დავით გობეჯიშვილი**, აგრეთვე - **გია უდესიანი** და **მერაბ ჩიქობავა**. ამათგან უდესიანი საქართველოში არ იმყოფება და ცხადია, გუშინ ყრილობაზე ვერ მივიდა, ხოლო გობეჯიშვილი ყრილობას არ დაესწრო. სამაგიეროდ, იყვნენ ასანიძე და ჩიქობავა, რომელიც ფრიად აღაშფოთა საუბარმა პოლიტიკური ზეწოლის შესახებ. საპასუხოდ მან გაიხსენა, მის სამსახურს მერიიდან რამდენი სიკეთე გაუკეთებია სპორტის და კერძოდ - ძიუდოსთვის. არ მეგონა, პოლიტიკურ ზეწოლას თუ ვახორციელებდიო, თქვა მან და ნუცუბიძეს შეახსენა, პირველად შენ დამირეკე და როცა ალმასკომზე მოსვლა მთხოვე, მაშინ გავიგე ჩემი წევრობის შესახებო... ასანიძემ ხაზი იმას გაუსვა, რომ მისთვის პრიორიტეტი მთლიანად ქართული სპორტია, ხოლო ძიუდოსთვის კარგის მეტი არაფერი გაუკეთებია... საბოლოოდ საკმაო დიდი დრო წაილო იმაზე კამათმა, ცალ-ცალკე ეყარათ კენჭი მათთვის ალმასკომის წევრობის შეჩერებაზე, თუ - ოთხივესთვის ერთად, თუმცა ამ საკითხის გარკვევამდე ჩიქობავამ დატოვა სხდომა - რაც გინდათ, ის გადაწყვიტეთ, ჩემთვის სულ ერთიაო. კამათი იმდენად დაიძაბა, რომ ხაბარელმა დამატებითი განმარტება გააკეთა - არავინ უარყოფს მათ მიღწევებს, მაგრამ ისინი ოლიმპიური ჩემპიონები თავიანთ სახეობებში დარჩნენ, ძიუდოისტები კი ჩვენს თავს მივხედავთო... ამ კამათში საინტერესო დეტალიც გაირკვა - ალმასკომის წევრი არ ყოფილა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **თემურ ხუბულური** და ფედერაციის ერთ-ერთი ამაგდარი თანამშრომელი **ანზორ მარტყოფლიშვილი**... რატომ უნდა იყოთ ალმასკომში თქვენ და არ უნდა ვიყო მეო, პირდაპირ იკითხა ხუბულურმა...

საბოლოოდ ოთხივე წევრისთვის ცალ-ცალკე წილისყრა გადაწყდა და პროცედურაც დაიწყო, მაგრამ აქ კიდევ ერთი, ქართული რეალობისთვის დამახასიათებელი საჩოთირო სურათი გამოიკვეთა - გობეჯიშვილისთვის წევრობის შეჩერებას მხარი 9 წევრმა დაუჭირა, დანარჩენებმა კი პოზიცია არც თავის შეკავებაში გამოხატეს და არც - წინააღმდეგ წასვლაში, ანუ იმ 9 კაცის გარდა, დანარჩენებმა პოზიცია არ დააფიქსირეს. ამან სამართლიანად აღაშფოთა ხუბულური, რომელმაც ალმასკომის წევრებს მეტი გამბედაობისკენ მოუწოდა და მიმართა, ან აქეთ იყავით, ან - იქითო...

როგორც გითხარით, ამ საკითხის განხილვისას ყრილობა დახურეს, თუმცა როგორც მისი დასრულების შემდეგ გვითხრეს, საკითხი მაინც სათითაოდ განუხილავთ, შედეგად კი უდესიანსა და ჩიქობავას შეუჩერეს ულებამოსილება, ასანიძესა და გობეჯიშვილს კი - დაუტოვეს ანუ ისინი 10 დეკემბერს ხმის უფლებითაც ისარგებლებენ.

ყრილობის დასრულების შემდეგ ქევხიშვილსაც გავესაუბრეთ, რომელმაც დაადასტურა, რომ კანდიდატურას ნამდვილად წამოაყენებს და არც ის დაუმალავს, რომ კონსულტაციები ორივე მხარესთან გაიარა.

**ირაკლი თავაძე**

თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს ჩემპიონატი

# ახალი ციკლი ახალი ნაკრებისთვის

## „თავისუფლები“ მორიგ ოლიმპიურ აღმართზე

**დღეს დილომში, ძიუდოს აკადემიაში საქართველოს ჩემპიონატი იწყება თავისუფალ ჭიდაობაში. ჩვენი ფალავნებისთვის ესაა პირველი სერიოზული შეჯიბრება ოლიმპიადის შემდეგ. ამდენად, ის ახალი ოლიმპიური ციკლის დასაწყისიცაა და ახალი ნაკრების ფორმაციასაც აქედან ეყრება საფუძველი. სწორედ ამიტომ მისი მნიშვნელობა გაორმაგებულია და ალბათ, აქედან გამომდინარეობს, ისიც რომ ტურნირში ქვეყნის ყველა უძლიერესი ფალავანი გეგმავს გამოსვლას. ყოველ შემთხვევაში, ფედერაციის მკაცრი მოთხოვნა ასეთია და არც გათავისუფლება უთხოვია ვინმეს.**

ოლიმპიური გუნდიდან სპორტიდან წასული მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის, ევროპისა და ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსან **ოთარ თუშიშვილისა** (66) და წასასვლელ გზაზე შემდგარი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის, ორგზის ოლიმპიურ პრიზიორ **გიორგი გოგშელიძის** (96) გარდა ყველა იჭიდავებს: ევროპისა და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი, 60 კილოგრამში გადაბარგებული **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი**, ევროპის ვიცე-ჩემპიონი **მალხაზ ზარქუა** (60), ევროპისა და მსოფლიოს მესამე პრიზიორი **დავით ხუციშვილი** (74), ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ბრინჯაოსანი **დავით მარსაგიშვილი** (84), მსოფლიოსა და ოლიმპიადის მესამე პრიზიორი **დავით მოძმანაშვილი** (120), რომელმაც ფეხის ტრავმა მოიშუშა, მაგრამ ბოლომდე - ვერა. სრულად იქნება წარმოდგენილი ახალგაზრდული ნაკრების ელიტა და საინტერესო ბრძოლებს უნდა ველოდოთ. მით უფრო, ზოგიერთ წონაში კონკურენცია გაიზარდა და 2-3 თანაბარი ძალის მეტოქეა. შესაბამისად, ნაკრების მწვრთნელებსაც დიდი სამუშაო ელოდებათ, რადგან ზოგიერთი წონა სულაც ლიდერის გარეშე დარჩა - 55, 96, ნაწილობრივ - 66-იც. ცხადია, ყველაფერს გამადიდებელი შუშით სჭირდება დაკვირვება, რათა უმცირესი დეტალიც არ დაგვრჩეს ყურადღების მიღმა, თორემ ეს მომავალში ძვირად დაგვიჯდება. თავის მხრივ, ძველ ლიდერებთან ერთად ყურადღებას იპყრობს ახალი თაობაც - ვნახოთ, რამდენად გამოიჩენენ ისინი ამჯერად თავს.

» მე-11 გვერდზე

ჭადრაკი


კახაბერ წერეთელი

# 10 საგზური განაწილდა

საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 56 წარმომადგენელი ასპარეზობდა მოჭადრაკე ვაჟთა 72-ე ეროვნული ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში, რომელსაც თბილისის ჭადრაკის სასახლემ უმასპინძლა. დასკვნითი ტურის წინ ერთბაშად სამ მონაწილეს 6,5-6,5 ქულა ჰქონდა. **კახაბერ წერეთელი** შავი ფიგურებით ილია ხელაიას დაუზავდა. ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ **სერგო ცომაია** და **ალექსანდრე ებრალიძე, ნიკოლოზ ჩხაიძე - ირაკლი კელეპტრიშვილი, რევაზ ჭკუასელმა იურიკ კუიმჯიანი** დაამარცხა, **აკაკი ზარდიაშვილმა თენგიზ გვარჯალაძეს** აჯობა.

საბოლოოდ 9 შესაძლებლიდან 7-7 ქულითა და უკეთესი კოეფიციენტით პირველ-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, კახაბერ წერეთელი, სერგო ცომაია და ალექსანდრე ებრალიძე გავიდნენ. მათთან ერთად პირველი ლიგის საგზურები, ასევე, ნიკოლოზ ჩხაიძემ (6,5 ქულა), რევაზ ჭკუასელმა (6,5), ირაკლი კელეპტრიშვილმა (6), ბორის ბეჟენცევმა (6), კონსტანტინე რეხვიაშვილმა (6), აკაკი ზარდიაშვილმა (6) და ილია ხელაძემ (5,5) მოიპოვეს.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# დაისვენა და დაიწყო

**ოქსანა კალაშნიკოვამ** ამას წინათ ინდოეთის ქალაქ პუნეში წყვილთა შეჯიბრება მოიგო. ერთკვირიანი შესვენების შემდეგ იგი დუბაის (არაბთა გაერთიანებული საამიროები) ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 75.000 დოლარი) ჩაება.

თბილისელმა ჩოგბურთელმა სტარტზე WTA-ს რეიტინგში 414-ე ადგილზე მყოფი ქსენია პალკინა (რუსეთი) დაამარცხა - 2:6, 6:0, 6:2, რითაც 14 სარეიტინგო ქულაც დაიმსახურა. წყვილებში იგი ტაილანდელ ტამარინ ტანასუგარნისთან ერთად მოსინჯავს ძალებს.


ოქსანა კალაშნიკოვა

ანტალიის 10.000-იან ქალთა საერთაშორისო ტურნირში ცდიდა ძალებს **მარიამ ბოლქვაძე**, რომელმაც საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ წრეში მასპინძელი იაქმურ აკდემირი დაამარცხა, მაგრამ მეორე წრეში ჯელი რეის (შვეიცარია) დანებდა - 6:1, 2:6.

თურქეთის ამ საკურორტო ქალაქში ვაჟთა საერთაშორისო ტურნირიც (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) მიმდინარეობს. საკვალიფიკაციო ეტაპის სტარტზე, როგორც გაუწყეთ, **გიორგი ჯავახიშვილმა** ჰოლანდიელ ფაბიან ვან დერ ლანსთან პირველი სეტი ვერ დაასრულა ტრავმის გამო. **გიორგი რევაზიშვილმა** ფიოდორ ჩერვიაკოვს (რუსეთი) კი აჯობა (6:3, 6:3), მაგრამ ფლორიან ბარტთან (გერმანია) ვერაფერს გახდა - 6:7, 3:6. სამაგიეროდ, **გიორგი ცივაძემ** იყოჩაღა: ჯერ ვლადისლავ ლადიგინი (უკრაინა) ჩამოიშორა გზიდან - 6:0, 6:2, მერე ანდრეი საველიევი (რუსეთი) დაჯაბნა - 6:1, 6:2 და ძირითად ბადეში თამაშის უფლება მოიპოვა, სადაც მისი მეტოქე სლოვაკი მარეკ სემიანი იქნება.

**ვაჟა დანელია**

-ს
ხელმომწერთა საყურადღებოდ!
ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.
დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74.
კვირის გარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

« მე-10 გვერდიდან

სხვათა შორის, ამ თაობიდან ორი ისეთი გამოვა სწორედ 96 კილოგრამში, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ - ხარაგაულელი **თედორე ებანოიძე** და ბათუმელი **მამუკა კორძაია.** ისინი შარშან ახალგაზრდებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები გახდნენ (ებანოიძე იქ მძიმე წონაში გამოვიდა, თუმცა მანამდე ევროპაზე ბრინჯაო 96-ში მოიპოვა), მაგრამ მას შემდეგ მათი კარიერა სწრაფად ვერ განვითარდა. არადა, ახალგაზრდულიდან ეროვნულამდე სულ ერთი ნაბიჯია, მით უფრო - 20-წლამდელებში ასეთი წარმატების შემდეგ, მაგრამ ზუსტად იმ ერთის გადადგმა უჭირს ბევრს. იმედია, ეს ბიჭები საპირისპიროს დაამტკიცებენ. მით უფრო, ლიდერის ტახტი ჯერჯერობით ცარიელია. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ებანოიძე დიდწილად ტრავმებმაც შეაფერხეს, მაგრამ უკვე ყველაფერი მოგვარებულია. ვფიქრობთ, ქომაგს მძიმე წონაშიც დიდი სიამოვნება ელოდება, სადაც მოძმანაშვილს მედგარ ბრძოლებს გაუმართავენ ახალგაზრდებში მსოფლიოს კიდევ ერთი ვიცე და ევროპის ჩემპიონი **გიორგი საკანდელიძე** და 18 წლის **გენო პეტრიაშვილი**, ახალგაზრდებში მსოფლიოს წლევანდელი მესამე პრიზიორი. თუმცა საინტერესო პაექრობები არც სხვა წონებს დააკლდება, რაც მაყურებლის წისქვილზე დაასხამს წყალს.


მარცხნიდან: ვლადიმერ ხინჩეგაშვილი, დავით მარსაგიშვილი და დავით მოძმანაშვილი

შეხვედრები აკადემიაში 12 საათზე დაიწყება, ფინალები კი შესვენების გარეშე გაიმართება.

## ალიევი - უჩვენოდ

ამასობაში დაღესტნურ საიტებზე გაჩნდა ინფორმაცია, რომ ჩვენები ალი ალიევის მემორიალში გამოვლენ. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის ხსოვნისადმი მიძღვნილი ეს შეჯიბრება 1-2 დეკემბერს მახაჩყალაში, ტიტულოვანი ფალავანის სახელობის დარბაზში ტარდება და იქაურ მედიაში უკვე ძალუმად იგრძნობა, როგორი აჟიოტაჟით ემზადებიან შეჯიბრებისთვის. მათი აზრით, ეს წლეულსაც გამორჩეულად ძლიერი ტურნირი იქნება, თუმცა, როგორც საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაში გვითხრეს, ჩვენი ნაკრები იქ არ გამოვა. დაღესტნელებს კი მიუწვევივართ, მაგრამ თბილისიდან უარი შეუთვლიათ. მიზეზი უფულობა და ის გაურკვევლობაა, რაც ჩვენს ფედერაციაში სუფევს - ყველა რიგგარეშე არჩევნებს და ახალ ხელისუფლებას ელოდება, თუმცა ჯერ მისი გამართვის თარილიც კი არ გარკვეულა.

ერთ-ერთი ფალავანი, ვინც ალიევის ტურნირში ქართველთა ჩასვლას ელოდება, მასპინძელთა ავარელი ფალავანი, ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **აბდუსალამ გადისოვია** (96). ამ მართლაც ძლიერი მოჭიდავისთვის, რომელმაც ბრწყინვალედ მოიგო ევროპის პირველობა და ლონდონში ფავორიტად ჩავიდა, ოლიმპიადაზე განცდილი მარცხი მწარე ალიყური აღმოჩნდა. ქუჩაში გასვლა არ მინდოდაო, გაიხსენა ის დღეები ფალავანმა, რომელიც ღიად აცხადებს, რომ სურს ალიევის ტურნირის მოგება და რიო დე ჟანეიროს თამაშებისთვის მზადების სუფთა ფურცლიდან დაწყება. ამ შეჯიბრებისთვის მოსამზადებლად ის ყაბარდო-ბალყარეთის მთებში წასულა სიმშვიდეში და სიწყნარეში, რაც თურმე საზოგადოებრივი აჟიოტაჟის გამო მშობლიურ ქალაქში ასე ძალიან აკლდა.

სამაგიეროდ, რიოს ოლიმპიადისთვის ეროვნებით ყაბარდოელი - **ბილიალ მახოვი** (120) დაღესტანში ემზადება - ის წლების წინ სავარჯიშოდ ხასავიურტში გადასახლდა რუსთა ნაკრების ახლანდელ თავკაც **მაგომედ ჰუსეინოვთან** სავარჯიშოდ და იქაურთა გულის გასახეთქად, ნაკრებიდან მასპინძელთა ჯილა, პეკინის თამაშების ვერცხლის მედალოსანი **ბახტიარ ახმედოვიც** ამოაგდო. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი მახოვი ლონდონში მოძმანაშვილმა დაამარცხა და მერე კარგა ხანს ანუგეშებდა ხალიჩაზე დამხობილს. 25 წლის მახოვი აცხადებს, რომ ის ლონდონში დაკარგულის ანაზღაურებას ბრაზილიაში შეეცდება. ბრიტანეთში მარცხის მთავარ მიზეზად მან ემოციური გადაღლა დაასახელა, შემდეგ - ფიზიკური, სულ ბოლოს კი არასაკმარის სატურნირო პრაქტიკასაც შეეხო, რაზეც თამაშებამდე ჰუსეინოვიც აკრიტიკებდა - დორტმუნდში არ იჭიდავა.

თურმე ნუ იტყვით და ეს ერთ დროს შეუჩერებელი მახოვი, რომელმაც სამივე მსოფლიო მეტად ულამაზო, „მიანექი-ხალიჩიდან გააგდეს“ სტილში მოიგო, ბავშვობაში მთელი სამი წელიწადი ფორტეპიანოზე უკრავდა, ვიდრე მშობლებს საჭიდაო დარბაზში არ გაექცა, მაგრამ მუსიკისადმი სიყვარულს დღემდე მძაფრად ინახავს გულში, საყვარელი მელოდიები კი ბეთჰოვენის „მთვარის სონატა“ და მოცარტის ეტიუდები ყოფილა.

## ყურბანოვი ტაიმაზოვის ნაცვლად

მეტოქის ბანაკიდან კიდევ ერთი ჩვენთვის საყურადღებო ცნობა უზბეკთა მსოფლიოს პრიზიორს, ლონდონის ოლიმპიადაზე **გიორგი გოგშელიძესთან** ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში დამარცხებულ **ყურბან ყურბანოვს** ეხება - წონას იცვლის და მძიმეში გადადის. ეს ფალავანი უზბეკეთის ლურჯმწვანე დროშას კი აფრიალებს, მაგრამ სინამდვილეში დაღესტნელია, ეროვნებით ლეზგინი და სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონ **არტურ ტაიმაზოვისა** (120) და მსოფლიოს ჩემპიონ **ზაურბეკ სოხიევის** (84) მსგავსად (ესენი ოსები არიან) მოგვიანებითაა გადასული შუა აზიაში. ამ დღეებში ის მშობლიური ქალაქის - მახაჩყალას კიროვის რაიონის შეფის მოადგილედ დანიშნეს. ყურბანოვი ტურნირებისთვის ისედაც მახაჩყალაში ემზადება და იმედოვნებს, რომ სპორტთან საზოგადოებრივი მისიის შეთავსებას შეძლებს. ზედმეტი წონის პრობლემა მას თურმე ყოველთვის აწუხებდა და ლონდონშიც მთელი 10 კილოგრამი დაუკლია. გოგშელიძესთან მარცხის მიზეზადაც ეს დაასახელა, ამის შემდეგ როგორ უნდა მეჭიდავაო. მძიმე წონაში გადასვლა თურმე აქამდეც სურდა, მაგრამ ტაიმაზოვის გამო ამას აქამდე არ აკეთებდა, ეს შეარყევდა ჩვენს მეგობრობასო. ახლა, როცა ტაიმაზოვი მეოთხე ადამიანი გახდა საჭიდაო სამყაროში, ვინც სამი ოლიმპიური ოქრო მოიგო, სპორტიდანაც წავიდა და ყურბანოვსაც გზა გაეხსნა მძიმე წონისკენ. ის ამ შანსსაც იყენებს ანუ მოძმანაშვილმა და საკანდელიძემ ახლა მას უნდა მიაქციონ ყურადღება, როგორც მომავალ მეტოქეს.

**ირაკლი თავაძე**

● „...აჭრობებს, თუ გამორჩევით ქმნელია“. გამოხმაურება

# ვინ როგორ ფიქრობს...

**კვირის თემა: „არის თუ არა აუცილებელი მოსწავლე და სტუდენტ სპორტსმენებს მიეცეთ სწავლის პერიოდში შეღავათები და გაცდენები ჩაეთვალოთ საპატიოდ შეკრებებსა და შეჯიბრებებში მონაწილეობის პერიოდში“? გთავაზობთ მეორე გამოხმაურებას.**

ჩემი აზრით, მოზარდი არ უნდა დარჩეს სპორტის გარეშე, თუმცა პირადად მე ძალიანაც არ მიხარია, როცა სკოლის თანხმობით ბავშვი შეჯიბრებებზე დადის, გაკვეთილებს აცდენს, მაგრამ გამოსავალსაც ვერ ვხედავ. რა ვქნა? მოდით, ერთად ვიფიქროთ. თუმცა თემა ძალიან რთულია. ის, რომ მოსწავლეს გაკვეთილების გაცდენა საპატიოდ უნდა ჩაუთვალონ, პრობლემას ვერ წყვეტს. ვისაც ეს აკმაყოფილებს, არა მგონია, ბავშვის მომავლისთვის კარგი უნდოდეს.

**კახა სალდაძე**
ქუთაისი

■ ■ ■

იცით რას გეტყვით? ველოსიპედი გამოგონილია. გაიხსენეთ ძველი სპორტული ინტერნატები, სადაც სპორტისთვის შერჩეული ბავშვები სწავლობდნენ და ვარჯიშობდნენ კიდეც. გაიხსენეთ, რამდენი სახელოვანი სპორტსმენი და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ცნობილი ადამიანი აღიზარდა ასეთ სკოლებში.

**ვაჟა თვაური**
გურჯაანი

■ ■ ■

სწავლა და სპორტი ჯანმრთელობისთვის და არა უმაღლესი მიღწევებისთვის! მე ასე ვფიქრობ. ისწავლე, დროს ნუ დაკარგავ, მაგრამ ივარჯიშე შენთვის, განტვირთვისთვის, რომ სულიერ და ფიზიკურ სრულყოფას თანაბრად მიაღწიო.

**რევაზ დიდბარიძე**
თბილისი

■ ■ ■

არ დაიჯეროთ, რომ დიდი სპორტი ხელს უწყობს ჯანმრთელობის განმტკიცებას. პირიქით, სპორტი არ არის ფიზიკური კულტურა პიროვნებას ჰარმონიულ სრულყოფაში რომ ეხმარება. დიდი სპორტი ძალადობაა საკუთარ ორგანიზმზე, რომელსაც ნებაყოფლობით ფიტავ, არღვევ შინაგანი ორგანოების ნორმალურ სასიცოცხლო ფუნქციას. დიახ, ეს არის ძალადობა საკუთარ ორგანიზმზე ეკონომიკური კეთილდღეობის მისაღწევად და არა ფიზიკური სრულყოფისათვის.

**დაზმირ ბრეგვაძე**
თბილისი

■ ■ ■

თქვენი ახალი თაოსნობით ფაქტობრივად, გარკვეულწილად, მთელი საზოგადოებრიობა ჩააბით ქართული სპორტის მართვაში და პრობლემების ერთობლივად გადასაწყვეტად ზრუნვაში. დღეს თუ ვინმეა შეუვალად ერთსულოვანი რომელიმე სფეროს მიმართ, ესაა ქართული სპორტი. არც ასაკს, არც პროფესიას არ აქვს მნიშვნელობა, ყველას ახარებს ქართული სპორტის წარმატებები საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე. ამიტომაცაა იგი საერთო საზრუნავი, პრობლემები კი ერთად მისახედი.

ჩემი თხოვნაა, იქნებ ქალთა სპორტზე სადისკუსიოდაც მოიცალოთ.

**გიორგი ბერიძე**
თბილისი

● იუბილარი


1966 წ. საქართველოს ნაკრები ერთ-ერთ შეკრებაზე. მარცხნიდან მესამე რომან რურუა, მეხუთე - თემურ ქურციკიძე

# ჩემი მეჯვარე...

## ექლვნება რომან რურუას იუბილეს

გასული საუკუნის 60-70-იან წლებში, დაბა ლესელიძე ის ოაზისი იყო, რომელიც ანდამატივით იზიდავდა სპორტის არაერთი სახეობის წარმომადგენლებს სხვადასხვა რანგის საწვთნელ-მოსამზადებელ შეკრებებზე.

სწორედ აქ, 1966 წლის ზაფხულში, გავიცანით ერთმანეთი სპორტის ოსტატებმა მოჭიდავემ თემურ ქურციკიძემ და კალათბურთელმა, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრმა ლეილა კვიციანმა. ახალგაზრდებმა ბედი ერთმანეთს დავუკავშირეთ. შევქმენით მტკიცე და თბილი კერა, რომელსაც იმ დღიდან სპორტული ოჯახი ჰქვია.

ყველაზე მთავარი ჩვენთვის იყო, როგორმე მოგვეხერხებინა თბილისიდან გასვლა რამდენიმე დღით. ეს ამბავი რომან რურუას გავანდე, თან დავძინე, რომ ერთი კაპიკიც არ გაგვაჩნია, რასაც მშობლებს ვერ გავუმხელდით. რომანმა მხარი დაგვიჭირა მეგობრებს, მაგრამ რაკი ჩემს დედ-მამას იცნობდა, იქვე დააყოლა: ბიჭო, რა ვუთხრა გუგული დეიდას და შოთა ბიძიასო...

ერთი სიტყვით, 20-წლის ახალგაზრდები რომანმა ჩაგვსვა მანქანაში, აგვილო სოჭის თვითმფრინავზე იქით-აქეთ მგზავრობის ბილეთები და ზედ სახარჯო ფულიც დააყოლა. დრო იყო საკმაოზე მეტი და სანაპიროზე ქორწინების სახლშიც მიგვიყვანა ხელის მოსაწერად. იქ თურმე ერთი თვით ადრე ყოფილა საჭირო განცხადების შეტანა, აქაც რომანის მსოფლიო ჩემპიონობამ გვიშველა. ხელის მოწერის ცერემონიალს ცნობილი ძალოსნის, ებრალიძის მეუღლე განაგებდა და საქმეც მოგვარდა.

საქართველოს მოსახლეობამ იცის, ვინ არის რომან რურუა, მაგრამ ბევრი მის ქველმოქმედებას არ იცნობს. იგი ადრეულ ასაკშიც, შემდეგ და დღესაც გვერდში უდგას და ეხმარება არა მარტო ჩვენნაირ ახლობლებს, ასევე ძალიან ბევრ გაჭირვებულს, რაზედაც თავად არასდროს ლაპარაკობს.

დაბოლოს, ჩემს მეჯვარეს რომანს მინდა საქვეყნოდ ბოდიში მოვუხადო იმისათვის, რომ ერთხელ ვაწყენინე, მაგრამ თავისი დიდსულოვნებიდან გამომდინარე, მაინც ჩვენს ოჯახთან ურთიერთობას აგრძელებს. მეტიც, ჩემი მეუღლე, ბატონი რომანის სპორტული ნაწარმის ექსპერიმენტული ფაბრიკის დირექტორობის დროს ბოლომდე იყო მისი მოადგილე და პროფკავშირის თავმჯდომარე.

ჩემო რომან, შენ მიერ 45 წლის წინათ ხელდასმული სპორტული ოჯახი ამჟამად უკვე ორ შვილს, ოთხ შვილიშვილს და სამ შვილთაშვილს მოითვლის.

დიდი სიყვარულით ჩვენი სპორტული ოჯახი ლეილა და თემურ ქურციკიძეები გილოცავენ სახელოვან კაცს იუბილეს და გისურვებთ შენი ოჯახის ყველა წევრთან ერთად ყოველგვარ ადამიანურ სიკეთეს.

®

# ბატონო რომან!



გულწრფელად გილოცავთ დაბადებიდან 70 წლის საიუბილეო თარიღს. ქართული სპორტი და არა მხოლოდ ჩვენი საჭიდაო სამყარო, სამართლიანად ამაყობს თქვენი უთვალსაჩინოესი სპორტული მიღწევებით და საზოგადოებრივ სარბიელზე გაწეული ღვაწლით. თქვენ შემოქმედებითად გაამდიდრეთ ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, რითაც ალაფრთოვანებდით მსოფლიო საჭიდაო სამყაროს. თქვენ ხართ ერთადერთი, რომელსაც არც ერთი შეხვედრა არ წაუგია უცხოელ ფალავანთან. თავის დროზე სწორედ თქვენ გახდით წვრთნის პროცესის ახლებურად დაგეგმვის თაოსანი. თქვენი ადამიანური ღირსებები გულწრფელობა, პირდაპირობა და თქვენი ცხოვრებისეული კრედო - დაუკმაყოფილებლობა და მეტის მიღწევა, სამაგალითო გახდა ქართული საჭიდაო სამყაროსთვის და მის წიაღში აღზრდილი თაობებისთვის.

გისურვებთ ყოველივე სიკეთეს, ჩვენო რომან!

*ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“,*
*საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი.* ®

# მილოცვა



საქართველოს ვეტერანი მოჭიდავეები დაბადებიდან 79 წელს ვულოცავთ ქართველ ფალავანთა თაობების აღმზრდელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ადამიანური ღირსებებით გამორჩეულად შესანიშნავ პიროვნებას **ბიჭიკო შელიას.** ®

# საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრთა საყურადღებოდ!

2012 წლის 25 დეკემბერს გაიმართება საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია.

**დღის წესრიგი**

1. ასოციაციის პრეზიდენტის ანგარიში.
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. ასოციაციის პრეზიდენტის, გენერალური მდივნის, ვიცე-პრეზიდენტების და ალმასკომის წევრების არჩევნები.
4. სხვადასხვა.

ასოციაციის პრეზიდენტის პოსტზე კენჭისყრის მსურველებმა განაცხადი უნდა წარმოადგინონ 2012 წლის 20 დეკემბრამდე ელექტრონული ფოსტით:sport-media@live.com ან elgujaberishvili@hotmail.com. ტელეფონი: 577 488 844.

*ასოციაციის ალმასკომი*

## კალათბურთი

ევროჩელენჯი 2012-13. დღეს, 18:00 არმია-ჰაპოელი

# რევანშისთვის

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში ევროჩელენჯის H ჯგუფის გუნდები - თბილისის „არმია“ და ჰოლონის (ისრაელი) „ჰაპოელი“ მეორე წრის პირველ ტურში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. მათი სასტარტო შეხვედრა ისრაელში მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა 84-69. არმიელები, რომლებმაც გუშინ სპორტის სასახლეში ივარჯიშეს, სარევანშოდ არიან განწყობილი, მით უმეტეს, რომ მომდევნო ეტაპზე გასვლის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული შანსები ჯერ კიდევ შემორჩათ.

გუშინდელი წვრთნის დამთავრების შემდეგ „არმიას“ მთავარ მწვრთნელსა და ორ კალათბურთელს ვესაუბრეთ.

**კოტე ტულუში, „არმიას“ თავკაცი:** „ჰაპოელთან“ გასვლითი მატჩი ძალიან ცუდად ვითამაშეთ, ფაქტობრივად, წაგება ჩვენი ბრალი იყო. შეთამაშება ვერ მოვასწარით. მართალია, ევროჩელენჯზე მომდევნო ორი პაექრობაც დავთმეთ, მაგრამ დაგვეთანხმებით, რომ ისინი ბევრად უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე ჰოლონში. იმ ორთაბრძოლებიდან სწორი დასკვნები გავაკეთეთ, მეტოქეც უკეთ შევისწავლეთ, გავაანალიზეთ მათი ძლიერი და სუსტი მხარეები. სამშაბათის მატჩს მაქსიმალურად კონცენტრირებულები შევხვდებით. ვიმედოვნებ, რომ გავიმარჯვებთ. საამისოდ მოტივაციაც გვაქვს - სამი შეხვედრის წაგების მიუხედავად, ჯგუფში მეორე ადგილზე გასვლის თეორიული თუ პრაქტიკული შანსები არ დაგვიკარგავს. ვფიქრობთ, გულშემატკივრებიც მხარში ამოგვიდგებიან. დარწმუნებული ვარ, ქომაგები დაძაბული, საინტერესო ორთაბრძოლის მოწმენი იქნებიან.

**- განმეორებითი შეხვედრის წინ მეტოქეებმა ეროვნული ჩემპიონატის მატჩები წააგეთ. შემთხვევითი დამთხვევაა თუ...**

- „ჰაპოელი“ თავიდან ვაჟკაცურად შეება არა მარტო ისრაელის, არამედ ევროლიგის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს - თელ-ავივის „მაქაბის“, რომლის შემადგენლობაშიც, მოგეხსენებათ, ჩვენი გიორგი შერმადინიც გამოდის. თუმცა, ძნელია, 40 წუთის განმავლობაში გაუმკლავდე კლასით შენზე ძლიერს, თუნდაც საკუთარი კედლების აქტიური მხარდაჭერით. „მაქაბის“ ოსტატობამ თავისი ქნა. არც იმას გამოვრიცხავ, რომ „ჰაპოელმა“ გარკვეულწილად თავი ჩვენთან საბრძოლველად შემოინახა და ბოლომდე არ შეალია ძალები ლიდერს. სტუმრები ხომ თბილისში განმეორებით მატჩში წარმატების შემთხვევაში გათამაშების ცხრილის მე-2 საფეხურზე პოზიციებს განიმტკიცებენ.

რაც შეეხება „არმიას“, შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდთან წაგება მოულოდნელი იყო, იმის მიუხედავად, რომ „აკადემია“ ბოლო დროს ძალიან გაძლიერდა და ეროვნულ ჩემპიონატში ერთ-ერთი გამორჩეული გუნდია. თავის მართლებას არ ვაპირებ. არადა, ობიექტურად თუ ვიტყვით, მთელი გულისყური ევროჩელენჯზე გვაქვს გადატანილი. „აკადემიის“ ყურადღების ცენტრში კი „არმია“ იყო. გერმანიაში მომქანცველი მატჩის შემდეგ ძალების სრულად აღდგენა და ეროვნულისთვის მომზადება სათანადოდ ვერ შევძელით. თუმცა ერთი მარცხით ქვეყანა არ იქცევა - შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდთან სარევანშოდ დრო და შანსი გვექნება. ახლა მთავარია, „ჰაპოელი“ დავამარცხოთ და ქომაგები გავახაროთ.

**- სამშაბათის მატჩში ვინმეს ხომ არ მოისაკლისებთ?**

- გერმანიაში უგრეხელიძემ, მართალია, სულ შვიდი წუთი ითამაშა, მაგრამ დროის ამ მცირე მონაკვეთში ნაყოფიერად გაისარჯა. მერე ტრავმა მიიღო და „ჰაპოელთანაც“ ვერ დაგვეხმარება, რაც ჩვენთვის დანაკლისია, რადგან ტანმაღალი კალათბურთელების კარგი თამაშით მაინცდამაინც განებივრებულები არ ვართ. დანარჩენები მწყობრში არიან. ისრაელში მარცხის ერთ-ერთი მიზეზი საკუთარი ფარის წაგება იყო. ბოლო ვარჯიშზე სწორედ ამ ხარვეზის გამოსწორებაზე ვიზრუნეთ. ასე რომ, სამშაბათს ყველაფერი რიგზე იქნება.

**დავით უგრეხელიძე:**

- ძალიან მწყდება გული, რომ „ჰაპოელთან“ ორთაბრძოლას მხოლოდ ტრიბუნიდან მივადევნებ თვალს და თანაგუნდელებს ვერ დავეხმარები. ახლა გამოკვლევას ვიტარებ. სერიოზული არაფერი ჩანს, მაგრამ, თავის დაზღვევის მიზნით, ვარჯიშს ვერიდები.

**- მეტოქეზე რას იტყვი?**

- ფრენკ ჰასელი, ზაკ როზენი, ჯერონ დაისონი და ტაილერ სმიტი ძლიერი კალათბურთელები არიან. „ჰაპოელი“, უმთავრესად, მათი ინდივიდუალური თამაშის წყალობით გადის ფონს, თუმცა სწრაფი კონტრშეტევებიც კარგად ეხერხება. ისრაელში ჩვენი მარცხის მიზეზი ის იყო, რომ გვიან დავიწყეთ შეკრება, უცხოელებთან შესათამაშებლად დრო არ გვეყო, საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრებიც ვერ მოვასწარით. ვინც თვალს ადევნებს „არმიის“ მატჩებს, ალბათ, შეამჩნევდა, რომ გუნდი პაექრობიდან პაექრობამდე აუმჯობესებს თამაშს. თუნდაც ჩვენი ჯგუფის ლიდერ „ტელეკომთან“ მატჩი ავიღოთ, სამწუხაროდ, ბოლო წამებზე წავაგეთ. ვფიქრობ, სამშაბათს ასეთი რამ არ მოხდება და გავიმარჯვებთ.

**ბექა წივწივაძე:**

- დაძაბული მატჩი გველის, მაგრამ არ გვეშინია, მოტივირებულები ვართ, ყველაფერს გავაკეთებთ საამისოდ, რომ ქომაგები გავახაროთ და მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი გამოვიყენოთ.

ვაჟა დანელია

ლეგიონის კვირა

# მამლუქები






განვლილი კვირა ორი რამით იყო გამორჩეული: **ზაზა ფაჩულიამ** ამერიკელი სპეციალისტები კარგი თამაშით კიდევ ერთხელ აალაპარაკა და მეორე - ერთმანეთის წინააღმდეგ საქართველოს ნაკრების წევრები რამდენჯერმე წარსდგნენ.

მაგალითად, ევროთასზე **ჯეიკობ პულენის** „ჰაპოელმა“ **გიორგი ცინცაძის** „ბუდიველნიკი“ დაამარცხა, ხოლო ევროლიგაზე **ვიქტორ სანიკიძის** „მონტეპასკიმ“ **გიორგი შერმადინის** „მაქაბის“ აჯობა. გუშინ სანიკიძე კიდევ ერთ მეგობარს, **მანუჩარ მარკოიშვილს** შეექიდა. იტალიის ჩემპიონატის მატჩი „მონტეპასკისა“ და „კანტუს“ შორის გვიან დასრულდა და შედეგის ხილვა ცხრილში შეგიძლიათ.

ესპანეთში მადრიდის „რეალის“ წინააღმდეგ ითამაშა **ბექა ბურჯანაძემ**, ხოლო ირანში კიდევ ერთი ორმაგი დუბლი მიითვალა **სერგო ათუაშვილმა**, რომლის შეჩერება აზიელებს ძალიან უჭირთ.

თუ გაგიჩნდათ კითხვა, რატომ წერია **თორნიკე შენგელიასა** და გიორგი შერმადინის გასწვრივ „არ უთამაშია“, გიპასუხებთ. გიორგი გაციებული იყო, ხოლო თორნიკეს მოედანზე შეყვანისგან მწვრთნელმა ამ კვირაში სამჯერ შეიკავა თავი.

ვაჟა სიმონიშვილი

ბლიც-ინტერვიუ ზაზა ფაჩულიასთან

# ყველაფერი წუთებით იწყება

გუშინდელ ნომერში მოგახსენეთ, რომ „ლოს ანჯელეს კლიპერსის“ ძლევაში ზაზა ფაჩულიამ ლომის წილი დაიდო, 19 ქულა, 12 მოხსნა, 3 პასი მიითვალა და მატჩის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა.

ასე რომ, ლოგიკური იყო ამერიკელი ჟურნალისტების ინტერესი საქართველოს ნაკრების კაპიტნისადმი. კორესპონდენტმა შეახსენა, რომ „კლიპერსთან“ ზაზამ 19 ქულას მოუყარა თავი.

- 19 ქულა მქონდა, მაგრამ რა უნდა ვთქვა? მიმდინარე წელს ეს იყო ჩემი სარეკორდო მაჩვენებელი. ყველაფერი წუთებიდან იწყება. როცა სათამაშოდ საკმარისი დრო გაქვს, გუნდისთვის მეტი სარგებლის მოტანაც შეგიძლია. ძალიან დამეხმარნენ თანაგუნდელები. საერთოდ, ყველამ კარგად ვითამაშეთ და გუნდური გარჯის წყალობით გავიმარჯვეთ.

**- მეტოქე სერიოზული გყავდათ.**

- „კლიპერსი“ კარგად დაკომპლექტებული, დიდებული გუნდია, ნებისმიერი მეტოქისთვის სახიფათოა. თუნდაც საშინაო არენაზე მისი ძლევა ყოველთვის რთულია. მოხარული ვარ, რომ ჩვენ ეს შევძელით.

**- მეტოქის ტანმაღლებზე რისი თქმა შეიძლება?**

- „კლიპერსში“ გამორჩეული წინახაზელები თამაშობენ, ფარქვეშ მუშაობაც უყვართ და სწრაფადაც გადაადგილდებიან. ასეთ გუნდთან გადამწყვეტი იყო ერთი გარემოება: არ უნდა მიგვეცა ფარქვეშ იოლად გადაადგილების, იოლად ჩატენვის საშუალება. ეს კარგად ვიცოდით და სათანადოდაც ვიბრძოლეთ. პირველი პერიოდი თამაშის დასალაგებლად დაგვჭირდა, ხოლო მეორიდან მოედანზე კიდევ უფრო კონცენტრირებულები გავედით და მეტოქეს არ მივეცით პლუსების გამოყენების უფლება.

ვაჟა სიმონიშვილი



| მოთამაშე | გუნდი | თარიღი | შეჯიბრება | VS | ანგარიში | წუთი | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა (NBA) | 19.11 | NBA | VS ორლანდო | 81:72 | 22 | 8 | 11 | 1 | 0 | 0 |
| | | 21.11 | NBA | VS ვაშინგტონი | 101:100 | 19 | 7 | 6 | 2 | 2 | 0 |
| | | 23.11 | NBA | შარლოტი VS | 91:101 | 14 | 9 | 7 | 1 | 1 | 1 |
| | | 24.11 | NBA | VS კლიპერსი | 104:93 | 37 | 19 | 12 | 3 | 1 | 0 |
| თორნიკე შენგელია | ბრუკლინი (NBA) | 20.11 | NBA | ლეიკერსი VS | 95:90 | არ უთამაშია | | | | | |
| | | 21.11 | NBA | გოლდენ სტ. VS | 102:93 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | | 23.11 | NBA | VS კლიპერსი | 86:76 | არ უთამაშია | | | | | |
| | | 25.11 | NBA | VS პორტლენდი | 98:85 | არ უთამაშია | | | | | |
| მანუჩარ მარკოიშვილი | კანტუ (იტ) | 23.11 | ევროლიგა | VS პანათინაიკოსი (საბ) | 69:71 AM | 28 | 5 | 2 | 2 | 3 | 0 |
| | | 26.11 | იტალიის ჩემპ. | VS მონტეპასკი | 87:60 | 26 | 8 | 3 | 2 | 0 | 0 |
| ვიქტორ სანიკიძე | მონტეპასკი (იტ) | 23.11 | ევროლიგა | VS მაქაბი (ისრ) | 89:87 | 17 | 2 | 3 | 0 | 2 | 0 |
| | | 26.11 | იტალიის ჩემპ | კანტუ VS | 66:71 | 23 | 9 | 9 | 2 | 2 | 1 |
| გიორგი შერმადინი | მაქაბი (ისრ) | 23.11 | ევროლიგა | მონტეპასკი (იტა) VS | 89:87 | 3 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 |
| | | 25.11 | ისრაელის ჩემპ. | ჰაპოელ ჰოლონი VS | 72:100 | არ უთამაშია | | | | | |
| გიორგი ცინცაძე | ბუდიველნიკი (უკრ) | 21.11 | ევროთასი | ჰაპოელი (ისრ) VS | 81:67 | 21 | 5 | 1 | 4 | 1 | 0 |
| | | 11.11 | უკრაინის ჩემპ | მიკოლაივი VS | 70:79 | 23 | 6 | 5 | 2 | 2 | 2 |
| ბექა ბურჯანაძე | კახასოლი (ესპ) | 21.11 | ევროთასი | ორლეანი (საფ) VS | 56:70 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| | | 25.11 | ესპანეთის ჩემპ. | VS რეალი | 63:71 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ჯეიკობ პულენი | ჰაპოელი (ისრ) | 21.11 | ევროთასი | VS ბუდიველნიკი (ლატ) | 81:67 | 25 | 10 | 4 | 2 | 1 | 1 |
| | | 25.11 | ისრაელის ჩემპ. | VS აშქელონი | 85:96 | 27 | 8 | 3 | 5 | 2 | 0 |
| ნიკა ცქიტიშვილი | მაჰანი (ირანი) | 23.11 | ირანის ჩემპ. | აზადი VS | 68:82 | 11 | 4 | 4 | 1 | 0 | 0 |
| სერგო ათუაშვილი | ქეშმი (ირანი) | 22.11 | ირანის ჩემპ. | გორგანი VS | 78:81 | 35 | 20 | 13 | 0 | 0 | 2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# მონაგარი მხოლოდ ერთი სინბინია

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში მე-12 ტურის შეხვედრები გაიმართა. ქართველ მორაგბეთა რვა გუნდიდან ხუთი პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვის, სამი კი დივიზიონში დარჩენისთვის.**

„ქართული გუნდებიდან“ საუკეთესო მაჩვენებელი **გურამ კავთიძის** „ლიონს“ აქვს, რომელმაც მე-12 ტურში სტუმრად დაამარცხა აუტსაიდერი **შალვა სუთიაშვილისა** და **დავით აშვეთიას** „მასი“ - 27:23. ლიონელები თავიდანვე ფლობდნენ დიდ სათამაშო უპირატესობას და პირველი ტაიმი 27:10 მოიგეს. შესვენების შემდეგ პარიზელები საგრძნობლად გააქტიურდნენ, მეტოქეს მონაგრის გაზრდის საშუალება აღარ მისცეს, თუმცა თავად მხოლოდ ანგარიშის ოთხ ქულამდე შემცირება მოახერხეს.

აშვეთია ძირითად შემადგენლობაში იყო და 41-ე წუთზე შეცვალეს, კავთიძემ მოედანზე 12 წუთით მეტი დაჰყო, სუთიაშვილი საქართველოს ნაკრებში იყო გამოძახებული. „ლიონი“ ამ გამარჯვების შემდეგ 36 ქულით მე-3 ადგილზეა.

ლიონელებს ორი ქულით ჩამორჩებიან „ტარბი“ და „ბრივი“. **გიორგი ჩხაიძის, გიორგი ნემსაძის, დავით დადუნაშვილისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბი“ სტუმრად დამარცხდა ერთ-ერთ აუტსაიდერთან, **ტარიელ რატიანიძის** „დაქსთან“ - 13:15.

მირცხულავა 49-ე წუთზე შეცვალეს, რატიანიძემ მოედანი 14 წუთის შემდეგ დატოვა, ორ წუთში სათადარიგოთა სკამზე დადუნაშვილმაც გადაინაცვლა, ჩხაიძე ტრავმირებულია და არ უთამაშია, ნემსაძე ეროვნულ ნაკრებში იყო გამოძახებული.

**გოდერძი შველიძის, დავით ხინჩაგიშვილისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ბრივმა“ კი სტუმრად წააგო გათამაშების ლიდერთან „ოიონაქსთან“ - 19:40. არადა, ბრიველებმა პირველ ტაიმში ბევრად უკეთ ითამაშეს და 16:15 მოიგეს. მასპინძლებმა შესვენების შემდეგ მაინც შეძლეს მეტოქის წინააღმდეგობის დაძლევა და ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცეს.

შველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 61-ე წუთზე შეცვალეს, ხინჩაგიშვილმა და ნატრიაშვიმა საქართველოს ნაკრების შემადენლობაში ითამაშეს.

**ლევან დათუნაშვილის, კარლენ ასეიშვილისა** და **ზერო პეტრიაშვილის** „ორიაკმა“, რომელიც 33 ქულით მეშვიდე ადგილზეა, სტუმრად უმძიმეს ბრძოლაში დაამარცხა „კარკასონი“ - 32:28. პირველი ნახევარი ორიაკელებმა 13:22 დათმეს, ანგარიშში დაწინაურება კი პირველად მატჩის დასრულებამდე 12 წუთით ადრე შეძლეს, სამ წუთში კი საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირეს.

ნაცარაშვილი თამაშში 54-ე წუთიდან ჩაერთო, ასეიშვილი მოედანზე რვა წუთის შემდეგ გამოჩნდა, დათუნაშვილი საქართველოს ნაკრებში იყო გამოძახებული.

**კახაბერ კობერიძის, ალექსანდრე თოდუას, ვახტანგ მაისურაძის, ვახტანგ ახობაძისა** და **გიორგი თეთრაშვილის** „ალბიმ“, რომელიც „ორიაკს“ ერთი ქულით ჩამორჩება და მე-8 ადგილზეა, შინ დაამარცხა ერთ-ერთი აუტსაიდერი „ექსი“ - 49:21.

თოდუამ და მაისურაძემ „ბორჯღალოსანთა“ რიგებში ითამაშეს, ახობაძე, კობერიძე და თეთრაშვილი განაცხადში არ იყვნენ.

**ბექა შეყლაშვილის** „ბეზიემ“, რომელიც 16 ქულით ბოლოსწინა მე-15 ადგილზეა, სტუმრად წააგო „კოლომიესთან“ - 24:28. შეყლაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა და 53-ე წუთზე მატჩის არბიტრმა სინბინში გაუშვა.

**II დივიზიონი**

**XII ტური**

ლა როშელი-პო 18:16, დაქსი-ტარბი 15:13, კოლომიე-ბეზიე 28:24, ალბი-ექსი 49:21, ოში-ნარბონი 26:26, ოიონაქსი-ბრივი 40:19, მასი-ლიონი 23:37, კარკასონი-ორიაკი 28:32.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ოიონაქსი - 48 ქულა, 2. ლა როშელი - 37, 3. ლიონი - 36, 4. პო - 34, 5. ტარბი - 34, 6. ბრივი - 34, 7. ორიაკი - 33, 8. ალბი - 32, 9. კარკასონი - 30, 10. ოში - 27, 11. კოლომიე - 23, 12. ნარბონი - 21, 13. დაქსი - 20, 14. ექსი - 16, 15. ბეზიე - 16, 16. მასი - 11.

**XIII ტური**

ორიაკი-მასი, პო-ექსი, ლიონი-დაქსი, კარკასონი-კოლომიე, ტარბი-ლა როშელი, ოიონაქსი-ოში, ბრივი-ალბი, ბეზიე-ნარბონი.

■ ■ ■

მორიგი, მე-9 ტურის შეხვედრები გაიმართა კელტთა ლიგაში. **დიმიტრი ბასილაიას** „ედინბურგმა“ შინ მიიღო უელსური „ოსფრიზი“ და 23:13 მოუგო. ჩვენებურის გუნდი ახლა 17 ქულით მე-8 ადგილზეა. გათამაშებას კი 39 ქულით დამაჯერებლად ლიდერობს ირლანდიური „ალსტერი“.

**კელტთა ლიგა**

**IX ტური**

ედინბურგი-ოსფრიზი 23:13, ბენეტონი-ალსტერი 15:16, ნიუპორტი-ქონოთი 14:3, გლაზგო-ლენსტერი 0:6, ზებრე-კარდიფი 7:14, მანსტერი-ჰლანეჰლი 6:13.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ალსტერი - 39 ქულა, 2. ჰლანეჰლი - 33, 3. გლაზგო - 28, 4. ლენსტერი - 26, 5. მანსტერი - 24, 6. ოსფრიზი - 23, 7. კარდიფი - 19, 8. ედინბურგი - 17, 9. ქონოთი - 14, 10. ბენეტონი - 14, 11. ნიუპორტი - 13, 12. ზებრე - 4.

**X ტური**

ოსფრიზი-კარდიფი, ბენეტონი-ნიუპორტი, ქონოთი-ედინბურგი, ლენსტერი-ზებრე, მანსტერი-გლაზგო, ჰლანეჰლი-ალსტერი.



მარჯვნივ პირველ ხაზში გურამ კავთიძე

წილისყრა



# რეიტინგმა გუნდები წილისყრისთვის გაამზადა

**ნოემბრის ტესტები გუნდების აბსოლუტური უმრავლესობისთვის დასრულდა. გასამართი მხოლოდ ორი მატჩი დარჩა. ინგლისის ნაკრები ლონდონში, „თვიქნემზე“ ახალი ზელანდიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება, უელსელები კი კარდიფში, „მილენიუმზე“ ავსტრალიის ნაკრებს უმასპინძლებენ.**

ნოემბრის ტესტებს წლეულს უწინდელთან შედარებით ბევრად მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონდა. 3 დეკემბერს ლონდონში 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების წილისყრა გაიმართება. ცნობილია 12 გუნდი, რომლებმაც ინგლისში ასპარეზობის უფლება შარშან ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზე მოიპოვეს. ჯგუფებში მათი განაწილება სწორედ რეიტინგში იმ დროისთვის დაკავებული ადგილების მიხედვით მოხდება.

ასე მაგალითად, პირველ კალათაში რეიტინგით ოთხი საუკეთესო გუნდი მოხვდა: ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია და საფრანგეთი. აღსანიშნავია, რომ ფრანგები მოწინავე ოთხეულში სწორედ ნოემბრის ტესტებზე შესანიშნავი თამაშის წყალობით აღმოჩნდა. „ლე ბლომ“ სამიდან სამივე თამაში მოიგო.

ფრანგებს ოთხეულში ადგილი ინგლისის ნაკრებმა დაუთმო, რომელმაც სამი მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგო და მეხუთე ადგილზე დაქვეითდა. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს თასის მასპინძელი ინგლისი ამის გამო განთესილთა შორის ვერ ვიხილეთ და, ადვილი შესაძლებელია, ჯგუფურ ტურნირში მისი მეტოქე ახალი ზელანდიის ან სამხრეთ აფრიკის ნაკრები იყოს.

მეორე კალათაში „პომებთან“ ერთად აღმოჩნდნენ ირალანდიის, უელსისა და სამოას ნაკრებები. ამათგან გამოსარჩევია სამოელთა წარმატება. ისინი ნოემბრის ტესტების წინ მე-9 ადგილზე იყვნენ და ევროპაში წარმატებული ტურნეს შემდეგ მეორე ოთხეულში შეაღწიეს. ეს გუნდი ძალიან სწრაფად პროგრესირებს და 2015 წლისთვის, სავარაუდოდ, ერთ-ერთი ყველაზე ანგარიშგასაწევი ძალა იქნება.

სამოელებმა მეორე ოთხეულში არგენტინის ნაკრების ადგილი დაიკავეს. „პუმებმა“ ნოემბრის ტესტები შესანიშნავად დაიწყეს, თუმცა ბოლო მატჩში ირლანდიასთან მარცხი 24:46 ძვირად დაუჯდათ. არგენტინელები ახლა რეიტინგში მე-9 ადგილზე არიან და მესამე კალათაში პირველ ნომრად მოხვდნენ. მათ გარდა ამ კალათაში იქნებიან იტალიის, ტონგასა და შოტლანდიის ნაკრებები.

აღსანიშნავია ასევე ტონგას კარგი თამაში. საერთოდ კუნძულელები ნოემბრის ტესტებს ძალიან კარგად მომზადებულნი შეხვდნენ. სხვაგვარად სრულიად წარმოუდგენელია, ტონგას სტუმრად შოტლანდიის ნაკრებისთვის როგორ უნდა მოეგო. „წარშავებმა“, როგორც ჩანს, მეტოქე სათანადოდ ვერ დააფასეს და დაისაჯნენ კიდეც.

წილისყრაში საქართველო, ცხადია, მონაწილეობას არ იღებს, რადგან ჩვენს ნაკრებს მსოფლიოს თასის საგზური ჯერ მოსაპოვებელი აქვს. სამაგიეროდ, ცნობილი გახდება სავარაუდო ორი ჯგუფი, სადაც შესაძლოა ჩვენი ეროვნული გუნდი მოხვდეს. წილისყრაზე ევროპა 1 და ევროპა 2 თავიანთ ადგილებს მიუჩენენ. ევროპა 1 ერთა თასის გამარჯვებული იქნება, ევროპა 2 კი მეორე ადგილზე გასული. ინგლისში გამგზავრების შანსს არ კარგავს მესამეადგილოსანიც, ის რეპეშაჟის გავლით შეეცდება მსოფლიოს რაგბის უდიდეს ფორუმზე მოხვედრას.

რა ბედს გვიმზადებს სარაგბო ფორტუნა, ცნობილი 3 დეკემბერს გახდება. წილისყრაზე, ლონდონში, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **მილტონ ჰეიგი**, მენეჯერი **ვასილ აბაშიძე** და გუნდის კაპიტანი **ირაკლი აბუსერიძე** მიემგზავრებიან.

**პირველი კალათა:** ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია, საფრანგეთი.

**მეორე კალათა:** ინგლისი, ირლანდია, უელსი, სამოა.

**მესამე კალათა:** არგენტინა, იტალია, ტონგა, შოტლანდია.

**მსოფლიოს რეიტინგი**

**1. ახალი ზელანდია - 92,91 ქულა, 2. სამხრეთ აფრიკა - 86,94. 3. ავსტრალია - 86,31. 4. საფრანგეთი - 85,07. 5. ინგლისი - 81,07. 6. ირლანდია - 80,22. 7. უელსი - 78,95. 8. სამოა - 78,71. 9. არგენტინა - 78,71. 10. იტალია - 76,24. 11. ტონგა - 76,10. 12. შოტლანდია - 75,83. 13. ფიჯი - 71,52. 14. კანადა - 71,41. 15. იაპონია - 70,09. 16. აშშ - 68,32. 17. საქართველო - 65,83. 18. ესპანეთი - 63,09. 19. რუმინეთი - 62,12. 20. რუსეთი - 61,49. 21. პორტუგალია - 59,63. 22. ურუგვაი - 59,37. 23. ბელგია - 59,17.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

საქართველოს ჩემპიონატი

# გამოტოვებული ხარებმა მოიგო

**საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ერთი გამოტოვებული შეხვედრა გაიმართა. რუსთავის „ხარებმა“ შინ სატურნირო ცხრილის მეზობელ „ბათუმს“ 28:16 მოუგო.**

ათი ტურის შემდეგ რუსთაველები 13 ქულით მერვე ადგილზე არიან და ერთი ქულით ჩამორჩებიან მეშვიდეადგილოსან „ბათუმს“. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ „ხარებს“ ერთი თამაში თადარიგში აქვს. მომდევნო მე-11 ტური 1 დეკემბერს გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ გათამაშებას 43 ქულით თბილისის „ლელო“ ლიდერობს. ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი „არმია“ მას ორი ქულით ჩამორჩება. მესამე ადგილზე 34 ქულით ქუთაისის „აიაა“, რომელიც თავის მხრივ უახლოეს მდევარ თბილისის „არმაზს“ ცხრა ქულით უსწრებს.

**გამოტოვებული**

**ხარები-ბათუმი** 28:16

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლელო | 10 | 9 | 0 | 1 | +167 | 43 |
| 2. არმია | 10 | 9 | 0 | 1 | +112 | 41 |
| 3. აია | 10 | 7 | 1 | 2 | +133 | 34 |
| 4. არმაზი | 9 | 6 | 0 | 3 | +21 | 25 |
| 5. ლოკომოტივი | 10 | 4 | 1 | 5 | +28 | 22 |
| 6. ჯიქები | 10 | 4 | 0 | 6 | +11 | 22 |
| 7. ბათუმი | 10 | 3 | 0 | 7 | -50 | 14 |
| 8. ხარები | 9 | 3 | 0 | 6 | -104 | 13 |
| 9. აკადემია | 10 | 2 | 0 | 8 | -206 | 9 |
| 10. ყოჩები | 10 | 1 | 0 | 9 | -112 | 7 |

**XI ტური**

ხარები-ილიაუნი ჯიქი, აია-არმია, ლოკომოტივი-ბათუმი, ლელო-ყოჩები, არმაზი-აკადემია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

### მთის თხილამურები. მსოფლიოს თასი



სუპერგიგანტის პოდიუმი

# ნორვეგიული დუბლი

გასულ უქმეებზე სამთო მოთხილამურეებმა ჩრდილოეთ ამერიკის კურორტებზე გააგრძელეს ურთიერთობის გარკვევა - გაიმართა მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპი.

მამაკაცები კანადის კურორტ ლეიკ ლუისში ჩქაროსნულ დისციპლინებში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს და ეტაპის ტრიუმფატორი გახდა ნორვეგიელი **აქსელ ლუნდ სვინდალი**, რომელმაც ორი დღის განმავლობაში მოიგო სწრაფდაშვება და სუპერგიგანტი.

სუპერგიგანტი მჭიდრო შედეგებით გამოირჩეოდა, მაგრამ ასე იყო მანამდე, სანამ ტრასაზე სვინდალი არ გავიდა. ნორვეგიელმა ბრწყინვალედ გაიარა მთელი დისტანცია: იდეალურად შედიოდა ვირაჟებში და ამასთან, მაქსიმალურად შესაძლებელ სიჩქარეს ინარჩუნებდა. საბოლოოდ, ნორვეგიელმა თავის კონკურენტებს თითქმის წამი მოუგო და ლეიკ ლეისში ზედიზედ ორ გამარჯვებას მიაღწია.

მეორე ადგილზე გავიდა ფრანგი **ადრიენ ტეუ**, რაც სავსებით კანონზომიერი შედეგი იყო, სამაგიეროდ, სენსაციად მოინათლა ნაკლებად ცნობილი ავსტრიელის **იოახიმ პუხნერის** მესამე ადგილი. სწორედ მისი დრო იყო დიდი ხნის განმავლობაში ორიენტირი, სანამ ტრასაზე ტეო და სვინდალი არ გავიდნენ.

ლეიკ ლუისის ეტაპის შემდეგ, საერთო ჩათვლაში 200 ქულით სვინდალი დაწინაურდა. მისი უახლოესი მდევრია ამერიკელი **ტედ ლიჯეტი**, რომელიც სუპერგიგანტში მეოთხე მივიდა ფინიშთან.

**სუპერგიგანტი**

**კაცები**

1. **აქსელ ლუნდ სვინდალი** (ნორ) - 1:34.96; 2. **ადრიენ ტეუ** (საფ) - +0.85; 3. **იოახიმ პუხნერი** (ავსტრია) - +0.90; 4. **ტედ ლიჯეტი** (აშშ) - +0.91; 5. **ვერნერ ჰელი** (იტა) - +1.10; 6. **მატიას მაიერი** (ავსტრია) +1.19...

# ავსტრიული დუელი ცეტელმა მოიგო

ქალები ტექნიკურ სახეობებში ებრძოდნენ ერთმანეთს. ამერიკის კურორტ ასპენში გაიმართა სპეციალური სლალომის სტარტი და ფავორიტად ავსტრიელი **მარლის შილდი** მიიჩნეოდა, რომელიც დღეს საუკეთესო სლალომისტად არის აღიარებული.

მაგრამ წელს ამ მოთხილამურისთვის სეზონი არც ისე წარმატებით ვითარდება. ახალი სეზონის პირველ სლალომში, რომელიც ფინეთში გაიმართა, შილდმა ფინიშამდე ვერ მიაღწია, ამჯერად კი მისი დამარცხება მოახერხა მისმა თანამემამულემ - **კატრინ ცეტელმა**.

პირველი დაშვებისას შილდი ზედმეტად ფრთხილობდა და მესამე დრო აჩვენა. სამაგიეროდ, მეორე დაშვება თითქმის იდეალური გამოუვიდა და საბოლოო გამარჯვებაზე სერიოზული პრეტენზია გამოაცხადა. მაგრამ იმ დღეს, კატრინ ცეტელი შეუდარებელი იყო. პირველი ცდის შემდეგ მან ლიდერობა მოიპოვა, მეორე ცდაზე კი არა მარტო შეინარჩუნა პირველი ადგილი, არამედ აბსოლუტურად საუკეთესო დრო აჩვენა და შილდს 37 მეასედი მოუგო.

აღნიშვნის ღირსია სლოვენიელი **ტინა მაზეს** მესამე ადგილი. ეს მოთხილამურე სათავეში ჩაუდგა გენერალურ კლასიფიკაციას და აქედანვე ჩანს, რომ ის „დიდი ბროლის გლობუსის“ ერთ-ერთი მთავარი მაძიებელი იქნება.

რაც შეეხება საუკეთესო ათეულს, უნდა გამოვყოთ გერმანელი **მარის რიშის** მეოთხე ადგილი, აგრეთვე ახალგაზრდა ამერიკელის **მიკაელა შიფრინის** მეშვიდე პოზიცია. ეს მოთხილამურე ყოველ ეტაპზე უახლოვდება მსოფლიო ელიტას.

შემდეგ კვირას, ქალები ლეიკ ლუისში გადაინაცვლებენ, სადაც ჩქაროსნულ დისციპლინებში გაარკვევენ ურთიერთობას. ვარაუდობენ, რომ იქ მოთხილამურეებს შეუერთდება ამერიკელი **ლინდსი ვონი**, რომელსაც ბოლო დროს პრობლემები აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით.

**სლალომი**

**ქალები**

1. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 1:42.46; 2. **მარლის შილდი** (ავსტრია) - +0.67; 3. **ტინა მაზე** (სლოვენ) - +1.81; 4. **მარია რიში** (გერ) - +1.93; 5. **მარია პიტელე-ჰოლმნერი** (შვედ) - +2.15; 6. **ლენა დიური** (გერ) - +2.87...



კატრინ ცეტელი

### კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# სპურსის წვალება კანადაში

ვერავინ წარმოიდგენდა, რომ "სან ანტონიოს" ვიზიტი ტორონტოში ასეთი ხანგრძლივი გამოვიდოდა. მით უმეტეს, როცა **ანდრეა ბარნიანიმ** და **ხოსე-მანუელ კალდერონმა** 32 ტყორცნიდან მხოლოდ ხუთი მოათავსეს კალათში, ასევე გუნდმა ააცილა 24-დან 18 სამქულიანი, ხოლო სასტარტოს წევრმა **მაკგუაიერმა** 16 წუთი ითამაშა და ერთხელაც არ უსვრია ფარისკენ. ამიტომაც საინტერესოა, როგორ მოახერხეს მასპინძლებმა ძირითად დროში მეტოქისთვის ბრძოლის თავზე მოხვევა და შემდეგ ოვერტაიმშიც გადაირჩინეს თავი. არადა, "სპურსს" შეეძლო ორივე დამატებითი დროის თავიდან აცილება.

პირველ შემთხვევაში საჭირო იყო ბოლო წამს გადამწყვეტი სროლა ან ერთი საჯარიმო **პარკერისგან** ზედ სირენის წინ. მაგრამ საფრანგეთის ნაკრების გამთამაშებელმა **დანკანის** ბლოკის შემდეგ თავად გაირთულა საქმე და არასახარბიელო სიტუაციიდან მოუწია სროლამ, შესაბამისად, ააცილა ბურთი.

კიდევ უფრო ახლოს იყო მოგებასთან "სპურსი" პირველ ოვერტაიმში, როცა 24 წამით ადრე ოთხ ქულას იგებდა, მაგრამ **ლოურისგან** მიიღო სამქულიანი. და ხუთწუთეულშიც გადამწყვეტი სროლა პარკერს მიანდეს, თუმცა 0.9 წამით ადრე ფრანგმა ისევ არაზუსტად ისროლა. მეორე ოვერტაიმშიც დაახლოებით ანალოგიური სიტუაცია იყო, ოღონდ მატჩის გადასარჩენად "ტორონტოს" ორჯერ ნაკლები დრო ჰქონდა. ამჯერად ლოური სამქულიანის ხაზიდან შეცდა, თანაც ორჯერ, დანკანმა კი ხუთ ქულამდე აიყვანა სტუმრების უპირატესობა – 111:106.

დანკანი და პარკერი მთავარი მოქმედი გმირები იყვნენ მოედანზე – მათ ერთად შეაგროვეს 58 ქულა, 11 მოხსნა და 11 პასი. თუმცა კანადელებსაც შეუძლიათ კმაყოფილები იყვნენ – ლოურიმ, **დეროზანმა** და **ვალანჩუნასმა** თავიანთ გუნდს 71 ქულა და 22 მოხსნა მოუტანეს. **ედ დევისმაც** უნდა იამაყოს საკუთარი თავით, რადგან 14 მოხსნა შეაგროვა და 11-დან 7 ტყორცნა მოათავსა კალათში. და ეს ყველაფერი 22 წუთის განმავლობაში.

**ტორონტო–სან ანტონიო 106:111 (2ო)**

**25:24, 24:25, 21:20, 18:19, 9:9, 9:14**

**ტ:** დეროზანი (29+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), ვალანჩუნასი (22+7 მოხსნა+3 დაფარება), ლოური (20+8 მოხსნა), დევისი (15+14 მოხსნა).

**ს-ა:** პარკერი (32+6 მოხსნა+5 პასი), დანკანი (26+5 მოხსნა+6 პასი+3 დაფარება), ჯინობილი (15+7 მოხსნა+5 პასი), გრინი (13+9 მოხსნა), დიაო (11).


პარკერი ლოურის წინაალმდეგ

# სხვა მატჩები

"ნიუ იორკმა" "დეტროიტთან" მატჩში 121 ქულა დააგროვა და თან ამისთვის ოვერტაიმი არ დასჭირვებია. **ვუდსონის** შეგირდებმა 33-დან 17 სამქულიანი მოათავსეს კალათში და 31-დან 28 საჯარიმო გამოიყენეს. უფრო მეტიც, მეტოქის 20 შეცდომიდან 33 ქულა მოიპოვეს, თავად კი ორჯერ ნაკლები რაოდენობის შეცდომა დაუშვეს. საინტერესოა, რომ "პისტონზის" ცენტრმა **გრეგ მონრომ** იმდენივე შედეგიანი პასი გააკეთა, რამდენიც სტუმრების გამთამაშებელთა ტრიომ – **ნაითმა, სტაკიმ** და **ბაინუმმა**. თუმცა ამ გიგანტის მონდომება საკმარისი არ აღმოჩნდა განადგურების თავიდან ასაცილებლად – უკვე დიდი შესვენებისთვის "პისტონზი" 20 ქულას აგებდა. რა თქმა უნდა, მთავარი როლი "ნიქსის" რიგებში **კარმელო ენტონის** ჰქონდა, რომელმაც უკვე პირველ მეოთხედში 15 ქულა დააგროვა.

■ ■ ■

დიდი ძალისხმევა დასჭირდა "ბრუკლინს" "პორტლენდის" წინაალმდეგობის გასატეხად. "ბლეიზერსი" დანებებას არ აპირებდა, არადა, მისი სათადარიგოთა სკამი ისევ პასიური იყო. სტუმრების "რეზერვისტებმა" 14-დან მხოლოდ სამი ბურთი ჩააგდეს, აგრეთვე 8 შეცდომა დაუშვეს და 10 პერსონალური აიღეს. სამაგიეროდ, "პორტლენდის" სასტარტო შემადგენლობა ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ სამმეოთხედნახევარი მატჩისთვის ინტრიგა შეენარჩუნებინა, მაგრამ ბოლოს მაინც გამოეპარა 20:6 სპურტი. ყველაფერი დაიწყო **უოტსონის** სამქულიანით და **ბლეტჩისა** და **ევანსის** საჭირო მოხსნებით (მათ ერთად 22 მოხსნა მიითვალეს) და გაგრძელდა **ლოპესის, ჯონსონის, უოლასის, ჰემფრიზსა** და **უილიამსის** ზუსტი ტყორცნებით. დერონმა ამ მატჩში ორმაგი დუბლი შეასრულა და სამქულიანებიც ბლომად ჩაყარა. ასევე აღნიშვნის ღირსია მასპინძლების "სუფთა" თამაში – ისინი მხოლოდ 11-ჯერ დაჯარიმდნენ მთელი მატჩის განმავლობაში.

■ ■ ■

მხოლოდ ერთი მოხსნა არ ეყო **რაჟონ რონდოს** (15 ქულა, 16 პასი და 9 მოხსნა) სამმაგი დუბლის გასაფორმებლად, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მისთვის ორლანდოში გამართული მატჩის გმირი გამხდარიყო. "ბოსტონმა" კი მაქსიმალურად იზრუნა იმისთვის, რომ ინტრიგას მაქსიმალურად ეცოცხლა. ასე მაგალითად, სტუმრებმა 12-ქულიანი უპირატესობა გაფლანგეს და ცხრა ქულით ჩამორჩნენ, 102:102-ზე კი, 31-წამიანი შეტევისას **გარნეტმა, ბასმა** და **პირსმა** სამი ტყორცნა ააცილეს.

"ბოსტონმა" მაინც მოიგო, ოღონდ ოვერტაიმში. **ნელსონმა** 15 წამით ადრე, 110:113-ზე ააცილა გადამრჩენი სამქულიანი. "ორლანდოს" აქვს განაწყენების საბაბი, რადგან ამ გუნდმა სეზონში პირველად დააგროვა 100 ქულა, მაგრამ დამარცხდა.

■ ■ ■

"ფინიქსმა" ვერ გამოიყენა "ფილადელფიასთან" მატჩის ბოლოს **ჯრიუ ჰოლიდეის** შეცდომები და დამარცხდა. ჰოლიდეი მატჩის მთავარი გმირი იყო – მან ჩააგდო 33 ქულა, რაც შედეგიანობის პირადი რეკორდია, გარდა ამისა, 13 შედეგიანი პასიც მიითვალა. სხვათა შორის, ბოლოს ასეთი რამ "სიქსერზის" რიგებში 2006-07 წლებში **ალენ აივერსონმა** შეძლო. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ 22 წლის მცველმა ბოლო მეოთხედში 4 შეცდომა დაუშვა და საჯარიმოდან ორი სროლა ააცილა, რითაც "ფინიქსს" შეხვედრის ოვერტაიმში გადაყვანის შანსი დაუტოვა, მაგრამ სტუმრებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ სამჯერ მინიმუმამდე შეამცირეს სხვაობა, გადამწყვეტ მომენტში, ორი წამით ადრე **მაიკლ ბიზლის** აუკანკალდა ხელი.

■ ■ ■

"ნიუ ორლეანმა" დენვერში თანაბრად ებრძოლა ფარქვეშ "ნაგეტსს" (40:41), უფრო მეტი სამქულიანი ჩააგდო (6:5), უფრო იშვიათად კარგავდა ბურთს (14:15) და იღებდა ჯარიმებს (18:20). მაგრამ პარადოქსი ის არის, რომ "ჰორნეტსი" ახლოსაც არ ყოფილა დაძაბულ დასასრულთან. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ **ჯორჯ კარლის** შეგირდებმა თამაშიდან 56 პროცენტის სიზუსტით ისროლეს.

**ნიუ იორკი–დეტროიტი 121:100**

**32:22, 32:22, 22:28, 35:28**

**ნ-ი:** ენტონი (29), ნოვაკი (18), სმიტი (15+10 მოხსნა+5 პასი), უოლასი (15), ფელტონი (14+10 პასი), ჩენდლერი (13+7 მოხსნა).

**დ:** ნაიტი (21+5 პასი), ვილანუევა (17), სინგლერი (16), მონრო (12+5 მოხსნა+7 პასი+3 ჩაჭრა), დრამონდი (2+11 მოხსნა).

**ბრუკლინი–პორტლენდი 98:85**

**25:27, 21:23, 23:20, 28:15**

**ბ:** ჯონსონი (21), ლოპესი (15+8 მოხსნა), უილიამსი (15+12 პასი+3 ჩაჭრა+4 დაფარება), ჰემფრიზი (14+10 მოხსნა), ბლეტჩი (13+8 მოხსნა), ევანსი (2+14 მოხსნა).

**პ:** მეტიუზი (20+3 ჩაჭრა), ჰიქსონი (19+10 მოხსნა), ლილარდი (13+6 მოხსნა+7 პასი), ბატუმი (12+5 მოხსნა), ლეონარდი (12).

**ფილადელფია–ფინიქსი 104:101**

**23:20, 23:21, 34:34, 24:26**

**ფილ:** ჰოლიდეი (33+13 პასი), ტერნერი (16+9 მოხსნა), ალენი (11+6 მოხსნა), ტ. იანგი (10).

**ფინ:** ბიზლი (21), გორტატი (18+7 მოხსნა), ტელფეირი (12), ო'ნილი (11), სკოლა (10+7 მოხსნა), დრაგიჩი (10), მორისი (8+10 მოხსნა).

**ორლანდო–ბოსტონი 110:116 (ო)**

**22:28, 26:30, 34:22, 20:22, 8:14**

**ო:** რედიკი (21), ნელსონი (20+5 მოხსნა), დევისი (15+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), აფლალო (15+7 პასი), მაკრობერტსი (7+14 მოხსნა+3 დაფარება).

**ბ:** გარნეტი (24+10 მოხსნა), პირსი (23+5 მოხსნა), რონდო (15+9 მოხსნა+16 პასი), ბარბოზა (15), ბასი (13+12 მოხსნა), სალინჯერი (11+6 მოხსნა).

**დენვერი–ნიუ ორლეანი 102:84**

**26:23, 25:18, 32:20, 19:23**

**დ:** იგუოდალა (23), ლოუსონი (17+6 პასი), ფარიდი (14+12 მოხსნა).

**ნ-ო:** რობერტსი (17+5 პასი), ანდერსონი (16), ლოპესი (14+5 მოხსნა+4 დაფარება).

**აღმოსავლეთი**

| | |
|---|---|
| 1. მაიამი | 10/3* |
| 2. ნიუ იორკი | 9/3* |
| 3. ბრუკლინი | 8/4 |
| 4. მილუოკი | 6/5* |
| 5. ატლანტა | 8/4 |
| 6. შარლოტი | 7/5 |
| 7. ფილადელფია | 8/6 |
| 8. ბოსტონი | 8/6 |
| 9. ჩიკაგო | 6/6 |
| 10. ინდიანა | 6/8 |
| 11. ორლანდო | 5/8 |
| 12. კლივლენდი | 3/10 |
| 13. დეტროიტი | 3/11 |
| 14. ტორონტო | 3/11 |
| 15. ვაშინგტონი | 0/11 |

**დასავლეთი**

| | |
|---|---|
| 1. მემფისი | 9/2* |
| 2. სან ანტონიო | 11/3 |
| 3. ოკლაჰომა | 10/4* |
| 4. კლიპერსი | 8/5* |
| 5. გოლდენ სტეიტი | 8/6 |
| 6. დენვერი | 8/6 |
| 7. იუტა | 7/7 |
| 8. ლეიკერსი | 7/7 |
| 9. დალასი | 7/7 |
| 10. პორტლენდი | 6/6 |
| 11. ჰიუსტონი | 6/7 |
| 12. ფინიქსი | 6/8 |
| 13. მინესოტა | 5/7 |
| 14. საკრამენტო | 4/9 |
| 15. ნიუ ორლეანი | 3/9 |

** - დივიზიონის ლიდერი*

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი

# აღარც ოლ სტარი




გერი ბეტმენი

ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ გააუქმა "ყველა ვარსკვლავის მატჩი", რომელიც იანვარის ბოლოს კოლამბუსში უნდა გამართულიყო, აგრეთვე რეგულარული ჩემპიონატის ყველა შეხვედრა 14 დეკემბრამდე. ლიგა არ დაეთანხმა პროფკავშირების წინადადებას შემოსავლის თანაბრად გაყოფაზე, რომელიც 393 მილიონი დოლარის ოდენობის საკომპენსაციო ფონდის შექმნას ითვალისწინებდა. აღსანიშნავია, რომ ორი კვირის წინ ლიგა მზად იყო ასეთივე ფონდის შესაქმნელად, ოღონდ ნაკლებს თანხით – 211 მილიონი დოლარი.

პროფკავშირი მოლაპარაკებისას შეეხო კიდევ ერთი მნიშვნელოვან თემას – მოთამაშეთა კონტრაქტებს. ჰოკეისტები დაეთანხმნენ მრავალწლიანი ხელშეკრულებების გაუქმებას, რომელთა დახმარებითაც კლუბები გვერდს უვლიდნენ ხელფასების მაქსიმალურ ზღვარს, მაგრამ, ამავდროულად, არ მოიწონეს მოთამაშეთა ასაკის გაზრდა შეუზღუდავი თავისუფალი აგენტის სტატუსის მისაღებად (28 წლამდე), არბიტრაჟის უფლებების გაუქმება ან შეზღუდვა კონტრაქტების განხილვისას, აგრეთვე ახალბედების კონტრაქტის შემცირება სამიდან ორ წლამდე.

მაგრამ ამჯერად, ლიგის კომისარმა **გერი ბეტმენმა** არ მოიწონა პროფკავშირების წინადადება და აღნიშნა, რომ NHL ისედაც დიდ დათმობებზე წავიდა.

როგორც მოთამაშეთა პროფკავშირის შეფმა **დონალდ ფერმა** განაცხადა, მხარეთა ინტერესებს შორის სხვაობა 182 მილიონ დოლარს შეადგენს. *"მომდევნო მატჩებისა და "ყველა ვარსკვლავის მატჩის" გაუქმება აუცილებლობას არ წარმოადგენდა. ამან იმედგაცრუება გამოიწვია გულშემატკივრებს შორის, პირველ რიგში კოლამბუსის მცხოვრებლებისთვის,* - ამბობს ESPN-თან კომენტარში ფერი. *– მოთამაშეები მზად არიან მოლაპარაკებების გასაგრძელებლად, მაგრამ ჩვენ გვჭირდება პარტნიორი, რომელიც კონტაქტზე წამოსასვლელად იქნება მზად".*

შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ გასულ კვირას იყო იმის ალბათობა, რომ სეზონი პირველ დეკემბერს დაიწყებოდა, მაგრამ ეს რომ მომხდარიყო, მხარეებს სწორედ გასულ უქმეებზე უნდა გაეფორმებინათ ახალი კოლექტიური ხელშეკრულება.

ლოკაუტმა უკვე გააუქმა 2012-13 წლების სეზონის 34.3 პროცენტი – ეს არის 422 მატჩი, რომელიც 11 ოქტომბრიდან 14 დეკემბრამდე უნდა გამართულიყო. ბეტმენის თქმით, ლიგა ამ მომენტისთვის ლოკაუტის გამო ყოველდღიურად 18-20 მილიონს კარგავს.

ჩოგბურთი

# რვა წელი მოძალადე მწვრთნელს

ცნობილ ფრანგ მწვრთნელს **რეჟი დე კამერეს**, რომელმაც 1970 წელს სენ-ტროპეში საჩოგბურთო სკოლა დააარსა, რვაწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს თავისი მოწაფეების მიმართ აღვირახსნილი ქმედებების გამო.

საჩოგბურთო აკადემიის დაახლოებით 20-მა ყოფილმა მოსწავლემ (ყველანი ქალები არიან) სექსუალური ხასიათის ძალადობაში დაადანაშაულა მწვრთნელი, რომელმაც მსოფლიოს ყოფილი მესამე ჩოგანი **ნატალი ტოზია** აღზარდა. ეს უკანასკნელი სასამართლო პროცესზე მოწმის როლში გამოვიდა. ის უარყოფდა დე კამარეს წინააღმდეგ ბრალდებას, მაგრამ სასამართლომ იპოვა დამამტკიცებელი საბუთები ორ დაზარებულთან მიმართებაში, რომლებიც მაშინ 12 და 13 წლისანი იყვნენ.

ტოზიას მსგავსად, მწვრთნელიც უარყოფდა ყველა ბრალდებას, მაგრამ განაცხადა, რომ მაშინ სკოლაში „მიშვებული სიტუაცია" იყო. რვაწლიანი პატიმრობის გარდა, დე კამარეს სამუდამოდ აუკრძალეს ჩოგბურთში მოღვაწეობა. სხვათა შორის, ამ ისტორიით ნატალი ტოზიაც დაზარალდა - თავისი პოზიციის გამო, მას საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციაში თავისი პოსტის დატოვება მოუწევს.

■ ■ ■

როგორც იცით, რამდენიმე დღის წინ, 36 წლის ამერიკელი **ჯენიფერ კაპრიატი** დაადანაშაულეს თავისი ბოიფრენდის **აივენ ბრენანის** დევნაში. თუმცა ჩოგბურთელმა განაცხადა, რომ ასეთი რამ გონებაშიც არ გაუვლია.

*„მე უბრალოდ ვცდილობდი მასთან დალაპარაკებას, რადგან ის არ პასუხობდა ჩემს ზარებს. არანაირ დევნას ადგილი არ ჰქონია. ამას პოლიციაც დაადასტურებს, რომელმაც ყველა მისი განცხადება უარყო. ახლა, აღარ მინდა ამ თემის განხილვა",* - ამბობს კაპრიატი.



რეჟი დე კამერე

# ორი მარტინა ბრუნდება




ნავრატილოვა და ჰინგისი

გაირკვა ესპანელი **რაფაელ ნადალის** კორტზე დაბრუნების თარიღი. როგორც იცით, მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი 2012 წლის ბოლოს, აბუ დაბიში ითამაშებს საჩვენებელ ტურნირზე, რაც შეეხება ოფიციალურ შეჯიბრებას, რაფა კორტზე 31 დეკემბერს დაბრუნდება და დოჰაში ATP-ის ტურნირში ჩაებმება.

*„რაფაელ ნადალი მსოფლიო ჩოგბურთში ბრუნდება, ასე რომ, ყველას დააინტერესებს მისი სათამაშო ფორმა",* - ამბობს დოჰას ტურნირის დირექტორი ქარიმ ალამი.

■ ■ ■

ყოფილი პროფესიონალი ჩოგბურთელები, მსოფლიოს ყოფილი პირველი ნომრები - **მარტინა ნავრატილოვა** და **მარტინა ჰინგისი** მონაწილეობას მიიღებენ საგამოფენო ტურნირში (World Tennis Challenge), რომელიც ავსტრალიის ქალაქ ადელაიდაში 8-10 იანვარს გაიმართება.

*„გასულ წელს, მე და მარტინამ ლივერპულში ვითამაშეთ, თუმცა მაშინ ეს წყვილთა მატჩი იყო. შესანიშნავი იქნება ისევ მის წინააღმდეგ კორტზე გასვლა",* - განაცხადა ნავრატილოვამ.

როგორც ამერიკული ვებგვერდი Tennisworldusa.org წერს, ჰინგისისა და ნავრატილოვას გარდა, ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ: ავსტრალიელი **პეტ კეში**, შვედი **მატს ვილანდერი**, ფრანგები **იანიკ ნოა** და **ანრი ლეკონტი**.

■ ■ ■

ბრაზილიაში გაიმართა „ჩელენჯერის" სერიის წლის შემაჯამებელი ტურნირის წილისყრა. შეჯიბრებას 27 ნოემბერიდან პირველ დეკემბრამდე ქალაქი სან პაულუ უმასპინძლებს. რვა მონაწილე ორ ჯგუფად არის გაყოფილი.

**ყვითელი ჯგუფი**: ტომაშ ბელუჩი (ბრაზილია), რუბენ რამირეს იდალგო (ესპანეთი), ადრიან უნგური (რუმინეთი), გვიდო პელია (არგენტინა);

**მწვანე ჯგუფი**: პაოლო ლორენცი (იტალია), ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი), ალიაჟ ბედენე (სლოვენია), გასტაო ელიაში (პორტუგალია).

ჯგუფური ეტაპის შედეგების მიხედვით, ორ-ორი საუკეთესო ჩოგბურთელი ნახევარფინალში გავა.

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ევრო 2013** | |
| **UNDER 19** | |
| დანია-ფინეთი | 3:0 |
| კვიპროსი-ჩერნოგორია | 1:1 |
| **იტალია** | |
| კალიარი-ნაპოლი | 0:1 |
| პარმა-ინტერი | 1:0 |
| **სერია C1-A** | |
| სან მარინო-ვირტუსი | 2:2 |
| **ესპანეთი** | |
| სარაგოსა-სელტა | 0:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| კლერმონი-მონაკო | 0:1 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ტოპ ოსი-კამბური | 1:3 |
| **პორტუგალია** | |
| მორეირენსე-სპორტინგი | 2:2 |
| **დანია** | |
| აგფ ორჰუსი-მიდტიულანდი | 1:1 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ვინტერტური-არაუ | 0:0 |
| **საბერძნეთი** | |
| **XII ტური** | |
| პანთრაკიკოსი-არისი | 4:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ლარისა-ერგოტელისი | 0:1 |
| **თურქეთი** | |
| ტრაბზონი-ესქისეჰირი | 0:3 |
| **II დივიზიონი** | |
| ქარსიაქა-დენიზლი | 0:0 |

| | |
|---|---|
| [illegible] | |
| აელ-აპოელ | 1:3 |
| **ჩეხეთი** | |
| პლზენი-იჰლავა | 1:0 |
| **რუსეთი** | |
| ამკარი-ანჟი | 1:2 |
| რუბინი-ვოლგა | 0:0 |
| ზენიტი-ცსკა | 1:1 |
| **უკრაინა** | |
| მეტალისტი-ტავრია | 5:0 |
| დნიპრო-მეტალურგი (ზ) | 3:0 |
| **პოლონეთი** | |
| პოდბესკიცე-ლეხი | 2:3 |
| **რუმინეთი** | |
| ტურნუ-კონსტანტა | 2:2 |
| ვასლუი-იაში | 3:0 |
| ბრაშოვი-სტიაუა | 3:1 |
| **ისრაელი** | |
| ჰაპოელი (თ-ა)-ჰაპოელი (ბ-შ) | 4:1 |
| ბეითარი-მაკაბი (ჰ) | 1:2 |
| **ჩრ. ირლანდია** | |
| კლიფტონვილი-ლისბურნი | 4:0 |
| **კალათბურთი** | |
| **საბერძნეთი** | |
| პანათინაიკოსი-პანელეფსინ. | 95:68 |
| **იტალია** | |
| კანტუ-მონტეპასკი | 54:67 |
| **თურქეთი** | |
| ბეშიქთაში-ჰაჩეთეფე | 69:63 |
| **საფრანგეთი** | |
| ლე მანი-შალონი | 66:80 |
| **ჰოკეი** | |
| **კხლ** | |
| დინამო (მ)-ატლანტი | 2:5 |
| **ჩეხეთი** | |
| ჟლინი-სლავია | 4:3 |

TV პროგრამა

**27 ნოემბერი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. XIII ტურის მიმოხილვა.
11:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIV ტურის მიმოხილვა.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. XIII ტური. შალკე-აინტრახტი.
14:00 ინგლისის ჩემპიონატი. XIII ტური. ასტონ ვილა-არსენალი.
16:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIV ტური. ტვენტე-ცვოლე.
18:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
19:00 გერმანიის ჩემპიონატი. XIII ტური. ბაიერნი-ჰანოვერი.
21:00 ინგლისის ჩემპიონატი. XIII ტურის მიმოხილვა.
22:00 ჩემპიონთა ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
23:00 გერმანიის ჩემპიონატი. XIV ტური. ჰამბურგი-შალკე (LIVE).
01:00 გერმანიის ჩემპიონატი. XIV ტური. დორტმუნდი-ფორტუნა..

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ბენფიკა-სელტიკი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-კლიპერსი.
14:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
15:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XIII ტური. ფრაიბურგი-შტუტგარტი.
17:00 რაგბი. ტესტ-მატჩი. ინგლისი-სამხრეთ აფრიკა.
19:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
21:00 კალათბურთი. NBA. 1985-86 წლები. ფინალი. ჰიუსტონი-ბოსტონი. V მატჩი.
23:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XIV ტური. დორტმუნდი-ფორტუნა (LIVE).
01:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-კლიპერსი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.
13:00 სპორტ-NEWS.
13:30 რაგბი. ჰეინეკენის თასი. სკარლეტსი-ლენსტერი.
15:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.
17:00 სპორტ-NEWS.
17:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-მანჩესტერ სიტი.
19:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მემფისი-ნიუ იორკი.
22:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.
23:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. XIV ტური. სანდერლენდი-ქუინზ პარკი (LIVE).

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 4 | 13 | (მზე) |
| ქუთაისი | 10 | 15 | (მცირე წვიმა) |
| ბათუმი | 9 | 14 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 9 | 14 | (მცირე წვიმა) |
| ზუგდიდი | 7 | 13 | (მცირე წვიმა) |
| გორი | 4 | 13 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 3 | 13 | (მზე) |
| სიღნაღი | 2 | 12 | (მზე) |
| ბაკურიანი | -3 | 5 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | -1 | 9 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | -2 | 9 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1490 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6573 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6560 |
| 100 რუსული რუბლი | 5.3427 |

ჩოგბურთი

# შარაპოვა რეპს ცეკვავს



მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, რუსმა **მარია შარაპოვამ** თავის Facebook-ზე დადო ერთ-ერთი ბოლო ვარჯიშის ფოტო. შესვენების დროს, მარიამ თავის გუნდთან ერთად სცადა ცეკვა სამხრეთკორეელი რეპერის PSY-ის ჰიტზე - Gangnam Style-ზე.

*"ვცადეთ Gangnam Style-ის ცეკვა. აი, დამამტკიცებელი ფოტო. მალე სახალისო ვიდეოსაც დავდებთ",* - დაწერა სპორტსმენმა.

შეგახსენებთ, რომ დღეისთვის შარაპოვა ფლორიდას შტატში იმყოფება, სადაც სეზონისწინა მზადებას ატარებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. ინტერვიუ სებასტიან ფეტელთან

# თქვენთვის ეს შოუ იყო, ჩემთვის უმძიმესი სამუშაო

**სებასტიან ფეტელმა ბრაზილიის გრანპრიზე მეექვსე ადგილი დაიკავა, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა პირად ჩათვლაში ფერნანდო ალონსოს გასასწრებად და ტიტულის ზედიზედ მესამედ მოსაპოვებლად. ფინიშის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონმა თავის გრძნობებზე ისაუბრა...**

**- უკვე გააცნობიერეთ, რას მიაღწიეთ ბრაზილიაში?**

- არა, ჯერ ვერ მოვასწარი მიჭირს საჭირო სიტყვების მოძებნა, განსაკუთრებით იმ რბოლის შემდეგ, რომელშიც ყველაფერი ჩვენს წინააღმდეგ იყო. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ გავბრაზებულიყავი ან ხასიათი გამფუჭებოდა, ჩვენ ბოლომდე გვჯეროდა წარმატების. წარმოიდგინეთ: მეოთხე მოსახვევში მოვსრიალდი და მომეჩვენა, რომ რამდენიმე მანქანა მეჯახებოდა. სწორედ მაშინ ავუშვი ფეხი მუხრუჭის სატერფულს, რათა იმ ადგილს გავცლოდი და შეჯახება თავიდან ამეცილებინა.

მანქანა დაზიანებული იყო, მაგრამ შევძელით გამოუსწორებელი შედეგების თავიდან აცილება. როცა ტრასა მშრალი იყო, ცხადი გახლდათ, რომ სწორ მონაკვეთებზე სიჩქარე არ გვყოფნიდა და კონკურენტებს უპრობლემოდ შეეძლოთ ჩემი გასწრება, ჩემთვის კი რთული იყო წინ გასვლა. შემდეგ რადიო გამოვიდა მწყობრიდან, არასწორ მომენტში ჩავატარეთ პიტსტოპი – დავაყენეთ "სლიკები" მაშინ, როცა წვიმა წამოვიდა, შემდეგ კი გუნდმა ვერ მოასწრო საშუალედო საბურავების მომზადება იმის გამო, რომ რადიო არ მუშაობდა...

საბედნიეროდ, ჩვენ მაინც სწრაფები ვიყავით: ტემპის დაკარგვის კომპენსირება შეიძლება სხვა ტრაექტორიების არჩევით, სხვანაირი პილოტირების სტილით. შემდეგ შევძელით იმ სიტუაციით სათავისოუ გამოყენება, როცა ტრასაზე უსაფრთხოების მანქანა გამოვიდა. მაგრამ, რა თქმა უნდა, იმ მომენტში ჯერ კიდევ არ ვიცოდი, იქნებოდა თუ არა ეს საკმარისი.

მანამდე, ორი წრით ადრე, გუნდმა შემატყობინა, რომ პოზიცია, რომელიც მეკავა საკმარისი იქნებოდა ჩემპიონობისთვის, მაგრამ შემდეგ დავინახე ნიკო ჰიულკენბერგისა და ლუის ჰემილტონის ავარია. მართალია, ფერნანდო ჩემზე წინ იყო, მაგრამ ვიცოდი, რომ ის ორი ესპანელზე წინ მოძრაობდა. როცა სიტუაციის შესახებ შემატყობინეს, ძალიან გამეხარდა, მაგრამ გუნდმა ვერ მოისმინა ჩემი პასუხი, რადგან რადიო გაფუჭებული იყო.

ასე რომ, დაუჯერებელი რბოლა იყო და ჯერაც ვერ ვწყნარდები. თქვენთვის ეს შოუ იყო, მე კი ბოლომდე ბრძოლამ მომინია.

**- თქვენ გახდით ყველაზე ახალგაზრდა სამგზის ჩემპიონი. რას ნიშნავს ეს თქვენთვის?**

- ჩემამდე იყვნენ პილოტები, რომლებმაც ასეთ შედეგს მიაღწიეს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამისთვის აუცილებელია საჭირო დროს საჭირო ადგილზე ყოფნა. ასევე საჭიროა იღბალი და დაძაბული შრომა.

არც კი ვიცი, რა ვთქვა. დღეს ჩვენ სან პაულუში ვართ, აირტონ სენას სამშობლოში, იმ მიწაზე, სადაც ის განისვენებს და მე მიჭირს საკუთარი გრძნობების გამომჟღავნება.

მინდა მადლობა გადავუხადო მთელ გუნდს. ეს თქვენ სტანდარტულ ფრაზად გეჩვენებათ და ხანდახან პილოტებს გვაკრიტიკებენ ასეთი ფრაზებისთვის, მაგრამ მე გუნდის ერთ-ერთ წევრად ვგრძნობ თავს. არ მგონია, რომ ჩემი სამუშაო სხვისაზე უფრო მნიშვნელოვანია. დღევანდელი შედეგისთვის ჩვენ იმ დღიდან დავიწყეთ მუშაობა, როცა მე აქ მოვედი. ეს უდიდესი შრომა იყო.

ხვალ ეს სეზონი უკვე ისტორიის კუთვნილება იქნება და ჩვენი ბიჭები უკვე სრული დატვირთვით მუშაობენ RB9-ზე და ემზადებიან მომავალი სეზონისთვის. ტემპის დაგდება არ შეიძლება, მაგრამ, რა თქმა უნდა, მე გუნდის სხვა თანამშრომლებზე პრივილეგირებულ მდგომარეობაში ვარ, თუმცა ბოქსებსა და ბაზაზე ყველამ იცის, რომ ჩვენ ამას ფულის გამო არ ვაკეთებთ, ამის მიზეზი ფორმულა 1-ის სიყვარულია.

გუშინ მკითხეს – ვნერვიულობ თუ არა? მე ვუპასუხე – დიახ. ასე რომ არ იყოს, მაშინ აქ რა მესაქმება? ყოველთვის ვნერვიულობ, მაგრამ, როცა შუქნიშანი ქვრება, უკვე მაქსიმალურად კონცენტრირებული ვარ და რბოლა იწყება. დღეს იყო ბევრი ისეთი სიტუაცია, როცა მაქსიმალური კონცენტრაცია იყო საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში, კრახი გარანტირებული გვქონდა. ასეთ რბოლაში გამარჯვება ორმაგად სასიხარულოა.

ჩვენ გავიმარჯვეთ 2010 და 2011 წლებში და ერთმა ჭკვიანმა ადამიანმა მითხრა, რომ ყველაზე რთული – ტიტულის შენარჩუნებაა, რადგან ჩემპიონის რანგში, საყოველთაო ყურადღების ცენტრში ექცევი, გრძნობ პრესინგს და ფიქრობ მხოლოდ ახალ ტრიუმფზე, ნაცვლად იმისა, რომ გეგმაზომიერად იმუშაო. ამიტომაც ვცდილობ შევახსენო საკუთარ თავს, რომ ეს უბრალოდ კიდევ ერთი დღეა, კიდევ ერთი რბოლა.

**- შეიძლება იმის თქმა, რომ ეს ტიტული ყველაზე რთული იყო, მაგრამ ყველაზე სასიამოვნო?**



- ვფიქრობ, ტიტულის მოგება ყოველთვის რთულია, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ადარებ ამ გამარჯვებას წინა ტრიუმფს. და მაინც, სეზონი ჩვენთვის ძალიან რთული აღმოჩნდა როგორც ტრასაზე, ასევე მის მიღმა. ყველას ჰქონდა წარმატებები და ჩავარდნები, მაგრამ არასოდეს ვღალატობდით საკუთარ თავს, ვაგრძელებდით მუშაობას და წარმატებას მივაღწიეთ.

ძალიან რთული იყო, რადგან ბევრს უნდოდა ჩვენი გასწრება და ყველაფერს აკეთებდნენ ამისთვის, ამიტომაც სეზონის მსვლელობისას უამრავი პრობლემა შეგვხვდა, მაგრამ ყველაფერს გავუმკლავდით. მე არ ვარ უშეცდომო, შეცდომები დავუშვი, მაგრამ მშობლებმა მასწავლეს მისი აღიარება. კვალიფიკაციის ფინალში ზედმეტად მოვინდომე, ასე რომ, შედეგი არ იყო იდეალური. მზად ვარ ეს ვაღიარო, რადგან ასე გამზარდეს და სხვათა შორის, ესეც არის ჩვენი წარმატების მიზეზი.

**- ხომ არ ფიქრობთ ახალი გამოწვევის მიღებას: არ შეეცდებით შემდეგი ტიტულის მოგებას სხვა გუნდის შემადგენლობაში?**

- მე ჯერ ამ მომენტით მინდა დავტკბე. არ მინდა ვიფიქრო იმაზე, რა იქნება შემდეგ წელს და უახლოეს სეზონებში. დღეს უბრალოდ მინდა კარგად გავატაროთ დრო, თუმცა არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს ზეიმი.

გუნდთან 2014 წლის ბოლომდე მაქვს კონტრაქტი, კმაყოფილი ვარ იმით, რასაც მივაღწიე, მაგრამ ეს ისტორია ჯერ არ დასრულებულა. ბედნიერი ვარ და დღეს ვერ ვხედავ იმის აზრს, რომ სხვა გუნდებს დავაკვირდე. აქ ყველაფერი მაწყობს, "რედ ბულთან" ერთად დაუჯერებელ შედეგებს მივაღწიე. კრისტიან ჰორნერი რადიოთი ასახელებდა პილოტებს, რომლებმაც სამჯერ მოიგეს ჩემპიონატი, მაგრამ პროსტი გამორჩა. ჩემი რადიო არ მუშაობდა და ამის გამო ვერ შევუსწორე.

სეზონის საწყისი შვიდი რბოლა შვიდმა სხვადასხვა პილოტმა მოიგო და მაშინ უკვე მესმოდა, რა ძვირად ფასობდა ნებისმიერი ქულა. ფინალისკენ ბრძოლა ძალიან დაძაბული იყო, ვიდრე ჩვენ ვისურვებდით, არადა, ჩემპიონატის ერთ-ერთ მონაკვეთში საერთოდ არ გვასახელებდნენ ჩემპიონობის კანდიდატებად.

მნიშვნელოვანია, რომ ბოლომდე მჯეროდა საბოლოო წარმატების და სეზონის დასაწყისიდან ვებრძოდით საკუთარ მანქანას, რომელიც ძალიან განსხვავდებოდა შარშანდელისგან. მე ვერ ვახერხებდი საკუთარი სტილის გამოყენებას: RB8-ის უკანა ნაწილს არ ჰყოფნიდა სტაბილურობა, არ გამოდიოდა ჩვეულებრივი ხერხით მოსახვევში შესვლის წინ დამუხრუჭება და აპექსებზე შეტევა. ყველაფერი ვცადეთ და რაღაც სტადიაზე საკმაოდ სერიოზული ნაბიჯი გადავდგით სწორი მიმართულებით, რამაც საშუალება მოგვცა გამოგვეყენებინა პილოტირების ილეთები, რომელიც მომწონს. ჩვენ ვაგრძელებდით მუშაობას, ხანდახან შეცდომას ვუშვებდით, რაც ძვირად გვიჯდებოდა, მაგრამ ამ შეცდომებზე ვსწავლობდით და ჩვენი მანქანები სულ უფრო უკეთესი ხდებოდა.

**- ეს რბოლა ყველაზე რთული იყო თქვენს კარიერაში?**

- რადიოთი ვამბობდი, მაგრამ ჩემი არ ესმოდათ: რა თქმა უნდა, ეს ყველაზე რთული რბოლა იყო. და მხოლოდ იმიტომ არა, რომ მე ტიტულისთვის ვიბრძოდი, რაც, თავისთავად იოლი არ იყო: გაიხსენეთ, რამდენიმე პრობლემა გვქონდა. მიუხედავად ამისა, მეექვსე ადგილზე გავედი და ეს ძალიან კარგი შედეგია. ხანდახან ასეც ხდება, რომ მეექვსე ადგილიც სრულიად გაძლევთ ხელს. ასე რომ, ჩვენ შეიძლება კმაყოფილები ვიყოთ, რადგან ამ რბოლაში ტიტულის ბედი ირკვეოდა და ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ მოეწყო. ამას მეტს ვერაფერს დავუმატებ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

| | ავს | მალ | ჩინ | ბაჰ | ესპ | მონ | კან | ევრ | ბრიტ | გერ | უნგ | ბელ | იტა | სინ | იაპ | კორ | ინდ | ა-დაბ | აშშ | ბრა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ფეტელი** (რედ ბული) | 18 | -- | 10 | 25 | 8 | 12 | 12 | -- | 15 | 10 | 12 | 18 | -- | 25 | 25 | 25 | 25 | 15 | 18 | 8 | 281 |
| **ალონსო** (ფერარი) | 10 | 25 | 2 | 6 | 18 | 15 | 10 | 25 | 18 | 25 | 10 | -- | 15 | 15 | -- | 15 | 18 | 18 | 15 | 18 | 278 |
| **რაიკონენი** (ლოტუსი) | 6 | 10 | -- | 18 | 15 | 2 | 4 | 18 | 10 | 15 | 18 | 15 | 10 | 8 | 8 | 10 | 6 | 25 | 8 | 1 | 207 |
| **ჰემილტონი** (მაკლარენი) | 15 | 15 | 15 | 4 | 4 | 10 | 25 | -- | 4 | -- | 25 | -- | 25 | -- | 10 | 1 | 12 | -- | 25 | -- | 190 |
| **ბატონი** (მაკლარენი) | 25 | -- | 18 | -- | 2 | -- | -- | 4 | 1 | 18 | 8 | 25 | -- | 18 | 12 | -- | 10 | 12 | 10 | 25 | 188 |
| **უებერი** (რედ ბული) | 12 | 12 | 12 | 12 | -- | 25 | 6 | 12 | 25 | 4 | 4 | 8 | -- | -- | 2 | 18 | 15 | -- | -- | 12 | 179 |
| **მასა** (ფერარი) | -- | -- | -- | 2 | -- | 8 | 1 | -- | 12 | -- | 2 | 10 | 12 | 4 | 18 | 12 | 8 | 6 | 12 | 15 | 122 |
| **გროსჟანი** (ლოტუსი) | -- | -- | 8 | 15 | 12 | -- | 18 | -- | 8 | -- | 15 | -- | -- | 6 | -- | 6 | 2 | -- | 6 | -- | 96 |
| **როსბერგი** (მერსედესი) | -- | -- | 25 | 10 | 6 | 18 | 8 | 8 | -- | 1 | 1 | -- | 6 | 10 | -- | -- | -- | -- | -- | -- | 93 |
| **პერესი** (ზაუბერი) | 4 | 18 | -- | -- | -- | -- | 15 | 2 | -- | 8 | -- | -- | 18 | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | 66 |
| **ჰიულკენბერგი** (ფ-ინდია) | -- | 2 | -- | -- | 1 | 4 | -- | 10 | -- | 2 | -- | 12 | -- | -- | 6 | 8 | 5 | -- | 4 | 10 | 63 |
| **კობაიაში** (ზაუბერი) | 8 | -- | 1 | -- | 10 | -- | 2 | -- | -- | 12 | -- | -- | 2 | -- | 15 | -- | -- | 8 | -- | 2 | 60 |
| **მ. შუმახერი** (მერსედესი) | -- | 1 | -- | 1 | -- | -- | -- | 15 | 6 | 6 | -- | 6 | 8 | -- | -- | -- | -- | -- | -- | 6 | 49 |
| **დი რესტა** (ფორს ინდია) | 1 | 6 | -- | 8 | -- | 6 | -- | 6 | -- | -- | -- | 1 | 4 | 12 | -- | -- | -- | 2 | -- | -- | 46 |
| **მალდონადო** (უილიამსი) | -- | -- | 4 | -- | 25 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 4 | -- | -- | 10 | 2 | -- | 45 |
| **სენა** (უილიამსი) | -- | 8 | 6 | -- | -- | 1 | -- | 1 | 2 | -- | 6 | -- | 1 | -- | -- | -- | 1 | 4 | 1 | -- | 31 |
| **ვერნი** (ტორო როსო) | -- | 4 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 4 | -- | -- | -- | 4 | -- | -- | -- | 4 | 16 |
| **რიკარდო** (ტორო როსო) | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 2 | -- | 2 | 1 | 2 | -- | 1 | -- | -- | 10 |

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
9 772233 382000

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გია თვალაბეიშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608